

ბიულეტენი

№ 47
2001
თებერვალი

საქართველოს
სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი



საქართველოს თანამშრომლობა BSEC-ში

ავღიჯიკური ისლამი თურქეთში

FRIEDRICH
EBERT 
STIFTUNG

C 02 - 00937

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი**

ესა სეფაშვილი

საქართველოს თანამშრომლობა BSEC-ში 2

მამუკა კომახია

აოლიტიკური ისლამი თურქეთში 33

**„Probleme der Sicherheit Georgiens. Zusammenarbeit Georgiens mit
BSEC (Black Sea Economical Cooperation). Politischer Islam in der Türkei“
*Bull. Nr.47: Februar 2001***

Auflage: 1000
Verfasser: Zentrum für Strategische Studien und Entwicklung Georgiens
Seitenzahl: 62
Sprache: Georgisch
Originaltitel: „saqartvelos tanamsromloba BSEC – Si“,
„politikuri islami turqetsi“

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

C 02 - 00937 

ეკა სეფაშვილი

შუა საუკუნეებში საქართველო გეოგრაფიული მდებარეობისა და სპეციფიური პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის გამო, რამდენიმე დიდი ცივილიზაციის დამაკავშირებელ პერიფერიად იქცა. ცივი ომის დასრულების შემდეგ საქართველო კვლავ სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურის მქონე სივრცეების მიჯნაზე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მას ევროპის განვითარებული ქვეყნები ესაზღვრება, ხოლო მეორე მხრივ, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც, საქართველოს მსგავსად, მსოფლიო სისტემებში ჩართვას ცდილობენ. ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოების დღის წესრიგში სახელმწიფოებრიობის შენების ურთულესი ამოცანები დგას. საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დივერსიფიცირებას და მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სივრცეში ჩართვას ესწრაფვის. საქართველოს თანამშრომლობა შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში ამ პოლიტიკის განხორციელებისაკენ მიმართული ნაბიჯია.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა 1992 წლის 25 ივნისს შეიქმნა. მონაწილე ქვეყნებმა (აზერბაიჯანი, ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა) დამფუძნებელ დეკლარაციას მოაწერეს ხელი, რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები და ურთიერთშემდეგობის ძირითადი მექანიზმები. აღსანიშნავია, რომ ამ ეკონომიკურ თანამშრომლობაში მიმდინარე პროცესები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ობიექტური ტენდენციების შესაბამისად მიმდინარეობს. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მოკლედ მიმოვიხილავთ იმ თეორიულ საკითხებს, რომლის შესაბამისაც ვითარდება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები.


თანამშრომლობა ბალკანურ მსოფლიო

დღესდღეობით, როცა გლობალიზაციის პროცესმა განვითარების ახალ საფეხურს მიაღწია, ქვეყნებს შორის გეოგრაფიულმა და მოსახლეობის პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა. საქართველოს საერთაშორისო სისტემებში

ჩართვა გლობალიზაციის ტემპის ზრდის პირობებში უხდება, რაც მულტიკონტინენტურ მანძილზე განხორციელებული კავშირების მზარად ქსელსა და ინტენსიურ მრავალმხრივ ურთიერთობებში ჩართვას გულისხმობს.

XX საუკუნის მინურულს თავისი არსით გლობალიზაცია ინტეგრაციის პროცესის თვისებრივ გაღრმავებას, ფუნქციურ გაძლიერებას და განვითარების ტერიტორიული განზომილების შემცირებას ასახავს. გლობალიზაცია გლობალიზაციის პროცესის ამსახველი სიტყვაა რომელიც, თავის მხრივ, მსოფლიოს მდგომარეობაა, რაც კონტინენტაშორისო ურთიერთ-დამოკიდებულების ქსელს ასახავს.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ინტეგრაცია: გლობალიზური ეკონომიკა პირდაპირი ინტეგრაციული ურთიერთობებით დაუკავშირებელი რეგიონების ურთიერთდამოკიდებულებასაც განაპირობებს. საბჭოელი მეცნიერების მიერ შემოღებული ცნება „სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია“ ეროვნული ეკონომიკების მიერ საერთაშორისო ინტერესების შექმნასა და საგარეო კავშირების დახმარებით მოგვცის



მიღებას გულისხმობს. ეს ცნებაც, ისევე როგორც გლობალიზაცია, მსოფლიოს ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულების ზრდას გულისხმობს. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ეკონომიკისა თუ ბაზრის პრობლემები იმთავითვე გლობალიზურია, ხოლო ეროვნული ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ეკონომიკასთან კოორდინაციის გარეშე.

მთავარი კითხვა: როგორ უნდა გამოიყენოს ქვეყანამ გლობალიზაციის შესაძლებლობები ეკონომიკური ზრდისათვის ისე, რომ მის (გლობალიზაციის) ნეგატიურ შედეგებს თავი აარიდოს? დღეს ქვეყანათა უმრავლესობის წინაშე დგას. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკა განსაკუთრებით მგრძობიარეა

საერთაშორისო რყევების მიმართ. აუცილებელია გლობალიზაციისადმი მართებული მიდგომის შემუშავება, რათა ქვეყანამ საკუთარი ეროვნული ინტერესები განსაზღვროს და ამ პროცესში საკუთარი ადგილი საღად შეაფასოს.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკებისათვის განმსაზღვრელი (ძირითადი) კონცეპტუალური საფუძველი ჯერჯერობით ეკონომიკური გლობალიზაცია არ არის. ყურადღება ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებულ სტრატეგიაზეა გამაჩვიებული, რაც საუკუნეებზე სახელმწიფოთა ობიექტური საჭიროებებით (სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები) არის განპირობებული. გლობალიზაცია ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. თუმცა ეკონომიკური გლობალიზაციის გაუთვალისწინებლობის ან არაადეკვატური მიდგომის გამო, შეიძლება ქვეყანამ იზარალოს, ერთი მხრივ, თუ საერთაშორისო თანამშრომლობას თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენებს, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო ბაზრებთან არასწორი ადაპტაციის შედეგად. ამასთან, გლობალიზაციის დროს ეროვნული თავისებურებები კი არ ქრება, არამედ ძლიერდება. საერთაშორისო კონკურენცია გლობალიზაციის პირობებში სწორედ ეროვნულ თავისებურებებს შორის განსხვავებებს ეფუძნება.

რეგიონალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას წინ უსწრებს. რეგიონალიზაცია

საერთაშორისო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების უზრუნველყოფის საკითხები

ასევე, ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებას ნიშნავს. ამ შემთხვევაში საშუალო ცხოვრება საერთაშორისო ხასიათს იძენს. თუმცა მისი მოქმედების სფერო რეგიონის ჩარჩოებით არის შემოზღუდული. რეგიონალიზაცია წარმოადგენს როგორც რეგიონული განვითარების ტენდენციას, ისე შეზღუდულად ფორმულირებულ მიზანს.

ჩვეულებრივ, სახელმწიფოებში, პირველ რიგში, არჩევენ თავიანთ მუშობლებთან თანამშრომლობას, რომლებთანაც მათ გააჩნიათ საერთო ან მსგავსი კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფასეულობები, რაც თანამშრომლობას მნიშვნელოვნად გააადვილებდა.

რეგიონული თანამშრომლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს, სადაც ეკონომიკური ინტეგრაცია სრულიად ახალ და განსხვავებულ პრინციპებზე ვითარდება. ინტეგრაცია და რეგიონალიზაცია, რომელიც გლობალიზაციის პროცესის ნაწილია, BSEC-ში მიმდინარე პროცესების ორი ურთიერთდაკავშირებული მხარეა.

ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების სოციალური ტენდენციები

ინტეგრაცია გარკვეულ სტრუქტურაში ან სტრუქტურებში რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანების გულისხმობს, რომელიც საერთო ინტერესების განხორციელებას ისახავს მიზნად. წარმატებით განხორციელებული ინტეგრაცია ცალკეულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ერთეულს, მათ შორის, პატარა ქვეყნებს საშუალებას აძლევს ძალისხმევითა გაერთიანების საფუძველზე უფრო დიდ და ამბიციურ მიზნებს მიაღწიონ.

ინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობს ისეთ სექტორებში როგორცაა ეკონომიკა, პოლიტიკა, უსაფრთხოება და ა. შ. ისტორიულად ინტეგრაცია ყველაზე უფრო ხშირად ეკონომიკის სფეროში ხორციელდებოდა. ამის ნათელი მაგალითია „საერთო ბაზრების“ ჩამოყალიბება (ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზარი, ლათინური ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია და სხვ.)

50-60-იან წლებში მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი ახალი, ანუ თანამედროვე რეგიონალიზაციის წინამორბედი გახლავთ. ტერმინი „ეკონომიკური ინტეგრაცია“ პირველად XX საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა და გერმანელი ეკონომისტების ნაშრომებში გამოჩნდა. რეგიონული ინტეგრაციის პროცესების თეორიული გააზრების პირველი შედეგობები

50-იან წლებიდან იწყება. ინტეგრაციის თეორიის ევოლუციის თავდაპირველ ეტაპზე საბაზრო მიმართულების ეკონომისტებს ინტეგრაციის პრობლემა

თავისუფალი ვაჭრობის პრინციპის საფუძველზე ინტეგრირებულ ქვეყნების ბაზრების გაერთიანებამდე დაყავდათ. ამიტომ ინტეგრაციის თეორიის ამ მიმართულებამ საბაზრო სკოლის (ან ნეოლიბერალური) სკოლის სახელწოდება მიიღო. ამ სკოლის მიმდევარ მკვლევართა ყურადღების ქვეშ საშუალო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ობიექტური პროცესები, რომლებიც ინტეგრაციის საფუძველს წარმოადგენდა, არ მოექცა.

მოგვიანებით ფართო დისკუსიები გამოიწვია საბაჟო კავშირის კონცეფციებმა. ყურადღების ცენტრში მოექცა საბაჟო კავშირის შექმნის მექანიზმები და შესაძლო შედეგების გავლენა საბაჟო კავშირის მონაწილე და არამონაწილე ქვეყანათა ეკონომიკებზე.

60-იანი წლების შუა პერიოდში თეორიული გამოკვლევების ცენტრმა ინტეგრაციის ახალი ფორმების მოძებნისაკენ გადინაცვლა. სულ უფრო და უფრო მეტად საუბრობდნენ ინტეგრაციის პროცესის მიზანმიმართული რეგულირების აუცილებლობის შესახებ. შესაძინვად

გაზარდა იმ ეკონომისტების გავლენა, რომლებიც ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს დომინანტური როლის მომხრეები იყვნენ.

შეხედულებამ ინტეგრაციაზე როგორც პროცესზე, რომელიც მარტივიდან რთულ ფორმებამდე ვითარდება, ინტეგრაციის სტადიებისადმი ინტერესი განაპირობა. ინტეგრაციის პროცესი დისკრიმინაციის აღმოფხვრის გულისხმობს. იდეა, ინტეგრაციის ეტაპობრივი განვითარების შესახებ იმ დროისათვის საბაჟო კავშირის სტატიკურ კონცეფციასთან შედარებით მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ცალკეული თეორიების გარკვეული შეირყებდა და დაახლოება მოხდა, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარეების კონკრეტული თანაფარდობის საკითხები და ინტეგრაციული პროცესებში საბაზრო ძალებისა და სახელმწიფოს ჩარევა ძველებურად მძაფრი დისკუსიის საგნებს წარმოადგენს.

არსებულ გამოცდილებას თუ გაკეთვალისწინებით, ეკონომიკურმა ინტეგრაციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, როგორცაა გერმანიასა და საფრანგეთს შორის ომის თავიდან აცილება, ცივი ომის პერიოდში მესამე ძალის შექმნა (იგულისხმება ევროპის კავშირი), დასავლეთ ევროპის ხელსაღი აღორძინება და ა. შ. ბევრი პირობითიც პოლიტიკური მიზნებს ანიჭებს, ხოლო ეკონომიკურ საკითხებს მეორეხარისხოვნად მიიჩნევს. პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებების შედარება შედეგად არ მოიტანს. ეს პოზიცია ნაწილობრივ იმიტაც არის განპირობებული, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების რაოდენობრივად აღრიცხვა შეუძლებელია. გარდა ამისა, ეს ორი ფაქტორი მნიშვნელოვანად არის ურთიერთზე დამოკიდებული. პოლიტიკურმა მოტივებმა შეიძლება განაპირობოს ეკონომიკური ინტეგრაციის პირველი ნაბიჯები. თავის მხრივ, ეკონომიკური ინტეგრაცია ასევე მოქმედებს პოლიტიკის სფეროზე. თუ ეკონომიკური მოტივები იყო პირველადი ყებითი ინტეგრაციის განვითარებისათვის, მისმა შემდგომმა გაღრმავებამ შეიძლება პოლიტიკური ერთიანობის საჭიროება მოითხოვოს და პირიქით.

ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში ეკონომიკური ფაქტორი განგებ არის დაყვანილი მინიმალურ დონეზე და ეკონომიკური ინტეგრაცია მიჩნეულია პოლიტიკური მოვლენების ფონად. პოლიტიკურ მოტივებს რომც არ ჰქონდეთ პირველადი მნიშვნელობა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მონაწილე ეკონომიკურ პრობლემებს პოლიტიკური საკითხების გაუთვალისწინებლად განიხილავენ. შედარებისათვის, შეერთებული შტატების შექმნა გამოჩვეული იყო, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მოსაზრებებით, თუმცა

არავინ უარყოფს ამის ეკონომიკურ მნიშვნელობასაც.

**რეპიონული ეკონომიკური
თანამშრომლობისა და ინტეგრაციის
თავისებურებაზე განხილვითა და
შედეგებზე**

ინტეგრაციის პროცესის მრავალმხრივობა, მასში ეკონომიკური და პოლიტიკური მომენტების გადახლართვა მსოფლიო ეკონომიკურ მეურნეობაში კონკრეტული ინტეგრაციული მოვლენების ანალიზის დროს მნიშვნელოვან სირთულეებს იწვევს. ეს განსაკუთრებით განვითარებად სამყაროს ეხება, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მიუხედავად სანარმოო ძალების განვითარების დაბალი დონისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების ყოფილ მეტროპოლიტთან ერთიანობისა, რეგიონული ეკონომიკური დაჯგუფებების შექმნის პროცესი უფრო მეტად განვითარდა, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებს შორის. შეიქმნა მრავალი გაერთიანება: არაბულ სახელმწიფოთა ლიგა (1945წ.), ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია (1948წ.), აფრიკის ერთობის ორგანიზაცია (1963წ.), სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაცია 91967წ.), სამხრეთ აფრიკის განვითარების კავშირი (1979წ.) სამხრეთი კიდის (სამხრეთ ამერიკა) საერთო ბაზარი (1994წ.) და სხვ.

მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის პროცესის ეკონომიკური ან პოლიტიკური მხარის აბსოლუტური უმრავლესობა განაპირობებს ორი განსხვავებული თვალსაზრისის არსებობას. ერთი ინტეგრაციის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების სპონტანური განვითარებით ხსნის, რომლის მიმდინარეობა სახელმწიფოთა მარეგულირებელ საქმიანობაზე დამოკიდებული არ არის, ხოლო მეორე - ინტეგრაციულად მხოლოდ იმ პროცესებს აღიარებს, რომლებიც ინტეგრირებული სახელმწიფოების მთავრობების უშუალო ზემოქმედებით მიმდინარეობს ოფიციალურად გაფორმებულ ეკონომიკურ კავშირებში.

ფაქტობრივად, საუბარი იმაზეა, წარმოადგენს თუ არა ოფიციალურად გაფორმებული ინტეგრირებული დაჯგუფი იმ კრიტერიუმს, რომელიც განსაზღვრავს საზღვარს ინტეგრაციასა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის სხვა ფორმებს შორის. უფრო ფართოდ - ეს არის ინტეგრაციაში მარეგულირებელი და საბაზრო ძალების, პოლიტიკისა და ეკონომიკის თანაფარდობის საკითხი.

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ინტეგრაციული პროცესის კრიტერიუმად სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური დაჯგუფების შექმნა აღიარება. ეკონომიკური ინტეგრაცია არ შეიძლება ჩაითვალოს სტიქიურად თვითნარმოქმნილ პროცესად, რადგან თანამედროვე მსოფლიო

მეურნეობებში ეროვნული ეკონომიკების ურთიერთშეთავსებადობა საგარეო ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოთა ამა თუ იმ ხარისხით ჩარევის გარეშე შეუძლებელია. თუმცა, როგორც ეროვნული მეურნეობების ურთიერთგადახლართვის რეალური პროცესი გვიჩვენებს, ინტეგრაციის სახელმწიფო რეგულირების ფორმები შეიძლება ძალიან განსხვავებული იყოს. ამიტომ ინტეგრაციის დაყვანა პროცესებში, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოთა შორისო ეკონომიკურ გაერთიანებებში მიმდინარეობს, პრობლემის გამარტივებას წარმოადგენს.

პოლიტიკური დამოკიდებლობის მიღწევის შემდეგ განვითარებადმა ქვეყნებმა დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარება დაიწყეს. ინტეგრაციული ხასიათის დაჯგუფებების შექმნას, რამაც 60-იან წლებში განვითარებადი სამყაროს მთელი რეგიონები მოიცვა, ახალგაზრდა სახელმწიფოები განიხილავდნენ როგორც საგარეო ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. ისინი ამით ცდილობდნენ განვითარებულ ქვეყნებზე დამოკიდებულების შემცირებას. ეს მიდგომა ამჟამად აქტუალურია. ამას მოწმობს საქართველოს (ისევე როგორც დანარჩენი პოსტსოციალისტური ქვეყნების, რომლებმაც დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვეს) მთავრობის მიერ განხორციელებული საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელიც საგარეო ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაციის კენჭა მიმართულია. ამიტომ საქართველოსათვის რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა სრულიად ბუნებრივი პროცესია, რომელიც თავის დროზე განვითარებადი ქვეყნების უმეტესობამ გაიარა.

სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით,

საქართველოსათვის რეპიონული ინტეგრაციული პროცესებში ჩართვა სრულიად ბუნებრივი პროცესია, რომელიც თავის დროზე განვითარებადი ქვეყნების უმეტესობამ გაიარა.

გრაციული კომპლექსების ჩამოყალიბებაზე ვისაუბროთ. 70-იანი წლების ბოლოს სასესიო ცხადი გახდა, რომ ინტეგრაციული განვითარებად სამყაროში მათზე დამყარებული ყველა იმედი არ გაამართლა. არც ერთ არსებულ ინტეგრირებულ დაჯგუფებაში ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ინტეგრაციისათვის არ მიუღწევია, რომელიც საშუალებას მოგვცემდა გვესაუბრა რეგიონული ბაზრის ხარჯზე საშინაო ბაზრის შეზღუდვების გადალახვაზე. უფრო მეტიც, განვითარებადმა ქვეყნებმა, რომლებმაც ეკონომიკური განვითარების საქმეში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს 60-70-იან წლებში (ე.წ. ახალი ინდუსტრიული ქვეყნები) ეს მოახერხეს, უპირატესად, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში უშუალო ინტეგრირებისა და თავიანთი სამრეწველო ექსპორტის განვითარებულ ქვეყნებში ფორსირების ხარჯზე. დასავლეთ ევროპული მოდელის მსგავსი რეგიონული კომპლექსების შექმნა მოსალოდნელ ეფექტს არ იძლევა განვითარებად სამყაროში. როგორც ჩანს, იგი ნაადრევია ინტეგრაციული პროცესების განვითარების საწყისი ეტაპისათვის.

სანარმოო ძალების განვითარების დაბალი დონე, ეროვნული ვერძო კავიზაციის სისუსტე, რომელიც თავის მხრივ მიკროეკონომიკურ დონეზე სპონტანური ინტეგრაციული კავშირების არსებობას განსაზღვრავს, იმაზე მიუთითებს, რომ შავი ზღვის რეგიონში ინტეგრირებისათვის ობიექტური ბაზა სუსტია. რეგიონის ქვეყნების გაერთიანების საფუძველს სუბიექტური პოლიტიკური ხასიათის ფაქტორები და მოტივები წარმოადგენს. მაგრამ ეს სრულფასოვან არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოთა მცდელობას, რომელიც ამჟამად მხოლოდ პოლიტიკურ მოტივებზეა დაფუძნებული, შედეგად არ მოჰყვება.

თუ გავიხსენებთ ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ბალასის ინტეგრაციის თეორიას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით შეიძლება ვისაუბროთ ინტეგრაციაზე როგორც პროცესზე და არა როგორც მდგომარეობაზე. შავი ზღვის ინტეგრირებული დაჯგუფების მომავალი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სახელმწიფოთა შორისო პოლიტიკის უნარზე, შექმნას ნაწამდღვრები მონაწილე

თუ გავიხსენებთ ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ბალასის ინტეგრაციის თეორიას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით შეიძლება ვისაუბროთ ინტეგრაციაზე როგორც პროცესზე და არა როგორც მდგომარეობაზე.

ქვეყნებისათვის რეალური ეკონომიკური დახმარებისათვის. როგორც გამოცდილება ცხადყოფს, დასავლეთევროპული მოდელის მსგავსი რეგიონული კომპლექსების შექმნა საჭირო შედეგს არ იძლევა განვითარებად სამყაროში. იგი არ გამოადგება ინტეგრაციული პროცესების განვითარების სანაირს ეტაპისათვის. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ინტეგრაცია შავი ზღვის რეგიონში თავისი განვითარების სანაირს უტოლდება. მაგრამ ინტეგრაციაზე დადებითი ეტაპების მოხდენა შეუძლებელია განვითარებული ქვეყნების მთავრობებსა და ტრანსევრუსულ კორპორაციებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავიანთი საქმიანობის რეგიონში განვითარებად ქვეყნებში. შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობის დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ მთელი რიგი განვითარებული ქვეყნები (იტალია, ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, და ა. შ.), ხოლო ევროკავშირი შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული ინტერესების სფეროდ განიხილავს, რაც თანამშრომლობის პერსპექტივობას ადასტურებს და გარკვეული წარმატებების საფუძველს ქმნის.

განვითარებული ქვეყნების გავლენა განვითარებად ქვეყნებზე ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: პირველი, განვითარებადი ქვეყნების ჩართვა ეკონომიკურ დაჯგუფებებში და მეორე, ინტეგრაციულ ლონდონის გზაზე უშუალო მონაწილეობა პროცესებში მონაწილეობით. აღნიშნული პროცესები ხორციელდება სწორედ BSEC-ში.

პრობლემის სულ სხვა ასპექტია ის, რომ უცხოური კომპანიების, რეგიონული საქმიანობის შედეგები და განვითარებული ქვეყნის მთავრობები, რომლებიც მათ უჭერენ მხარს, ბუნებრივია, ობიექტურად ეწინააღმდეგება განვითარებადი ქვეყნების დაჯგუფებების მცდელობას, გაატარონ დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა მსოფლიო ბაზარზე ან განახორციელონ რეგიონული ხასიათის კონკრეტული მიზნები, რომელიც ახალგაზრდა სახელმწიფოთა ეროვნული კერძო კომპანიების წინაშე დგას. სწორედ ამიტომ ერთიანი რეალური ხაზის გამოთქმება უცხოურ კაპიტალთან მიმართებაში, განსაკუთრებით, ტრანსევრუსული კორპორაციებთან მიმართებაში მეტად მნიშვნელოვანია განვითარებად სამყაროს რეგიონული დაჯგუფებების პროგრესისათვის, მათში დამოუკიდებელი ინტეგრაციული ტენდენციების გამყარებისათვის. უცხოური კაპიტალის მოზიდვას „BSEC-ის ქვეყნებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო კომპლექსების აღდგენისა და ახალი, ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირების განვითარებისათვის.

მიუხედავად ამისა, განვითარებადი ქვეყნების ძალისხმევას ეკონომიკური ურთიერთობების ცალკეულ სფეროებში უკვე დღესვე შეუძლია პოზიტიური შედეგების მოტანა, რადგან იგი

მსოფლიო მეურნეობის განვითარების ობიექტურ ტენდენციებს ეყრდნობა. მთლიანობაში ინტეგრირებული დაჯგუფებების წარმატება მნიშვნელოვანი ხარისხით დამოკიდებულია სამეურნეო ურთიერთობების სტიმულირების ისეთი ფორმების შემუშავებაზე, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება კონკრეტული რეგიონის სპეციფიკურ თავისებურებებს.

ეს განვითარებადი ქვეყნების რეალურ ინტეგრაციულ პრაქტიკაში პოვნებას ახსნავს. ამ თვალსაზრისით, BSEC-ის შექმნა და მისი შემდგომი ფუნქციონირება იმედის მომცემია, მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობის თავდაპირველ ეტაპზე პროცესები მეტად დაუნდვით ვითარდებოდა. ამ გაერთიანებაში მიმდინარე პროცესები მსოფლიო მეურნეობის განვითარების ობიექტური ტენდენციების შესაბამისად ვითარდება. რეგიონის ქვეყნებს მჭიდრო ეკონომიკური კავშირების დამყარების უზარმაზარი პოტენციალი გააჩნიათ.

რეგიონული თანამშრომლობა (რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველი)

წარმოების ინტეგრაციის პროცესები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდში სემინარო-ტექნიკური რევილუციის განვითარებასთან დაკავშირებით ახალ იმპულსს იძენენ, როცა ეკონომიკური ურთიერთობების სიღრმე და უნივერსალური ხასიათი ცალკეული ეროვნული მეურნეობების კვლავწარმოების პროცესების დაახლოებასა და ურთიერთგადახლართვის ტენდენციას წარმოშობს.

ამ პროცესს უპირატესად რეგიონული ხასიათი აქვს, რადგან წარმოებათა ინტენსიფიკაციისა არათანაბრად მიმდინარეობს, ხოლო ინტეგრაციის წინამძღვრები პირველ რიგში იმ რეგიონებში ჩნდება, სადაც სამეურნეო კავშირები შედარებით მჭიდროა და ინტეგრაციის სუბიექტური ფაქტორები მეტი ძალით იჩენს თავს.

თანამედროვე რეგიონალიზმში, მისი ფართო გაგებით, გახლავთ იმ პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების გლობალიზაცია, რომლებშიც რეგიონები არიან გაერთიანებულნი. რეგიონალიზმის ერთერთი ყველაზე ნათელი გამოვლინება რეგიონული მრავალმხრივი ინსტიტუტების განვითარება გახლავთ.

თუ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო იდეოლოგიური და სტრატეგიული ბიპოლარობა, დღევანდელი მსოფლიოს ცხოვრება შეიცვალა მრავალპოლუსური სამყაროს შექმნის ტენდენციებით. ამის ერთერთ მიზეზად შეიძლება რეგიონული ინსტიტუტების რიცხვისა და მასთან კავშირში მყოფი რეგიონული ორგანიზაციის დონეების ზრდა მივიჩნიოთ.

გლობალიზაცია „ეროვნულ ეკონომიკებზე“

დომინირებით მსოფლიო ბაზრის გაფართოებას გულისხმობს, რამაც, შესაძლოა, მათ საკუთარი „ეროვნული“ გარკვეული მნიშვნელობა დააკარგვიროს. ეს ლოკალურ წარმოებებზე მსოფლიო ბაზრის სტრუქტურების დომინირებას ნიშნავს. ამის გამო, არ არის გამორიცხული, რომ გაჩნდეს გლობალიზაციის შეფერხებები, ან ამ პროცესის საპირისპირო მიმართულებით შემოტრიალების პოლიტიკური სურვილები, რათა გარკვეულწილად ტერიტორიული კონტროლისა და კულტურული მრავალფეროვნების რაღაც დონე დაცული იქნას. ამგვარი ცვლილებების ერთ ერთი გზა სწორედ ახალი რეგიონალიზმში გახლავთ.

ახალი რეგიონალიზმი მრავალპოლუსური თანამედროვე მსოფლიოს ფუნდამენტია. ფაქტობრივად, ახალი რეგიონალიზმი და მულტიპოლარობა ერთი მონეტის ორი მხარეა. ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიის შემცირებამ და კომუნისტური სისტემის რღვევამ რეგიონალიზმის განვითარებისათვის საკმარის კარგი მანქანების საფუძველი შექმნა.

არსებობს ორი სახის რეგიონალიზმი - ღია და დახურული. ახალი, შედარებით სპონტანური პროცესია, რომელიც ქვეყნები მისწრაფებენ თანამშრომლობისაკენ გლობალური ცვლილებების მისაღწევად. ახალი ცაცილებით ღია და ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიო ეკონომიკასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება.

1. თუკი ძველი რეგიონალიზმისათვის დამახასიათებელი იყო მიზნობრივი განვითარება (ზოგიერთი რეგიონი ორიენტრებული გახლდათ ეკონომიკაზე, ზოგიერთი - უსაფრთხოების საკითხებზე), ახალი შედარებით მრავალფეროვანი და მრავალგანზომილებიანი პროცესი გახლავთ. ეს პროცესი მოიცავს არა მარტო ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროებს, არამედ გარემოს დაცვას, სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სხვა მრავალ პრობლემასაც. იგი უზიმატებს ქვეყნებსა და გაერთიანებებს ახალი ტიპის რეგიონულ სტრუქტურებში თანამშრომლობისათვის.

2. მაშინ, როდესაც ძველი რეგიონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს გულისხმობდა, ახალი გლობალური სტრუქტურული ტრანსფორმაციის ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც არასახელმწიფოებრივი სტრუქტურები (სხვადასხვა ინსტიტუტები, ორგანიზაციები, მოძრაობები) მონაწილეობენ და გლობალური სისტემის სხვადასხვა დონეებზე მოქმედებენ.

საბოლოო ჯამში, ახალი რეგიონალიზმი

პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს მოიცავს და გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ თავისუფალი ვაჭრობა.

არსებობს რეგიონალიზმის კიდევ ერთი კატეგორია, რომელსაც სახელმწიფოთა შორის რეგიონული თანამშრომლობა (Regional Inter-state Cooperation) ეწოდება. რეგიონალიზმის ეს კონკრეტული პროცესი გულისხმობს სამთავრობათაშორის (ფორმალური და არაფორმალური) ინსტიტუტების მნიშვნელობას (ეს სწორედ BSEC-ის შემთხვევაა, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს სამთავრობათაშორის ინსტიტუტების დაფუძნება თუ ფუნქციონირება).

რეგიონული ტენდენციების განხილვას ეწ. „რეგიონულიზმის“ ხარისხების შესწავლამდე მივყავართ. რეგიონის ევოლუცია ხანგრძლივი პროცესია და მსოფლიოს განსხვავებული რეგიონები უბრალოდ განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე იმყოფებიან.

შეტნე რეგიონული ორგანიზაციის პირველ სტადიაზე, რეგიონს მიიჩნევენ სპეციფიკურ გეოგრაფიული და ეკოლოგიური ნიშნების მქონე უბრალო ერთეულად. მაგალითად, ინდოეთის სუბკონტინენტი, ან ევროპა ურადიან ატლანტის ოკეანამდე, ან თუნდაც შავი ზღვის აუზი. მეორე საფეხურზე რეგიონი წარმოადგენს სოციალურ სისტემას, რომელიც რეგიონის შიგნით სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობებს მოიცავს. აქვე შეგვიძლია დავამატოთ რეგიონში ძალთა ბალანსის სისტემა, რომელიც, მართალია, თვით სახელმწიფოების მიერ არაა შექმნილი, მაგრამ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათზე. მესამე სტადიაზე რეგიონი ხდება პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის სისტემა. (შავი ზღვის რეგიონი განვითარების მესამე სტადიაზე ჯერ არ გადასულა, მაგრამ ნაშრომის შემდგომი განცნობა დაგვარწმუნებს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს). ბოლოს კი, შეტნეს აზრით, რეგიონი იქცევა სამოქალაქო საზოგადოებად, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას და იმავდროულად, კულტურული ფასეულობების თანხვედრასაც. საერთო კულტურა რეგიონული ორგანიზაციის უკანასკნელი სტადიის - რეგიონული სახელმწიფოს შექმნის წინაპირობა გახლავთ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ღია რეგიონალიზმი მოცემული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და ინტეგრაციულ ურთიერთქმედებას მსოფლიო ეკონომიკის

¹ Andrew Hurrell. *Explaining the Resurgence of Regionalism in World Politics. Review of Institutional Studies*, 1995, გვ. 337
² Bjorn Hetne. *The Regional Factor in the Formation of a New World Order. Global Transformation Challenges to the State System*. Tokyo: United Nations University Press. 1994, გვ. 134-166.
³ Bjorn Hetne. *The Regional Factor in the Formation of a New World Order. Global Transformation Challenges to the State System*. Tokyo: United Nations University Press. 1994, გვ. 168-172.

განვითარების კონტექსტში განიხილავს. იგი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის წინაშეგდგარა. ევროკავშირის და NAFTA ასეთი ღია რეგიონალიზმის მაგალითებია.

დახურული რეგიონალიზმი, პირიქით, გლობალიზაციას ეწინააღმდეგება. მისი მიზანი გლობალიზაციის ნეგატიური შედეგებისაგან რეგიონის დაცვაა. დახურული რეგიონალიზმის მაგალითი კომუნისტური ბლოკის ეკონომიკური ურთიერთდახმარების ყოფილი საბჭო შეიძლება მივიჩნიოთ. შეიძლება, სწორედ დახურული რეგიონალიზმის სტრატეგია (სხვა ცნობილ და უცნობ ფაქტორებთან და გარემოებებთან ერთად) გახდა სოციალისტური

სისტემის კრახის მიზეზი. სოციალისტურმა სისტემამ, რომელიც მხოლოდ საკუთარ ძალზე ეყრდნობოდა, მსოფლიოს მზარდ ურთიერთდაშორებულებასთან ადაპტირება ვერ შეძლო.

ყოფილ სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის, რომლებიც ევროპულ ღია რეგიონალიზმს მოკლებულნი იყვნენ, ევროკავშირის ტიპის სახელმწიფოთა შორის სტრუქტურა არ არსებობს. პოლიტიკურ-ინსტიტუციური ვაკუუმში სხვადასხვა ვარიანტების შექმნის პროცესი აძლევს სტიმულს. ამის მაგალითია: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა, სამხრეთ ევროპის თანამშრომლობის ინიციატივა, ცენტრალური ევროპის ინიციატივა და ა. შ.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის თანამშრომლობის შიქმნის წინამძღვრები

უძველესი დროიდან შავი ზღვის რეგიონი სხვადასხვა ცივილიზაციითა აკვანს წარმოადგენდა, სადაც კარგად იყო განვითარებული ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები. დღესდღეობით, შავი ზღვის სივრცეში უამრავი პრობლემა არსებობს, რომელთა გადასაჭრელად საჭირო და აუცილებელია, რომ რეგიონის ქვეყნები ერთმანეთს დაეხმარონ და პროექტების განხორციელებაში ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა, რაც დადებით გავლენას მოახდენს არა მარტო ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ საერთოდ, მთელი რეგიონის მშვიდობიან და სტაბილურ განვითარებაზეც.

სტრატეგიული რესურსების, აუთვისებელი ბაზრის, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი საქონლისა და განსაკუთრებით მომსახურების სფეროს განვითარების უზარმაზარი პოტენციალის არსებობა ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის XX საუკუნის მინურულსაც საუკეთესო პირობებს ქმნის. შავი ზღვის რეგიონს

მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზრად გადაქცევა შეუძლია. თანამშრომლობის დადებითად განვითარების საფუძველი რეგიონული ინტეგრაცია და გლობალური პროექტებია.

მაგრამ 1989 წელს სუკრუ ელვადგას, თურქეთის ყოფილ ელქს აშშ-ში, სერიოზულად არც კი მოუსმინეს, როცა მან შავი ზღვის თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის იდეა წამოაყენა, რომელიც თურქეთს, საბჭოთა კავშირს, რუმინეთსა და ბულგარეთს გააერთიანებდა. თუმცა იდეა არცთუ ისე უარესსაქეტივო აღმოჩნდა, როგორც თავდაპირველად ჩანდა. 1992 წელს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა, რეგიონში



არსებული დაძაბული ვითარების მიუხედავად, მაინც ჩამოყალიბდა. მასში გაერთიანდა რეგიონის 11 ქვეყანა: ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნები და ამოცანები

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფუნქციონირებას საფუძვლად „ბოფორის დეკლარაცია“ უდევს, რომელსაც 1992 წლის 25 ივნისს ამ თანამშრომლობის მონაწილე 11 სახელმწიფოს მეთაურმა მოაწერა ხელი. დეკლარაციაში შეესაბამება დასავლეთი აქტისა და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონცეფციის მომდევნო დოკუმენტებში და, განსაკუთრებით პარიზის ქარტილაში ჩამოყალიბებული პრინციპები აღიარებულია. ეს მეტად მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან საქართველო და მასთან ერთად პოსტსოციალისტური ქვეყნები მსოფლიოში აპრობირებულ სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრებას ცდილობენ. რა თქმა უნდა, სამართლებრივი იზოლაციის პრობლემის გადასაჭრელად მხოლოდ ეს დოკუმენტი საქმარის არ არის. გარდა ამისა, როგორც საქართველო, ისე დანარჩენი პოსტსოციალისტური ქვეყნები აქტიურად მუშაობენ საერთაშორისო კონვენციებზე და თელსეკრუ-ლელებთან მიერთებაზე, მაგრამ BSEC-ის დეკლარაციის მიღება, ერთ-ერთი ნაბიჯია ამ მიმართულებით, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს საერთო სამართლებრივ გარემოს ჩამოყალიბებას BSEC-ის წევრებს შორის, ეს კი აუცილებელია საერთო და გლობალური პროექტების განხორციელებისათვის.

ორგანიზაცია (თანამშრომლობა) ღია და ინტეგრირებული სახელმწიფოებისათვის, რეგიონული

ინიციატივებთან და საერთაშორისო სამართლის ნაცემებთან ურთიერთქმედებისათვის, რომლებიც ცნობენ ამ თანამშრომლობის დოკუმენტად დებულებებს, რაც შეეხება პროექტებს, რომლებიც საერთო დაინტერესებას იწვევენ, მათ განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ცალკეულმა ქვეყნებმა, მათმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა, სანარჩევებმა და ფირმებმა, ასევე რეგიონულმა საერთაშორისო ეკონომიკურმა და ფინანსურმა ორგანიზაციებმა: აღნიშნული გარემოება გამოწვეულია BSEC-ის სუსტი ფინანსური შესაძლებლობებით. გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონში არსებული პროექტები, თავისი მნიშვნელობით ხშირად ცდებიან რეგიონის ფარგლებს და გლობალური ხასიათის დატვირთვასაც იძენს (მაგ.: სატრანსპორტო დერეფანი, ეკოლოგიური უსაფრთხოება, საკომუნიკაციო საშუალებები, ტურიზმი და ა. შ.).

შავი ზღვის რეგიონში პრესაქეტიული თანამშრომლობის განვითარება მრავალ სფეროში შეიძლება. ცალკეულ ქვეყნების ეკონომიკების



დარგობრივი სტრუქტურებიდან გამომდინარე, მონაწილე ქვეყნებმა პრიორიტეტი მიანიჭეს თანამშრომლობის განვითარებას ეკონომიკის სფეროში. მნიშვნელოვან სფეროებში როგორცაა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (მათი ინფრასტრუქტურების ჩათვლით) ენერგეტიკა, მინერალური ნიაბისეული მოპოვება და გადამუშავება, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და აგრომრეწველობა, ჯანდაცვა და მედიკამენტების წარმოება, მეცნიერება და ტექნიკა, ინფორმეტიკა. BSEC-ის მონაწილე ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, აგრეთვე, ეკონომიკური და კომერციული ინფორმაციის შესახებ სტატისტიკური მონაცემების გაცვლას, ეტერინალური და სანტარული დაცვისა და ნაწარმის სტანდარტიზაცია-სერთიფიცირების საკითხებს.


BSEC-ში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სანარჩევებსა და ფირმებს შორის პირდაპირი კავშირები. მონაწილე სახელმწიფოები მზად არიან, ხელი შეუწყონ საქონლითა და მომსახურებით-თვაჭრობის გაფართოებას და იზრუნონ ამგვარი განვითარების უზრუნველსაყოფად ხელსაყრელი პირობების შექმნაზე. ამ კონტექსტში აუცილებელია დახმარების განწევა მცირე და საშუალო

ბიზნესისათვის. საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და წესებზე დაფუძნებული ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა განავითარებს და მრავალფეროვანს განხრ BSEC-ის საქმიანობას.

როგორც თ. ბერიძე აღნიშნავს, პოლიტიკური მოლაპარაკება ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ქვეყანათა პოლიტიკური ნება და თანამშრომლობის მტკიცე სურვილი საკმარისია ნათლად არის ფორმულირებული BSEC-ის დეკლარაციაში, რაც მომავალში ეკონომიკური თანამშრომლობის დინამიური განვითარებაში აისახება. თუთ BSEC-ის შექმნის ფაქტი, არსებული ანტაგონიზმების შესაძლო დასასრულსა და მჭიდრო თანამშრომლობის დაწყების სურვილს მოახსენებს. დეკლარაციაზე ხელმოწერით სახელმწიფოებმა დაადასტურეს თავიანთი სურვილი, იმოქმედონ მეგობრული და კეთილმეზობლური სულისკვეთებით, რათა ქვეყნებს შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფერო დაქოქდეს, რომელიც დადებითად იმოქმედებს ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებაზე.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი პროექტის დაგეგმვისა, თუ განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იქნება თითოეული მონაწილე ქვეყნის სპეციფიკური ეკონომიკური პირობები და ინტერესები, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების პრობლემები.

BSEC-ში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების განვითარებისათვის გადაუდებელ



საჭიროებას კაპიტალის დასაბანდებლად, კაპიტალის მოდენისათვის და სამრეწველო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა წარმოადგენს. პრობლემის მასშტაბურების გამო, მონაწილე ქვეყნებმა დეკლარაციაზე ხელმოწერით დაადასტურეს და ხაზი გაუსვეს აღნიშნული პირობების მიღწევისათვის ორმაგი დაბეგვის თავიდან აცილების უზარმაზარ მნიშვნელობას. ამ მიზნის მისაღწევად სათანადო ზომების მიღება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. ინტეგრაციის პროცესს შეუწყობს ხელს, აგრეთვე, უცხოური ინვესტიციების დაცვა და წახალისება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნებისთან ამ

1. თ. ბერიძე „ინტეგრაციული ეკონომიკა უსაფრთხოება და ინტეგრაციული პროცესები“. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, იანვარი 1998 წ.

შრომლობის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში.

BSEC-ში არსებული (ობანოპი) და შპს-ების სტრუქტურა

თავისი ფუნქციონირების არც თუ ისე დიდი ხნის მანძილზე BSEC-მა საკმაოდ მტკიცე და ეფექტიანი სტრუქტურული მექანიზმის შექმნა მოახერხა. BSEC-ის საორგანიზაციო სტრუქტურა სამთავრობათა შორის, საპარლამენტაშორის, კომერციულ და ფინანსურ სტრუქტურებს მოიცავს.

სამთავრობათა შორის (ობანოპი) სტრუქტურა

სამთავრობათა შორის სტრუქტურებს წარმოადგენენ: გადაწყვეტილების მიმღები ორგანო - საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, მაღალი თანამდებობების პირთა კომიტეტი, მუშა ჯგუფები და კონკრეტულ საკითხზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფები.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის გაერთიანების კოორდინატორები საგარეო საქმეთა სამინისტროები არიან, ხოლო უმაღლესი ორგანო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოა, თუმცა ეს სრულეობითაც არ გამოირჩევა იმას, რომ დროდადრო სახელმწიფოთა შეთანხმებით, ანუ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელები შეიკრიბებიან და უფრო სტრატეგიული ამოცანები და მიზნები დაინახონ, რაც BSEC-ის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს მეტ ძალას აძლევს.

საბჭოს შესვენებაზე შორის ინტერვალში BSEC-ის საქმიანობაში ცენტრალური როლი თავმჯდომარეს ენიჭება. თავმჯდომარის ფუნქციების ეფექტიანად გამოყენების საშუალებით ამა თუ იმ ქვეყანას ეძლევა მეტად ხელსაყრელი შანსი, წარმოაჩინოს საკუთარი უპირატესობანი, ან საფუძვლიანი ჩაუყაროს ახალ ინიციატივებს. ასე მაგალითად, საქართველოს თავმჯდომარეობის პერიოდში (ოქტომბერი 1998წ. - აპრილი, 1999 წ.) ჩატარდა საერთაშორისო პროგნოზი მაგნიტური X/XI საუკუნის მიჯნაზე, რომლის დროსაც მოხდა საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლების (ბიზნესმენების, პოლიტიკოსების, მეცნიერების, დიპლომატების და ა.შ.) აზრთა გაზიარება. შესაბამისად, უფრო თვალსაჩინო გახდა და გამოიკვეთა BSEC-ის პრიორიტეტები. ამავე პერიოდში მიღებულ იქნა ევროკავშირთან თანამშრომლობის პლატფორმა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საერთოდ BSEC-ის განვითარებისთვის, არამედ ცალკეული ქვეყნების, და განსაკუთრებით, საქართველოს მომავალი განვითარების თვალსაზრისით.

მაღალი თანამდებობის პირთა შეხვედრა. მაღალი თანამდებობის პირთა კომიტეტის სხდომა, როგორც წესი, წინ უსწრებს, საგარეო საქმეთა

მინისტრების შეხვედრას. მასზე განიხილება ის საკითხები, რომლის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა მიიღებს.

მაღალი თანამდებობის პირთა კომიტეტი BSEC-ის სტრუქტურის მეტად აუცილებელი კომპონენტია, რადგან მასში მონაწილეობას ღებულობს ნევრი ქვეყნების იმ სფეროების წარმომადგენელი კომპეტენტური პირები, რომელშიც მიმდინარეობს კონკრეტული პროექტის განხილვა ან რეკომენდაციის შემუშავება და რომლის შესახებაც საბოლოო გადაწყვეტილებას საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭო მიიღებს.

საერთაშორისო სამდივნო. საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის გადაწყვეტილებით სტამბულის BSEC-ის მუდმივი საერთაშორისო სამდივნო დაარსდა, რომელიც მუშაობის ორგანიზაციის უზრუნველყოფას აწარმოებს. მას ევალება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსა და დამხმარე ორგანოების სხდომებისა და შეხვედრების ორგანიზება, საჭირო დოკუმენტებისა და განსახილველი პროექტების მომზადება და დარიგება მოწინა ილე სახელმწიფოებისათვის.

დამხმარე ორგანოები. დამხმარე ორგანოების დაფუძნება საბჭოს გადაწყვეტილებით ხდება. დამხმარე ორგანოები შეხვედრების პერიოდულობას და შეხვედრის ადგილს ნებაყოფლობის პრინციპით განსაზღვრავს. მათ უნდა შეასრულონ ის ფუნქციები, რომლებიც განსაზღვრულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ.

ამჟამად BSEC-ში 10-ზე მეტი მუშა ჯგუფია შექმნილი, რომელთა საქმიანობა მრავალმხრივ პროექტებში თანამშრომლობისა კენა მიმართულია. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტებსა და პროგრამებზე, ძირითადად, სწორედ ეს მუშა ჯგუფები მუშაობენ. ისინი ამუშავებენ ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხსა თუ სადავო პრობლემას. არსებობს, აგრეთვე ექსპერტებისაგან შემდგარი ჯგუფებიც. თუმცა BSEC-ის „კვლევებს“ მიღმა არჩანს და არ იგნორირება BSEC-ის მოღვაწეების რეალური შედეგები, გაკეთებული მაინც ბევრია.

წარმოადგენს იმ საშუალოს ნაწილზე მაინც, რაც BSEC-მა შეასრულა, მუშა ჯგუფების უბრალო ჩამონათვალიც კი ვაძლევს:

- სოფლის მეურნეობისა და აგრომრეწველობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი;
- საბანკო და საფინანსო საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- კავშირგაბმულობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ენერგეტიკის პრობლემებზე მომუშავე ჯგუფი;

- გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- სტატისტიკური მონაცემებისა და ეკონომიკური ინფორმაციის გაცვლის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ინვესტიციების განვითარებისა და ხელშეწყობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ვაჭრობისა და ინდუსტრიული თანამშრომლობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ტრანსპორტის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;

ბიზნესის სამყაროდან ცალკეული ინდივიდების მოგზაურობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი;

საორგანიზაციო საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;

საგანგებო სიტუაციის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი.

აქვე დავძენ, რომ თითოელმა მუშა ჯგუფმა უკვე რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. აქტიურად მიმდინარეობს ცალკეული ქვეყნის სამართლებრივი ბაზების, არსებული გამოცდილებისა და სხვადასხვა პროექტების განხილვა.

საპარლამენტო (ობანოპი) სტრუქტურა

საპარლამენტო (ობანოპი) სტრუქტურა

1993 წელს საპარლამენტო ურთიერთობების დამყარების მიზნით შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა (PABSEC) შეიქმნა, რომლის წევრები BSEC-ის წევრი ყველა ქვეყნის პარლამენტია. ასამბლეის ამოცანა BSEC-ის სამართლებრივი მხარდაჭერაა. როგორც მონაწილეები მიიჩნევენ, BSEC-ის წევრი ქვეყნების თანამშრომლობა უფრო ეფექტიანი, გამართული და რეგიონული მასშტაბის პროექტების მიზნებს მიმართ ურთიერთქმედების შედეგად. PABSEC-ი BSEC-ის განვითარების პროცესს მუდმივად უჭერს მხარს. იგი ამ თანამშრომლობის განყარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ინტეგრირებული პროცესების განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საერთო ან ურთიერთობისაგან გამართლებრივი გარემოს შექმნაა, ამიტომ ამ თვალსაზრისით, PABSEC-ის მიზანმიმართულ ფუნქციონირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მსგავსი სტრუქტურა ინტეგრაციული პროცესების დაჩქარებისთვის გადაწყვეტილი მნიშვნელობასაც კი იძენს.

PABSEC-ში შემდეგი სამი კომიტეტი ფუნქციონირებს: ეკონომიკური, კომერციული,

ტექნოლოგიური და გარემოს დაცვის საქმეთა კომიტეტი; სამართლებრივი და პოლიტიკური საქმეთა კომიტეტი; კულტურის, განათლებისა და სოციალურ საქმეთა კომიტეტი. PABSEC-ის სტრუქტურაში ფუნქციონირებს, აგრეთვე, საერთაშორისო სამდივნო.

კომიტეტი (ობანოპი) - ბიზნეს საბჭო

BSEC-ის სტრუქტურის კომერციული კომპონენტი - ბიზნეს საბჭო წევრი ქვეყნების კერძო სექტორის ინტერესებს წარმოადგენს და მეთვალყურის სტატუსი გააჩნია. იგი 1992 წელს მონაწილე ქვეყნების ინიციატივით შეიქმნა. საბჭო რეგულარულ ურთიერთობებს ამყარებს კომერციული საქმიანობის ეროვნულ კომიტეტებსა და BSEC-ის სამთავრობათა შორის ორგანოებს შორის. ბიზნეს საბჭო ეხმარება BSEC-ს კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების პროექტების განსაზღვრის საქმეში.

ბიზნეს საბჭო შეისწავლის, თუ რა გავლენას ახდენს BSEC-ის საქმიანობა კომერციული გარემოს გაუმჯობესებასა და ეკონომიკური კავშირების გაფართოებაზე.

საბჭო ამყარებს ხელსაყრელ ურთიერთობათა ქსელს იმ ორმხრივ ბიზნეს საბჭოებს შორის, რომლებიც უკვე ფუნქციონირებს მონაწილე ქვეყნებში. თუმცა, საჭიროა, საქმიანობის გააქტიურება და უფრო საგრძობი როლის შესრულება მიმდინარე პროცესებში. მან აქტიური როლი უნდა შეასრულოს, აგრეთვე, საერთაშორისო და რეგიონულ ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობაში და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ფინანსური რესურსების მოზიდვას.

ფინანსური კომიტეტი - შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი

BSEC-ის სტრუქტურის ფინანსური კომპონენტი წარმოდგენილია შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკით. იგი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია. იგი პირველი პროექტია, რომელშიც თანამშრომლობის თერთმეტივე ქვეყანა მონაწილეობს.

BSEC-ის ძირითადი მამოძრავებელი სტრუქტურის - შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის - დამფუძნებელ შეთანხმებას ხელი მოეწერა 1994 წლის 30 ივნისს ქ. თბილისში ჩატარებულ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მე-4 შეხვედრაზე.

ბანკის ადგილმდებარეობა ქ. საღინაო - საბურთალოს მხარეთაშორის მდებარეობს დეპოზიტარ ქვეყანას.

ამ ბანკის დამფუძნებელი შეთანხმების რატიფიკაცია BSEC-ის 11 ქვეყანამ უკვე მოახდინა. მის შესახებ შეთანხმება 1997 წლის 24 იანვარს შედგა ძალაში. ბანკის ინაუგურაცია 1998 წლის 5-6 თებერვალს ჩატარდა ქ. სალონიკში.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შავი ზღვის ბანკის სტრუქტურას საფუძვლად მსოფლიო ბანკის (WB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ორგანიზაციული პრინციპები დაედო. ზოგადად ეს პრინციპები ითვალისწინებს ქვეყნების ეკონომიკურ და ფინანსურ მოთხოვნებს, ბანკის სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობებსა და ბანკის რეგიონულ ხასიათს.

ბანკის ჩამოყალიბებას თავიდანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა, რადგან მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ეკონომიკის გარდაქმნის პროცესების ხელშეწყობა, რეგიონული პროექტებისა და პროგრამების დაფინანსება, მონაწილე სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის გაფართოება და საბოლოო ფაზაში, შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

თავისი მიზნების მისაღწევად ბანკი დახმარებას გაუწევს ნეერ სახელმწიფოთა შორის რეგიონთაშორის ვაჭრობის განვითარებას. იგი დაფინანსებს ნეერ სახელმწიფოებში სანარმოო პროექტებსა და სანარმოებს. ითანამშრომლებს საერთაშორისო დანესებულებებთან განვითარების საკითხებში და ნეერ სახელმწიფოთა ეროვნულ დანესებულებებთან, რომლებსაც ევალებათ დაფინანსებისა და განვითარების საკითხებში; ბანკს შეუძლია დააარსოს სპეციალური ფონდები კონკრეტული მიზნებისათვის, რომლებსაც განსაზღვრავს მმართველთა საბჭო და მართოს ეს ფონდები;

შავი ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განვითარებისა და ეკონომიკის გარდაქმნის პროცესების დასაქმრებლად ბანკს უფლება აქვს დააფინანსოს საემცნეო კვლევები და მომზადებები, ხოლო დაინტერესებულ ქვეყნებს გაუწიოს კონსულტაცია რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის.

1999 წელს ბანკმა უკვე განსაზღვრა თავდაპირველი საქმიანობის პრიორიტეტები: ინსტიტუციონალიზაცია მავსტრალის, მათი ინფრასტრუქტურა და ტურიზმის სფერო. წარმატების შემთხვევაში მოსალოდნელია, ბანკის ფუნქციები და მოვალეობები გაიზარდოს.

ბანკის ფუნქციონირების დაწყებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სანესდებო

კაპიტალში წილების შეტანა. ბანკის კაპიტალის აღრიცხვის ერთეულია სესხის სპეციალური უფლებები (შემდგომში სს-უ დ წოდებული), როგორც ისინი განსაზღვრულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდებაში (შემდგომში სს-უ). ბანკის სანესდებო კაპიტალი შეადგენს ერთ მილიარდ (1.000.000.000) სპეციალურ სესხს სპეციალური უფლებებს. სანესდებო ფონდი დაყოფილია ერთ მილიონ (1.000.000) აქციად, ყოველი აქციის ნომინალური ღირებულება ათასი (1000) სდრ. თავდაპირველად გასაშვებად ნებადართული ბანკის სააქციო კაპიტალი შეადგენს ათას (1000) სს-უ ნომინალური ღირებულების 1 მილიონ აქციად დაყოფილ ერთ მილიარდ სს-უ. შავი ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის მონაწილე ყოველ სახელმწიფოს აქვს უფლება ხელი მოაწეროს (უშუალოდ, ან თავისი დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით) თავდაპირველად გასაშვებად ნებადართული ბანკის სანესდებო კაპიტალის წილს, კერძოდ:

ალბანეთის რესპუბლიკას, სომხეთის რესპუბლიკას, აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოს და მაკედონიას რესპუბლიკას - 20 000 აქციას (ერთობლივი ნომინალური ღირებულებით - 20 000 000 სს-უ - 2% პროცენტი თავდაპირველად გასაშვებად ნებადართული სააქციო კაპიტალისა);

ბულგარეთის რესპუბლიკას, რუმინეთს და უკრაინას - 135 000 აქციას (ერთობლივი ნომინალური ღირებულებით - 135 000 000 სს-უ - ცამეტნახევარი (13,5) პროცენტი თავდაპირველად გასაშვებად ნებადართული სააქციო კაპიტალისა);

საბერძნეთის რესპუბლიკას, რუსეთის ფედერაციას და თურქეთის რესპუბლიკას 165 000 აქციას (ერთობლივი ნომინალური ღირებულებით - 165 000 000 სს-უ - თექვსმეტნახევარი (16,5) პროცენტი თავდაპირველად გასაშვებად ნებადართული სააქციო კაპიტალისა);

აქედან გამომდინარე, საქართველოს პირველი შესატანი წილი შეადგენს დაახლოებით ორი მილიონ რეალს ათას (2.800.000) აშშ დოლარს, რომლის მესამედიწილს შეიძლება გადახდოდა იქნას ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი კურსით.

რეგიონთაშორისო პროექტების რეალიზაციის საქმეს დიდად წაადგება შავი ზღვის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქმიანობა. ბანკმა ფუნქციონირება უკვე დაიწყო. იგი აქტიურად განიხილავს სხვადასხვა პროექტებს. 2000 წლის ივლისში, საქართველოს ბანკს - გამოეყო საკრედიტო ხაზი, რომელიც ითვალისწინებს BSEC-ის ფარგლებში თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავებისაკენ მიმართული პროექტებისათვის შეღავათიანი კრედიტების გამოყოფას. როგორც ვარაუდობენ, შესაძლებელი გახდება მრავალი ერთობლივი პროექტის გახორციელება, რაც დააძვირებს

* იგივე „სდრ“-ი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთეულია და დაახლოებით 1,4 აშშ დოლარია

ზეგავლენას მოახდენს BSEC-ის ქვეყნების განვითარებაზე.

ღარობრივი რეგიონული ცენტრები და მრავალმხრივი პროექტები

BSEC-ის წევრი ქვეყნები აქტიურად ეძებენ თანამშრომლობის გზებსა და ფორმებს. მუშა ჯგუფები მრავალი სინტერესო წინადადებისა, თუ პროექტის განხილვაზე მუშაობენ. შეიქმნა რამდენიმე დარგობრივი რეგიონული ცენტრი.

BSEC-ის წევრი ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ფუნქციონირებს საერთაშორისო შავი ზღვის კლუბი, რომელსაც მეთვალყურის სატაქსის გააჩნია. იგი არამომგებიანი ორგანიზაციაა და იურიდიული პირის სატაქსით სარგებლობს. მისი წევრები შავი ზღვის რეგიონის ქალაქები არიან. ქალაქის წარმომადგენელი მისი მერია. შავი ზღვის კლუბი 1992 წელს დაარსდა. მისი წევრი ქალაქებია: ვარნა, ბურგასი (ბულგარეთი), სალონიკი, ფირაეუსი (საბერძნეთი), კონსტანცა, ტალირი (რუმინეთი), თავანროგი (რუსეთი), გატამბული, სამსუნი, ტრაპიზონი (თურქეთი), ოდესა, ხერსონი და ნიკოლაევი (უკრაინა).

საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს მეხუთე შეხვედრის გადაწყვეტილების თანახმად, BSEC-ის ფარგლებში ვეტერინარული ცენტრი დაარსდა, შავი ზღვის რეგიონში, რომელიც ბალკანეთის ვეტერინარული კომიტეტის საქმიანობის გაგრძელებას უმსახურება. ცენტრი ცდილობს უზრუნველყოს ვეტერინარული კონტროლის კოორდინირებული გაძლიერება ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე საერთაშორისო სორმების შესაბამისად.

თურქეთის სახელმწიფო სტატისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილია სტატისტიკური მონაცემებისა და ეკონომიკური ინფორმაციის გაცვლის ცენტრი.

ბალკანეთის მცირე და საშუალო სანარმოების ცენტრის ბაზაზე ანალოგიური რეგიონული ცენტრი BSEC-შიც შეიქმნა. იგი BSEC-ის ქვეყნებში არსებული მცირე და საშუალო სანარმოების შესახებ მონაცემთა ბანკის ჩამოყალიბებას აპირებს.

ქ. ოდესაში უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ადგილობრივი დანესებულების ბაზაზე მონაწილე ქვეყნები რეგიონული ეკოლოგიური ცენტრის შექმნას აპირებენ. ცენტრის მიზანს გადგომის დაცვის პროექტების შემუშავება და დანერგვა წარმოადგენს. ეკოლოგიური სახისათვის პროექტის შემუშავებაზეა, აგრეთვე, ორიენტორებული თურქეთში არსებული ცენტრის „მარმარა“-ს საქმიანობა.

ბულგარეთის ცდილობს, შავი ზღვის რეგიონში საერთაშორისო ინფრასტრუქტურის განვითარების ტრანსრეგიონული ცენტრი სოფიაში შექმნას. მოცემულ რეგიონს მნი-

შვნელოვანი სატრანსპორტო არტერიების სისტემა გააჩნია. ამ სფეროში თანამშრომლობას, რა თქმა უნდა, სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება. ცენტრის ძირითადი ამოცანებია მონაწილე ქვეყნებში არსებული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ანალიზი, ინფორმაციული უზრუნველყოფა, ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, დაინტერესებულ მხარეებს შორის საქმიანო კონტაქტების დამყარება, ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაციისა და მათი საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის ხელშეწყობა, ეროვნული სატრანსპორტო კონცეფციის გამომუშავება და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის პროექტების დახვეწა, სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციების ინვესტიციების მოზიდვა და სტიმულირება. 1996 წლის 19-20 ნოემბერს, ქ. სოფიაში (ბულგარეთი) BSEC-ისა და CEI-ის ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრთა კონფერენციაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხელი მოეწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი.

წევრ-ქვეყნებმა მოინახეს, აგრეთვე, საბერძნეთის წინადადება, რომელიც, ევროპის საბჭოს ფინანსური დახმარებით, ათენში შავი ზღვის კვლევითი საერთაშორისო ცენტრის დაარსებას ითვალისწინებს. ცენტრის მიზანს BSEC-ის ჩარჩოებში თანამშრომლობის განვითარების კონცეპტუალური მიდგომების კვლევა და შემუშავება წარმოადგენს.

BSEC-ის საქმიანობა უფრო და უფრო ფოკუსირდება კონკრეტულ რეგიონულ პროექტებზე. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტი შავი ზღვის გარშემო სატრანსპორტო წრის შექმნაა, რომელიც ტრანსევროპულ სატრანსპორტო მაგისტრალს, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპის, ასლი და შუა აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიის ქვეყნების სატრანსპორტო ქსელს მიუერთდება.

დამთავრების სტადიაში იმყოფება ბოჭკოვან-ოპტიკური კავშირის ტრანსრეგიონული ხაზის (პალეომო-სტამბული-ოდესა-ნოვოროსიისკი) შექმნის პროექტი. ხაზი ბოჭკოვან-ოპტიკური კავშირის კაბელს (დანია-სანკტ-პეტერბურგი-საბაროვსკი-იაპონია-სამხრეთ კორეა) შეუერთდება. დამთავრებულ სტადიაშია, აგრეთვე, რეგიონული პროექტი შავი ზღვის ბოჭკოვან-ოპტიკური კავშირის ხაზის (გარან-ოდესა-ნოვოროსიისკი-ფოთი) შექმნის შესახებ.

1997 წელს მიღებული მოქმედებათა გეგმა უახლოეს მომავალში BSEC-ში მრავალმხრივი შეთანხმების დადებას ითვალისწინებს, რომელიც სტიქიური უბედურებებისა და ტექნოლოგიური კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციისას ეროვნული სამსახურების ერთობლივ მოქმედებას უზრუნველყოფს. საქართველოს ინიციატივით, რომელსაც მხარს თურქეთი და მოლდოვა უჭერს, BSEC-ის ქვეყნები ფონდის შექმნას აპირებენ,

რომელიც შავი ზღვის რეგიონში სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფებთან ბრძოლის ზომებს გამოიყენებს. იგი იმუშავებს, აგრეთვე, ნავიგაციის ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურების საერთო სისტემისა და შავი ზღვის აკვატორიაში ეკოლოგიური მონიტორინგის შექმნის შესახებ კონკრეტული პროექტის შექმნაზეც.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეგიონული საკოორდინაციო ცენტრის შექმნის საკითხს, რომელიც, პროექტის თანახმად, ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტიკების არაკანონიერი მიმოქცევის, იარაღის კონტრაბანდის წინააღმდეგ ინტერპოლის დახმარებით იბრძოლებს.

ენერგეტიკის სფერო BSEC-ის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს. დაინტერესებულმა ქვეყნებმა BSEC-ის ენერგეტიკისა და რეგიონული ენერგეტიკული ცენტრის საკითხებზე მოწვევა მუშა გეგმა შექმნეს. მოგვიანებით კი BSEC-ისა და ევროპის კომისიის ქვეყნების მიერ 1994 წლის 29 სექტემბერს დეკლარაციაზე ხელმოწერის საფუძველზე შეიქმნა შავი ზღვის რეგიონული ენერგეტიკული ცენტრი.

1996 წელს, მოსკოვში, ნევრ-ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრების მოადგილეების შეხვედრის დროს, BSEC-ის წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა მემორანდუმს ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის შექმნის პროექტს. ეს პროექტი ქვეყნებს საშუალებას მისცემს, ჭარბი გენერირებული ენერგოსიმალავრეები არა მარტო რაციონალურად გამოიყენონ, არამედ ელექტროენერჯია სხვა სახელმწიფოებსაც მიაწოდონ. 1998 წელს კი მემორანდუმს ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთიც მიუერთდნენ. მიზანშეწონილი იქნება, ენერგეტიკული სადისპერსო ცენტრის გახსნა საქართველოში. საქართველოს მიერ წარმომავალი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა მას მისცემს ხელსაყრელი პოზიციის დაკავების საშუალებას თურქეთსა და რუსეთს შორის. ჩრდილოეთისა და სამხრეთის შორის ერთგვარი ბუფერული ზონის შექმნა, რომელსაც ხელს უწყობს, აგრეთვე, საქართველოში სატრანსპორტო კვანძის განვითარების რეალური პერსპექტივები, მშვიდობიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის წინაპირობა იქნება, რომელიც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად დააჩქარებს ეკონომიკურ ინტეგრაციას. ენერგოგანაწილების საერთო სისტემის არსებობა მნიშვნელოვნად შეამცირებს საქართველოს დამოკიდებულებას რომელიმე კონკრეტული ქვეყნის (პირველ რიგში, რუსეთს ვგულისხმობ) ენერგოსისტემაზე, რომელიც

¹ BSEC-ის ფარგლებში ორჯერ შედგა სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურების შეხვედრა: 1995 წლის 30 ივნის ბუქარესტის უმაღლესი დონის შეხვედრა და 1996 წლის 25 ოქტომბერს მოსკოვის სამიტი.

ბაზის დახვეწა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმების, ან ორგანიზაციის წესდების მიღების გზით.

სამართლებრივი დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის შემუშავება დიდხანს არ გაგრძელდებოდა. მას 1998 წლის 4-5 ივნისს ქ. ილტაში (უკრაინა) გამართულ BSEC-ის წვერი ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურთა შეხვედრის დროს მოუწერა ხელი. ამის შედეგად არსებული სამთავრობათაშორისო სტრუქტურა, თანამშრომლობა, სრულფასოვან რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა.

ახლიშნულმა გარემოებამ დეიურე შესძინა BSEC-ს საერთაშორისო რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციის სტატუსი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა რეკომენდაციების ნაცვლად სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღება. მომავალში შესაძლებელი იქნება სამთავრობათაშორისი თანამშრომლობის

ახალი მოდელის შექმნა, ანუ რეალუციების მიღების ნაცვლად მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმება. საგრძნობლად გაფართოვდა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების შესაძლებლობები. BSEC-ი ახლა გაცილებით მიმზიდველი პარტნიორია ევროკავშირისათვის.

BSEC-ის საქმიანობაში თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო, კერძოდ, BSEC-ის რეგიონული პროექტებისა და პროგრამების განხილვისა და განვითარების სტაბილური განხორციელების, ანუ კონკრეტული საქმიანობის სტადიაზე გადავიდა.

ინტერმსია ლაპირისპირება

ახლანდელი მწავია, რომ სახელმწიფოებს შორის უთანხმოება ჩრდილავს პროგრესს, რომელიც მიღწეულია BSEC-ში ურთიერთობათა განმტკიცების ხარჯზე. რეგიონული კონფლიქტები თანამშრომლობის გაფართოებას სერიოზულ საფრთხეს უქმნიან. გარდა ამისა, BSEC-ში აბსურდულად განსხვავებული სახელმწიფოებია გაერთიანებული, ხშირ შემთხვევაში ისეთებიც კი, რომლებიც ისტორიულად ერთმანის მტრობდნენ. ამჟამად არსებული ანტაგონიზმები და წინააღმდეგობებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია. რეგიონის თითოეულ ქვეყანას მეზობელ სახელმწიფოსთან გარკვეული სახის პრობლემები გააჩნია. ერთმანეთს უპირისპირდება საქართველო და რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი, თურქეთი და საბერძნეთი, უკრაინა და რუსეთი და ა.შ. ამას ემატება მთელი რიგი „ცივი“ და შეიარაღებული კონფლიქტები, რაც არცთუ იშვიათად ეკონომიკური სანქციებით მთავრდება და შესაბამისად, განსვლად რეგიონული დროითი აფერებს ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

ამასთან, ფრიალ საგრძნობლად სხვაობს ქვეყნებს შორის ძირითადი მაჩვენებლის

მიხედვითაც, რაც გარკვეულწილად, ხელს უშლის ინტეგრაციის განვითარებას ნევრ ქვეყნებს შორის. მთავარი მიზეზი, რის გამოც BSEC-ის თანამშრომლობა სრული მასშტაბით ვერ ამოქმედდა, ის არის, რომ არ არსებობს BSEC-ის მისიის ერთიანი გაგება. BSEC-ში მონაწილეობას მისი წევრები განსხვავებულ, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მიზნების განხორციელებას უკავშირებენ. BSEC-ში საკმაოდ ხშირად ხდება ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ურთიერთდადასაბუთება. პოლიტიკური ინტერესების სიმდიერე ხანდახან ეკონომიკურ შესაძლებლობებს ჩამორჩება. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური მოგების მიღება და ხელსაყრელი პროექტების განხორციელება ყველა ქვეყნის ინტერესებშია.

თურქეთის, რომელიც ამ ორგანიზაციის დაარსების ინიციატორია, პოსტკომუნისტურ სივრცეში თავისი გავლენის გავრცელებას სურდა და



BSEC-ის საფინანსო-ეკონომიკური ექსპანსიის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად მიაჩნდა.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი თურქეთის პროამერიკული განწყობა. რუსეთთან მიმართებაში აშშ-სა და თურქეთის ინტერესების თანხვედრას ხშირად აქვს ადგილი. ამიტომ საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ მივიჩნევთ, რომ თურქეთის ინიციატივა BSEC-ის შექმნის შესახებ გარკვეულწილად აშშ-ის ინტერესებს მასუბობს და ეკონომიკური უსუსის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის შემცირებისკენ არის მიმართული.

როგორც შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, თურქეთის ფინანსური და ეკონომიკური პოტენციალი ამ დიდ რეგიონში დომინირების საშუალებას არ იძლევა. თურქეთმა ვერ შეძლო BSEC-ის მთავარი დონორი გამხდარიყო, თუმცა უდავოდ წამყვანი პოზიციები უკავია. საერთოდ, ორგანიზაციის სერიოზული ფინანსური ბაზა არ აქვს. ამიტომ შავი ზღვის ქვეყნების ერთობლივი ეკონომიკური პროექტების უმეტესობა განუხორციელებელი რჩება. პოლიტიკური თვალსაზრისით, თურქეთს პოსტსტაბილური სივრცის სამხრეთული ქვეყნების საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევა და სერიოზული ლიდერობა სურდა, რაც მას საერთაშორისო ასპარეზზე უფრო აქტიური როლის შესრულების საშუალებას მისცემდა.

რაც შეეხება ბულგარეთს, უკრაინასა და მოლდოვას, ეს ქვეყნები ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებას ცდილობენ. BSEC-ის წევრობა ამ მიზნისკენ გადატეხული კიდევ ერთი ნაბიჯია. გარდა ამისა, ეს სამი ქვეყანა შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობისთვის არის დაინტერესებული. ისინი დიდ იმედებს ამყარებენ კავკასიის

ტარანსკონტინენტური სატრანსპორტო მაგისტრალის ამოქმედებაზე, რომელსაც BSEC-ში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. მათ ინტერესებს შორის არსებული მსგავსება, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი ნიშანია BSEC-ში ინტეგრირებისათვის.

საბერძნეთი, BSEC-ის ქვეყნებს შორის ევროკავშირის ერთდერთი წევრი სახელმწიფო, ამორგანიზაციის განვითარებით სერიოზულად დაინტერესებული. იგი ევროკავშირს და BSEC-ს შორის შუამავლის როლის შესრულებას ცდილობს.

საკართველოსა და აზერბაიჯანის ინტერესები თითქმის ანალოგიურია. ორივე მათგანს კავკასიაში რუსეთის გავლენის შემცირება სურთ. ამასთან, მათ იმედი აქვთ, რომ BSEC-ის წევრობა მომავალში ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებაში მოახერხებენ და აზერბაიჯანს დაეხმარება. ჩემი აზრით, დიდ როლს თამაშობს, აგრეთვე, ისეთ გლობალურ პროექტებში მონაწილეობა, როგორცაა სატრანსპორტო დერეფანის აღორძინება და მასთან დაკავშირებული თანამედროვე ინფრასტრუქტურის დაწერვა.

მეტად პერსპექტიულია ენ. სუუამის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ქვეყნების თანამშრომლობა, რომელიც, პირველ რიგში, ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით შეიქმნა და ევროპაში სატრანსპორტო დერეფნის შექმნაში ხუთი სახელმწიფოს თანამშრომლობის, სტაბილური და უსაფრთხო ევროპის ფორმირების პროცესში ერთობლივი ძალისხმევით გააქტიურებისკენ არის მიმართული. ამ თანამშრომლობას შეურთდა აგრეთვე, უზბეკეთიც, რითაც საგრძნობლად გაიზარდა ამ თანამშრომლობის მოქმედების არეალი და ეკონომიკური შესაძლებლობანი.

რუსეთს თურქეთისაგან სრულიად განსხვავებული მიზნები ამოკრავებს. იგი „ახლო საზღვარგარეთზე“ გავლენის შენარჩუნებას ცდილობს, რაც ამ ქვეყნისათვის, უპირველეს ყოვლისა, თურქეთისა და დასავლეთის შეჯავებას ნიშნავს. რუსეთის განვირგნებზე BSEC-ში, თავდაპირველად, სწორედ ამიერიკეკასიაში თურქეთის გავლენის ზრდის თვითნებ აცილებას ისახავდა მიზნად, და ფაქტობრივად, იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა. ის ამოცანები, რომლებსაც BSEC-ის წევრები ამ ორგანიზაციის შექმნით ისახავდნენ, რუსეთის ინტერესებს არ ემთხვეოდა.

თავდაპირველად რუსეთის BSEC-ში მოქმედების გარკვეული პროგრამა შემუშავებული არ ჰქონდა. შეიძლება თქვას, რომ პირველ ეტაპზე იგი ამ თანამშრომლობაში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს ხელს უშლიდა და ორმხრივი ურთიერთობებით მინიშნულირებდა.

ინტეგრაციის პრობლემები დსთ-ში

რუსეთის ძირითადი ინტერესი დსთ და მისი შემადგომი გაძლიერებაა. უკანა პლანზე პერიოდში დსთ-ში განვითარებული მოვლენები (საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ კოლექტიური უშიშროების ძალების დატოვება, სუუამის შექმნა, საქართველოს მოთხოვნა სახედრო ბაზუების გაყვანის თაობაზე, საბაჟო რეჟიმის დამყარების შესაძლებლობებზე საუბრები, სავიზო რეჟიმის შემოღება) აშკარად ცხადყოფს, რომ დსთ-ში ინტეგრაცია შეუძლებელი ამოცანაა და მას განხორციელება არ უნერია. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, ელუარდ შევადრნაძემ

რუსეთის ძირითადი ინტერესი დსთ და მისი შემადგომი გაძლიერებაა

განაცხადა, „ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ იმპერიის აღდგენა მუდამ რეაქციულ რეტროგრადში აუხდენელ ოცნებაზეა. ისტორიის ჩარხს უკულმა ვერ დაატრიალებ“.

BSEC-ის შიშობა დსთ-ის ალტერნატივად განიხილება. მაგრამ BSEC-ის დსთ-ისაგან განსხვავებით უფრო სიცოცხლისუნარიანი და დემოკრატიული გავითარდება. მასში განვირგნება არ მომხდარა იძულებით. ამ გაერთიანებაში მონაწილე II ქვეყანა თანაბარ უფლებანიშნის პრინციპზე დაყრდნობით თანამშრომლობს. ნებისმიერი გადანაცვლები კონსენსუსის საფუძველზე

BSEC-ის ხშირად დსთ-ის ალტერნატივად განიხილება

მიიღება. შეთანხმება მიღებულია არ ითვლება, თუ მიღებულ გადანაცვლებებს და თუნდაც ერთი ქვეყანა არ ეთანხმება. განსხვავებით დსთ-საგან, სადაც რუსეთი დომინირებს. დსთ-ის სამიტების თავმჯდომარე ყოველთვის რუსეთია. ძირითადი ხელმძღვანელი ორგანოები მოსკოვშია განლაგებული, გენერალური სამდივნოს გარდა, რომელიც მინსკში მდებარეობს (რუსეთ-ბელორუსიის ურთიერთობები კი ყველასათვის კარგადაა ცნობილი). დსთ-ის სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური კომპლექტში რუსეთის ხმების 50%-ს ფლობს, რაც თითქმის გამორიცხავს გადანაცვლებებზე რაიმე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას.

ცნობილი ქართველი მეცნიერის თეიმურაზ ბერიძის აზრით, დსთ-ის ინტეგრაცია არამარტო ინტეგრაციაა. მის გვერდით, მაკროდონზე ძალას იკრებს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური კომპლექსების ინტეგრაცია მიკროდონზე, მაგრამ უკვე რაციონალური, უდავოდ ურთიერი თსასარგებლო და მყარი“.

განვითარებასავსებით მოსალოდნელია BSEC-შიც მიხედვით იმისა, რომ გარკვეული პროცესები, რომელიც ხელს უშლის ინტეგრაციას დსთ-ში, ასევე აფერხებს ეკონომიკური კავშირების დამყარებას BSEC-ის წევრ ქვეყნებს შორის.

ამჟამად რუსეთმა თავისი პოზიცია შეცვალა. როგორც ჩანს, ამის მიზნად ამ რეგიონისადმი დაკრძალვ, BSEC-ისადსავლეთის დაინტერესების გაზრდა იყო. რუსეთმა, როგორც ჩანს, იგრძნო, ადვილად მოსალოდნელია მისი გავლენა ტრადიციულ რეგიონში (აქ მხედველობაში მაქვს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები) ძალზე შემცირდეს. ამიტომ BSEC-ის ინტეგრაციულ პროცესებში აქტიური მონაწილეობით, იგი აღნიშნული რეგიონში საკუთარი პოზიციების განმტკიცებას ცდილობს. ეს ნიშნავს იმას, რომ დსთ-ს BSEC-ის სახით რეალური ალტერნატივა გააჩნია. ვფიქრობ,

ვფიქრობ, რუსეთი BSEC-ის წარმატებით განვითარების მიზნით არამარტო ალტერნატივად განიხილება, არამედ BSEC-ის მომავალშიც

რუსეთი, BSEC-ის წარმატებით განვითარების შემთხვევაში, მისი ლიდერობის ერთ-ერთ პრეტენდენტად შეიძლება მოგვევლინოს.

მსოფლიოში და უსაფრთხო ბარამო შაპი ზღვის რეგიონში

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ევრაზიის ცენტრში პოლიტიკური და ეკონომიკური ვაკუუმი წარმოიშვა. ვაკუუმის შევსების მსურველთა პოლიტიკურ ინტერესებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, ვფიქრობ, წარმოქმნილი ეკონომიკური შესაძლებლობების საპეტტო საკმაოდ ფართოა იმისათვის, რომ ერთმა სახელმწიფომ მოიკვას. შესაბამისად, ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებისათვის საჭირო გახდა ეკონომიკური თანამშრომლობის რაიმე ფორმა ამ ვაკუუმის შევსების მსურველთა შორის. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა, როგორც კარადენიზის (თურქეთი) ცენტრალური უნივერსიტეტის კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების კვლევის ცენტრის დირექტორი, ერსან ბოცუტოღლი მიიჩნევს, ამგვარი ფორმის თანამშრომლობის ღირებულ და ძლიერ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს. BSEC-ი ევრაზიის ცენტრში პოლიტიკური და ეკონომიკური ვაკუუმის შევსების ერთადერთი საშუალებაა, თუ მხედველობაში მივიღებთ დსთ-ის ამჟამინდელ უუნარობასა და უმოქმედობას. ევრაზიის უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი მეტად მიზანდასახული დასავლეთის, კერძოდ ევროპის განვითარებული ქვეყნებისათვის. თუმცა მთელი

BSEC-ის განვითარება უსაფრთხოების რეჟიმის განმტკიცება

მხარს უჭერენ. ამიტომ BSEC-ი, გარკვეულწილად, უსაფრთხოების გარანტიის როლში გვევლინება.

BSEC-ის შექმნა უპრეცედენტო შემთხვევა იყო. მსოფლიოში მსგავსი ტიპის გაერთიანების გამოცდილება არ არსებობს. ორმხრივი ურთიერთობების საშინელი დაძაბულობის პირობებში, BSEC-მა, ასე თუ ისე ინსტიტუციური საფუძვლების შექმნა მოახერხა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ BSEC-

რიგი სირთულეების, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის გამო ევროკავშირი თავს იკავებს გადამწყვეტი მოქმედებისაგან და უფრო ფრთხილ ნაბიჯებს დაგმას. ამ კონტექსტში ევრაზიაში მისი სტრატეგისა და გავლენის გატარების ინსტრუმენტად თავი-სუფლად შეიძლება BSEC-ი იქცეს. რეგიონული თანამშრომლობის წარმატებით განვითარების შემთხვევაში გაცილებით ადვილი გახდება თანამშრომლობა ევროკავშირთანაც, რაც არა მარტო BSEC-ის, არამედ საქართველოს ერთდერთ პრიორიტეტია. რეგიონული თანამშრომლობის მნიშვნელობა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების კონტექსტში მეტ დატვირთვას იძენს. რეგიონში თავმოყრილი დიდძალი სახედრო პოტენციალის გამო უმნიშვნელოვანს ამოცანას წარმოადგენს მშვიდობიანი და სტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნა.

ევროკავშირის საბჭოსადმი (1997 წლის 12-13 დეკემბერს ლუქსემბურგში გამართულ სამიტზე) ევროკომისიის მიერ წარდგენილი დოკუმენტში, რომელშიც განხილულია შავი ზღვის რეგიონთან თანამშრომლობის საკითხები და რეგიონის მიმართ ევროკავშირის სტრატეგია, შეფოთებით არის აღნიშნული ის ფაქტი, რომ რეგიონი გადაიქცა ნარკოტიკების, იარაღისა და არალეგალური მარგანიზის სატრანზიტო ზონად. რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების კლიმატის დამკვიდრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ინტერესთა დაპირისპირება და სუსტი ეკონომიკური თანამშრომლობა BSEC-ს უპრეცედენტო ორგანიზაციად აქცევდა, რომ არა ერთი გარემოება: შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანას მის გარშემო სახედრო-პოლიტიკური აღიანისი წარმოქმნისა და იზოლაციაში მოქცევისა ემუშავა. BSEC-ის ფარგლებში თანამშრომლობის შეუძლია რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევაში თავისი წვლილი შეიტანოს, რადგან, მიუხედავად ერთმანეთს შორის არსებული, სწორად დასაბუთებული ურთიერთობებისა, BSEC-ის წევრებს ამ დაძაბულობის ესკალაცია არ სურთ და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის იდეას

* საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა წარმოთქმულია გაეროს გენერალურ ასამბლეის სესიასზე, 1999 წლის 20 სექტემბერს.
თ. ბრძოვი „ეროვნული ეკონომიკათმთავრობისა და ინტეგრაციული პროცესები“, ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, იანვარი, 1998წ.

ბიზნისილი ქვეყნებში სტამბულში საერთაშორისო სამდივნოს დაარსების შესახებ შეთანხმება იოლად მიადნის მაშინ, როცა ანალოგიური სამდივნოს შექმნისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთაზიის ქვეყნების ასოციაციის შვიდი წელი დასჭირდა. პროგნოზი, რომელიც BSEC-ს

აღმავალი რეგიონი BSEC-ს ჩასახვევითაა სიკვდილს უქადდა, არ გამართლდა

ჩასახვისთანავე სიკვდილს უქადდა, არ გამართლდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს თანამშრომლობა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონს არ მოიცავს. BSEC-ში ისეთი ქვეყნებია, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ (აზერბაიჯანი, სომხეთი). BSEC-ით დაინტერესებულნი, აგრეთვე, შუა აზია: ეკვატორი, იტალია, ისრაელი, ავსტრია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ტუნისი, საფრანგეთი და გერმანია დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტიულობა განსაზღვრავს იმას, რომ სულ უფრო და უფრო მეტ სახელმწიფოს სურს BSEC-ში განკუთვანება (იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა, მაკედონია, ირანის ისლამური რესპუბლიკა, უზბეკეთი) ან დამკვირვებლის სტატუსის მიღება (სლოვენია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, კიბორისი, იორდანია, ყაზახეთი, იაპონია) და ამგვარად, BSEC-ის საქმიანობაში ჩართვა და მის პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობა. ეს ვითარება, BSEC-ბი მომავალი განვითარებისა და პერსპექტივების საკმარის კარგი ილუსტრაციაა.

XX საუკუნის მიწურულს ზოგიერთი ტრადიციული კონცეფცია საგვებით იცვლება სოლიდური არგუმენტების გამო და ახალ, საპირისპირო მნიშვნელობას იძენს. ჩვენს შემთხვევაში, ყურადღებას იმეორე კონცეფცია იმსახურებს, რომელთა მნიშვნელობა საფუძვლიანად და სავსებით შეიცვალა:

1. უსაფრთხოების ახალი კონცეფცია სამხედრო აღჭურვილობის რაოდენობით აღარ იზომება. ამჟამად იგი ეკონომიკური თანამშრომლობის ისეთ სტრუქტურას გულისხმობს, რომელიც სახელმწიფოთა ინტერესების ბალანსზეა დაფუძნებული და რეგიონში სტაბილურ პოლიტიკურ კლიმატს უზრუნველყოფს. (ფიქციურად, ასეთი სტრუქტურის ფუნქციის შესრულება BSEC-ს შეუძლია).

2. ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი კონცეფცია პოლიტიკური დაძაბულობის, იმევე-

ლად აღარ განიხილება. პირიქით, სხვადასხვა პოლიტიკური კონფლიქტები აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობით შეიძლება მოგვარდეს. მაშინაც კი თუ პრობლემის ამგვარი გზით გადაჭრა ძნელი მისაღწევია, შესაძლებელია ატმოსფერო უკვე იქნება და ადრე, თუ გვიან მოსალოდნელ უდევს მოიხაროს (ამ კონტექსტში, BSEC-ის განვითარების საშუალებით შავი ზღვის რეგიონში არსებულ მრავალრიცხოვანი პოლიტიკური დაპირისპირებების მოგვარების წინაპირობა ისახება).

უჭველია, რომ უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ეს ორი ახალი კონცეფცია BSEC-ის განვითარებისა და ევოლუციის პროცესს უდევს საფუძვლად. რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების მნიშვნელობანი პოტენციის გამოყენებას შავი ზღვის ქვეყნები შეძლებენ, თუ მათი ძალისხმევა მიმართული იქნება იმ საკითხებისადმი, რომელთაც მათი კონსოლიდაცია შეუძლია და არა პირიქით.

BSEC-ისა და ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ

BSEC-ში საქართველოს მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა BSEC-ის სპეციფიკურმა ხასიათმა განაპირობა, რომელიც რეგიონის უნიკალურობითა და დიდძალი პოტენციალით იყო განსაზღვრული. საქართველო ამ ალიანსს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს. გარდა აღნიშნულისა, BSEC-ში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელოვან მოტივაციას ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივა წარმოადგენს. საქართველოს საგარეო პოლიტიკის გლობალური მიზანი მუდამ ევროპასთან დაახლოება იყო. საქართველოს ევროპული ორიენტაციის საკითხი ყოველთვის დღის წესრიგში იდგა. სწორედ ამ ამოცანის განხორციელების მიზნით

გაემგზავრა ევროპაში (იტალია, საფრანგეთი) ჩვენი დიდი წინაპარი სულხან-საბა ორბელიანი. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ მის ვიზიტს შედეგი არ გამოუღია. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ევროპა საქართველოში დაინტერესებული არ იყო (ამის მაგალითია თუნდაც მთელი ჩვენი ისტორიული წარსული). იმ პერიოდისათვის ევროპის ქვეყნები თავად განიცდიდნენ სირთულეებს: მიმდინარეობდა შინაომები, ევროპის ქვეყნები

დაეპასუხებოდა ცალკეულ სამთავროვად, თუ რეგიონულად. ამდენად, ევროპის ქვეყნების განვითარების დონე და პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხასიათის სირთულეები მათ შორის ინტეგრაციასაც უჭმინდა წინააღმდეგობებს. აქედან გამომდინარე სულხან-საბა ორბელიანის დესპანობა შედეგი ვერ გამოიღო. ამის შემდეგ საქართველოს მეფეები იწყებენ დესპანების გაგზავნას ჩრდილოეთით, რუსეთის იმპერიაში, რომელსაც ქართული პოლიტიკის შემოქმედნი ევროპული ორიენტაციის და ევროპული ტიპის ქვეყნად განიხილავდნენ.

BSEC-ის საბოლოო მიზანს წარმოადგენს თანამშრომლობის მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად თურქეთისა და გვალა იქნება საჭირო, ეს უკვე სხვა საკითხია. აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესები უკვე ნახევარსაუკუნეზე მეტია, რაც გრძელდება, ხოლო BSEC-ის შექმნამდე კი სულ რაღაც რვა წელი გავიდა. მაგრამ გასათვალისწინებელია ისტორიაც. შავი ზღვისპირეთში მცხოვრები ერები ათასწლეულების წინათ თანამშრომლობდნენ: მიმდინარეობდა გაცხოველებული ვაჭრობა და კულტურულ დასუფლებობათა ინტენსიური გაცვლა, იქმნებოდა ქალაქი-კოლონიები. შავი ზღვა სახელმწიფოებს გაცილებით მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან, ვიდრე ეს საბჭოთა კავშირმა ძალისა და ხელყოფილი ეკონომიკური კავშირების დამყარების წყალობით შესძლო თავის

BSEC-ი პერსპექტივაში წარმოსდგინება, როგორც საერთო ევროპული არტიკულური გუნდების ნაწილი

დროზე. BSEC-ი პერსპექტივაში წარმოსდგინება (მაგ. ერპარდ ბუსეტი, რომელიც წარმოადგენს სამხრეთ ევროპის თანამშრომლობის ინიციატივის კოორდინატორს), როგორც საერთო ევროპული არტიკულურის ბუნებრივი ნაწილი. ზოგიერთი ექსპერტი BSEC-ს ხშირად განიხილავს, როგორც ევროკავშირში შესასვლელად საჭირო მოსაზრებებზე ეტაპს, რაც საგვებით მიუღებელი სრულებითაც არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ BSEC-ის ჩარჩოებში მიმდინარეობს წვერი ქვეყნების საკანონმდებლო ბაზების დახვეწა და მუშაობა მათი ურთიერთშეთავსებადობისათვის, რაც შექმნის საერთო პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელ სამართლებრივ გარემოს. ის ფაქტი, რომ საბერძნეთი ევროკავშირის წევრია, ხოლო თურქეთი კი - ევროკავშირის საბაჟო კავშირისა და ის, რომ BSEC-ი საერთაშორისო ორგანიზაციაა ჩამოყალიბდა, ევროპული ინტეგრაციისკენ უფრო სწრაფი ნაბიჯით წინსვლას შეუწყობს ხელს. თუმცა აღსანიშნავია, რომ BSEC-ის წარმატებით განვითარების შემთხვევაში მისი ყველა წევრი ევროკავშირის

წევრი ერთგულად ვერ გახდება. მაგრამ ურთიერთობათა განმტკიცება და მსოფლიოში ადაპტირებული საშუალებებით ურთიერთობების წარმართვის გამოცდილების შემწევა ცალკეულ ქვეყნებს, უდავოდ, უდევს დახმარებას გაუწევს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. ასე მაგალითად, ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირის წევრობის კანდიდატები არიან, ხოლო საქართველო სულ ახლახანს ევროსაბჭოს წევრი გახდა. რეგიონული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს საქართველოს, ისევე როგორც დანარჩენ წევრებს, დაახლოებას ევროკავშირთან.

შავი ზღვის ქვეყნების რეგიონული თანამშრომლობა ევროკავშირში განცხადებისასკენ მიმართული ერთ-ერთი რეალურად წინააღმდეგმული ნაბიჯი უნდა გახდეს, რომელიც განვითარება პანევროპულ პროცესებთან მჭიდრო კავშირში უნდა ჰქონდეს იმ მოდელისა და კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც ევროკავშირში უკვე აპრობირებულია და არსებობს. ამდგომად განვითარება BSEC-ის მცირე სახელმწიფოთა ინტეგრაცია და მოთხოვნებსა სავსებით დააკმაყოფილებს და არა მარტო შეამცირებს მათზე ზოგიერთი სახელმწიფოს არასასურველ გადღენას, არამედ უზრუნველყოფს პოლიტიკურ სტაბილურობას, ეთნოკონფლიქტებისა და ტერიტორიული დავების მოგვარებას.

BSEC-ის გეოსტრატეგიული პოზიცია ევროკავშირსა და ახალი აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის და ევროკავშირსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ხიდის ფუნქციის შესრულებას უკავშირდება. BSEC-ი ეკონომიკურად მჭიდროდ არის დაკავშირებული ცენტრალური აზიის ისეთ ქვეყნებთან

როგორცაა თურქეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და ყაზახეთი, რომელთა ბაზრები ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის ობიექტს წარმოადგენს. საქართველო ამ კავშირების რეალიზაციის გზაზე განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ამის დამადასტურებელია ის ხელშეკრულებები რომლებიც საქართველოსთან მთელ რიგ ქვეყნებს აქვთ დადებული (BSEC-ში საქართველოს განკუთვნილი შედეგად საბაჟოს ხელშეკრულება, სუუამის შეთანხმება და ა.შ.)

საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, დემოკრატიული ღირებულებები და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა გლობალური პრიორიტეტის ორი მთავარი საყრდენია. აქედან გამომდინარე, BSEC-ის ინიციატივა და მისი საშუალებით ევროკავშირსა და BSEC-ის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარება მომავალში მოვლენების განვითარების პროგნოზირების მიზნით შექმნილი სხვადასხვა ცენარის ანალიზის აუცილებელი კომპონენტია იქნება.

1997 წლის 12-13 დეკემბერს ლუქსემბურგში გამართულ სამიტზე ევროკავშირის საბჭომ ევროკომისიის მიერ წარდგენილი დოკუმენტი განიხილა, რომელიც შავი ზღვის რეგიონის ფარგლებში თანამშრომლობას და ამ რეგიონის მიმართ ევროკავშირის სტრატეგიას ეხება.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროკომისია დაინტერესებულია შავი ზღვის რეგიონის წევრ-ქვეყნების შორის თანამშრომლობის ინტენსიფიკაციით და რეკომენდაციას უწევს ევროკავშირის მხარდაჭერის ისეთი ფორმის გამოყენებას, როგორცაა პოლიტიკური დიალოგი, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა და ტექნიკური დახმარების პროგრამები. ევროკომისიამ გამოახატა მზადყოფნა, მხარი დაუჭიროს სუბრეგიონალურ თანამშრომლობას ისეთ სფეროებში როგორცაა ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, ტელეკომუნიკაციები, სავაჭრო ურთიერთობები, ეკოლოგია და სამართალდაცვა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი დაინტერესება რეგიონით.

ამ მნიშვნელოვან დოკუმენტის შედარებით დაწვრილებით მიმოხილვა ინტერსმოკულური არ იქნება, რადგან იგი სამართლებრივი ხასიათისაა და აქედან გამომდინარეობს მისი მნიშვნელობა. დოკუმენტში საზღვარგარეთ შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ევროკავშირისათვის, რაც იმითაა განპირობებული, რომ შავი ზღვის რეგიონი ევროკავშირისათვის მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს, ხოლო ევროკავშირი შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისათვის. მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. გარდა აღნიშნულისა, შავი ზღვის რეგიონი ენერჯეტიკულ რესურსების სატრანსპორტო არეალს წარმოადგენს, რომელიც უახლოესი გზით აკავშირებს ევროპას ცენტრალურ აზიასთან და ახლო აღმოსავლეთთან და დსთ-ის ქვეყნებს თურქეთთან.

შავი ზღვის რეგიონში თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების მხარდასაჭერად ევროკომისია ევროკავშირს უკვე არსებული დახმარების პროგრამების გამოყენებას სთავაზობს მათი ურთიერთკოორდინირების გზით. დოკუმენტში საზღვარგარეთ, რომ ევროკომისია შავი ზღვის სატრანსპორტო არეალის განვითარებას მხარს უჭერს, რამაც მომავალში რეგიონის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პანევროპულ სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრაციას უნდა შეუწყოს ხელი.

აღსანიშნავია, რომ 1998 წლის 10-11 ნოემბერს თბილისში ჩატარდა BSEC-ისა და ევროკავშირის ერთობლივი სემინარი თემაზე: „ევროპის კავშირსა და შავი ზღვის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა“. სემინარში მონაწილეობდნენ როგორც BSEC-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები, ისე ევრო-

კომისიისა და ევროპის რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტ-კონსულტანტები. სემინარზე, ამჟამად უკვე BSEC-ის წარმომადგენლებთან ერთად, დადასტურდა და დაფიქსირდა ევროკავშირის პოზიცია, რომელიც აქამდე ლუქსემბურგში გამართულ სამიტზე მიღებულ დოკუმენტში ფიგურირებდა.

იმ მიზნით, რომ გამოიყენოს ევროკავშირის მიერ კონკრეტული დახმარებები მხოლოდ BSEC-ისათვის, და არა როგორც აქამდე არსებული პროგრამები, რომელიც სხვა ქვეყნების მონაწილეობასაც გულისხმობს, 1999 წელს 30 აპრილს მიმდინარე ქვეყნებმა BSEC-ისა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პლატფორმა მიიღეს, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა BSEC-ისა და ევროკავშირის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის ინსტიტუციურ საფუძველს.

ეს განხორციელდა BSEC-ში საქართველოს თავმჯდომარის დროს. ეს შემთხვევითი თანხვედრა არ არის, რადგან ევროსტრუქტურებში საქართველოს მომავალი მონაწილეობა, ანუ ქვეყნის გლობალური მიზნის განხორციელება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმ ეკონომიკური წინააღმდეგობების დაძლევაზე, რომელიც განვითარების ამ ეტაპზე (იგულისხმება გარდამავალი ეკონომიკის ეტაპი) უნდა განხორციელდეს სწორედ BSEC-ში მონაწილეობით. სხვა სიტუაციებით რომ ვთქვათ, საქართველოს ეკონომიკური წინააღმდეგობები ჯერ BSEC-ში ინტეგრირების პროცესში უნდა გადაწყდეს, ხოლო ევროპასთან ურთიერთობების განვითარების შემდგომი ეტაპი BSEC-ის პარამონარ განვითარების საფუძველზე იქნება დაძლეული. ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს შემდგომი ინტეგრირების გაზრდა, ცხადია, ძალიან ბევრი წინააღმდეგობაა და მათ შორის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ხასიათისაა, რომელიც ქვეყნის განვითარების დაბალი დონიდან გამომდინარეობს. აქედან გამომდინარე, საქართველოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეკონომიკური თავისუფლების გაფართოება და ეკონომიკის გარდაქმნის პროცესების დაჩქარება, რომელიც მთელი რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება მოცემულ ეტაპზე. ვფიქრობ, ამ ნაკლოვანებების დაძლევა და საქართველოს შემდგომი განვითარების პერსპექტივები დღეს რეალურად სწორედ BSEC-ში ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში მიმდინარეობს.

თამის უშვალაი სპეციალური რედაქტორი BSEC-ში და ევროკავშირის პოლიტიკის

ნებისმიერი ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოუდგენელია თავისუფალი სავაჭრო ზონის გაშვება. ამიტომ ინტერესმოკულური არ იქნება, თუ განვიხილავთ იმ ვითარებას, რომელიც ამ საკითხის ინტეგრირებას BSEC-ში ამ საკითხის

განხილვას გვერდი, რა თქმა უნდა, არც ამ თანამშრომლობას აუვლია. 1997 წელს, სტამბულში, საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო შეხვედრის შედეგი თავისუფალი ვაჭრობის შავი ზღვის ზონის შექმნის შესახებ დეკლარაციის ხელმოწერა გახდა. რეგიონულ დონეზე სავაჭრო ურთიერთობების აქტივიზაცია, ურთიერთგულსაყრელი სავაჭრო პრეფერენციების შემოღება ქვეყნების მიერ განიხილება, როგორც BSEC-ის ქვეყნების მდგრადი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობა.

1997 წლის 12-13 დეკემბერს ლუქსემბურგში გამართულ სამიტზე ევროკავშირის საბჭოსადმი ევროკომისიის მიერ წარდგენილი დოკუმენტი შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის იდეას ძალზე ფრთხილად და ენთუზიაზმის გარეშე უდგება. ავტორთა აზრით, ის ფაქტი, რომ საბჭოთაეთი ევროკავშირის წევრია, ხოლო თურქეთი - საბაჟო კავშირის, ასეთი ინიციატივის განხორციელების შესაძლებლობას საეჭვოს ხდის, რაც, ჩემი აზრით, სასცენარო ნორმალური რეაქციაა, რადგან ევროპის განვითარებულ ქვეყნებს,

ევროკომისია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში თამის უშვალაი სავაჭრო ზონის შემქმნელად და ენთუზიაზმის გარეშე უდგება

ბუნებრივია, უხდებთ თავიანთი სამეურნეო სივრცის დაცვა საბაჟო ბარიერებით, სავალუტო კონტროლის ზომებით და სხვა საშუალებებით.

BSEC-ისა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ სემინარზე (10-11 ნოემბერი 1998წ.) შავი ზღვის ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ზონის იდეა იგივე მიზეზების გამო კვლავ ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული. ამავე დროულად, ევროკომისიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს თავიანთი დაინტერესება შავი ზღვის აუზის ქვეყნების მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანებისთან დაკავშირებით, რაც უყრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ ამგვარად BSEC-ის ქვეყნები უფრო მეტად დაუახლოვდებიან ევროკავშირში მოქმედებს სტანდარტებს.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ BSEC-ის ჯერ ისევ რეკონსიდერების სტადიაში რჩება. არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს, რომლებსაც BSEC-ის ქვეყნები განიცდიან როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კონტექსტის ფარგლებში. უმრავლესობა ამ ქვეყნებისა იმყოფება საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში ურთოდში და ახლა იწყებს მდგრადი განვითარების სარეფორმო პროცესებს. სხვა დასხვავებები ამ სახელმწიფოთა წარმატებასა სპირიტუალური, სანინვესტიციო, ფისკალურ და

ფინანსურ პოლიტიკებში. არსებობს, აგრეთვე BSEC-ის ქვეყნების ეკონომიკური კანონმდებლობისა და არათანაბარი განვითარების პრობლემა. ყველასათვის ცნობილია, რომ რეგიონული თანამშრომლობა ტრადიციულად ასოცირდება, როგორც სახელმწიფოთა ერთობლივი სვლა კაპიტალისა და მუშა ხელის თავისუფალი გადაადგილებისაკენ. უდავოა, რომ თავისუფალი ვაჭრობის ფორმა BSEC-ის დეკლარაციის მიზნებს მთლიანად შეესაბამება და შორეულ მომავალში აუცილებლად განხორციელდება, მაგრამ, რა თქმა უნდა ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ.

თავისუფალი სავაჭრო ზონის შესაქმნელად საჭირო იქნება მრავალმხრივი შეთანხმების გაფორმება BSEC-ის წევრებს შორის. პროცესის ხელს შეუწყობს ერთიანი მოქმედების პლატფორმის, ან მოქმედებათა გეგმის ჩამოყალიბება და BSEC-სა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებული კავშირების გაღრმავება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამ სფეროში ევროპაში არსებული შეთანხმებები და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული დოკუმენტების შესაბამისი დებულებები, რომელიც სათანადოდ ასახავენ ევროკავშირის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულ ვალდებულებებს. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, მონაწილე

ქვეყნების განვითარების სხვადასხვაგვარი დონე. საერთო მიდგომაში, ჩემი შეხედულებით, უმჯობესია აისახოს ვაჭრობის ლიბერალიზაციისაკენ მიმართული კონკრეტული ეტაპები და არ დაკონკრეტდეს მათი შესრულების განსაზღვრული დრო.

სატრანსპორტო სისტემის რეალიზაციის ინსტიტუტის ბანკითარებაში

ეკონომიკური ცხოვრების ინტეგრაციის შრომის საერთაშორისო ტერიტორიული დანაწილება ახლავს თან, რის შედეგადაც ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური კარნაქტეობები ქრება: ისინი სულ უფრო და უფრო მეტად ერთვებიან სამეურნეო კავშირების სისტემაში. მსოფლიო მეურნეობის ფორმირების პროცესში ცალკეულ სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება იზრდება.

ეკონომიკური ცხოვრების ინტეგრაციის პერსპექტივები განუყრელადაა დაკავშირებული ტრანსპორტის ტექნიკურ, და აქედან გამომდინარე, საექსპლუატაციო შესაძლებლობებთან. უფრო მეტიც, სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდები განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის ინტეგრაციის განვითარების ეტაპების პირდაპირი დამოკიდებულება ტრანსპორტის ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობასთან. თუმცა ამის

არადენობრივად განსაზღვრა და ხელშეხებით პირდაპირი კავშირების დადგენა მეტად რთული პრობლემაა.

კარგად განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაციები, აქტუალურ ინტეგრაციის, განსაკუთრებით რეგიონული ინტეგრაციის განვითარების ტემპებს. იმ ფაქტორს გათვალისწინებით, რომ შავი ზღვის რეგიონს ტრანსპორტის (განსაკუთრებით, საზღვაო ტრანსპორტის) განვითარების უნიკალური შესაძლებლობები და ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობა გააჩნია, შეგვიძლია ვივარდუთო, რომ ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია

კარგად განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაციები, ამაყარებენ ინტეგრაციის, განსაკუთრებით რეგიონული ინტეგრაციის, განვითარების ტემპებს.

ქვეყნებს შორის პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარებისა და განვითარების საკითხში.

ტრანსპორტის ახალი საშუალებები ახალი ტერიტორიების სამეურნეო ათვისების აუცილებელ პირობებს ქმნიან. ამასთან, მიმოქცევაში ხვდება პირადულისა და ენერჯის ახალი წყაროები, რომლებიც ხშირად მომხმარებელიდან რამდენიმე ათასი კილომეტრითა დაშორებული, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ევროპის ინდუსტრიული ქვეყნებისა და აზიისა და შორეული აღმოსავლეთის განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობების ფონზე.

სავსებით ლოგიკური და ბუნებრივია, რომ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის დღის წესრიგის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი (და ამასთან ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტი) შავი ზღვის რეგიონის სატრანსპორტო ქსელის განვითარება და მისი მაგისტრალების ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელთან დაკავშირება, რაც, ფაქტობრივად, გამოიცხადება, ეკონომიკური კავშირების ჩაკეტივს მხოლოდ რეგიონის ჩარჩოებით. გლობალურ ეკონომიკაში ჩართვა შავი ზღვის ქვეყნებს საგარეო ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაციაში დაეხმარება. ეს პრობლემა თანამშრომლობაში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკების უმწვევსი პრობლემაა. თანამშრომლობის რიგ ქვეყნებს, რომლებიც ეკონომიკების საბაზრო სტრუქტურებზე ტრანსფორმაციის რთული პრობლემებითაა მოცული და აქედან გამომდინარე, წარმოების განვითარების დაბალი ტემპებით ხასიათდება, წარმატებით შესუძლიათ, აგრეთვე, სატრანსპორტო ფუნქციის შესრულება. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, უდიდეს მნიშვნელობას იძენს სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარება ანა მხოლოდ რეგიონის მასშტაბით,

არამედ აქტიური ჩართვა გლობალურ სტრანსპორტის სისტემაში.

რეგიონში არსებული სატრანსპორტო პოტენციალი სამომავლო განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ეს ფაქტორი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქართველოს თანამედროვე რთული ეკონომიკური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი გამაწინააღმდეგებელი პარამეტრი. საქართველოს მთავრობა და მთელი რიგი ეკონომისტები მას ქვეყნის სამომავლო განვითარების რეალურ ორიენტირად მიიჩნევენ, რადგან საქართველოს ეკონომიკური მდებარეობა ძალიან მნიშვნელოვანია სატრანსპორტო დერეფნისათვის.

სატრანსპორტო ქსელის განვითარების კარგად განვითარებული ტემპების რეგიონში

BSEC-ს, დამოუკიდებლად, რეგიონში არსებული სატრანსპორტო საშუალებების არსებული პოტენციალის განვითარებისათვის ფინანსური საფუძველი ჯერ არ გააჩნია. მაგრამ ეს პრობლემა არანაკლებ დაინტერესებს ინვესტორებს ქვეყნებშიც. ევროპეული ინვესტიციების TACIC-ი, რომელიც დსთ-ის ტექნიკურ დახმარებას გულისხმობს, სხვა პრობლემებთან ერთად ამ პრობლემის გადაჭრას არანაკლებ ყურადღებას უთმობს. მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალის აღდგენაა. პრაქტიკულად, საუბარია ძველი "აბრეშუმის დიდი გზის" საქართველოს განსტოლების მოდერნიზებულ ვარიანტზე. მარშუტი TRACECA-ს სახელწოდებითაა ცნობილი. ევროპა-აზიის დამაკავშირებელი გზის მსოფლიო სატრანსპორტო რუკაზე ჩინედან ევროპის მიმართულებით (იგულისხმება ევროპის ცენტრალური ნაწილი) ოთხი ალტერნატიული მარშრუტია განსაზღვრული:

1. ჩინეთი (ლიანუნგანი)-დრუშების სასაზღვრო გადასასვლელი (აქტოგაი-პეტროპავ-ლუსკის მიმართულებით)-ყაზახეთი-რუსეთი-ბელორუსია-ბრესტის გადასასვლელი-პოლონეთი-სლოვაკია-ავსტრია;
2. ჩინეთი (ლიანუნგანი)-დრუშების სასაზღვრო გადასასვლელი (არსიან-მოსკოვის გადასარბენი)-ყაზახეთი-რუსეთი-ბელორუსია-ბრესტის გადასასვლელი-პოლონეთი-სლოვაკია-ავსტრია;
3. ჩინეთი (ლიანუნგანი)-დრუშების სასაზღვრო გადასასვლელი-ყაზახეთი-უზბეკეთი-თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო (ფოთი, ბათუმი)-აქედან ორი განსტოლება ევროპაში-სლოვაკია (ოდესა)-ჩოპის გადასასვლელი-სლოვაკია-ავსტრია და ბულგარეთისა და რუმინეთის მიმართულებით ცენტრალურ ევროპაში.

4. ჩინეთი (ლიანუნგანი)-დრუშების სასაზღვრო გადასასვლელი-ყაზახეთი-უზბეკეთი-თურქმენეთი.

სწორედ მესამე მარშრუტია TRACECA-ს სახელწოდებით ცნობილი. TRACECA-ს პროექტის მთავარი ინიციატორი საქართველოა (ედუარდ შევარდნაძე). პროექტი გულისხმობს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენა-განახლებას და მის ინტენსიურ გამოყენებას.

1993 წლის მაისის ბრიუსელის კონფერენცია, სადაც ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების გარდა შუა აზიისა და ამიერკავკასიის ვაჭრობისა და ტრანსპორტის მინისტრები მონაწილეობდნენ, ევროკავშირის მიერ რეალური (პრაქტიკული) დახმარების განცხადებას ევროპის მიმართ. კონფერენციაზე გადამწავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროგრამის შემუშავება, რომელიც განვითარებას სატრანსპორტო დერეფანს ევროპიდან შუა აზიამდე, აღმოსავლეთ ევროპის შავი ზღვის, ამიერკავკასიისა და კასპიის ზღვის ვაკლით. ეს მეტად მნიშვნელოვანი კონფერენცია იყო, ვინაიდან მასზე გადამწავდა ევროკავშირის მიერ ფინანსური სახსრების გამოყოფის ნაკითხი, რომელიც უმთავრესი წინააღმდეგობას წარმოადგენდა რეგიონის სატრანსპორტო ინფრ-

ევროკავშირის მიერ TRACECA-სა და BSEC-ის მხარდაჭერის მიზნით, აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო მაგისტრალის აღდგენის პროექტი

სტრუქტურის განვითარების გზაზე. ევროკავშირისათვის მესამე მარშრუტი ანუ TRACECA-სა და BSEC-ის ეტაპზე პრიორიტეტული არ იყო. მაგრამ ევროპასა და ამიერკავკასიის რეგიონს შორის ეფექტური სატრანსპორტო ქსელის შექმნა საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა, რომელსაც ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნდა. TRACECA-ს პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით და მისი რეალური ამოქმედების მიზნით, 1996 წლის 19-22 ნოემბერს ქ. სოფიაში (ბულგარეთი) შემაჯავრობ BSEC-ისა და ცენტრალური ევროპული ინიციატივის (CEI) ქვეყნების ტრანსპორტების მინისტრთა კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა ევროპა-კავკასია-აზიის დერეფნის ევროპულ კორიდორებთან მიერთება შესთავაზა. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებოდა მოცემული და იქნებოდა თუ არა TRACECA-ს პროექტი ასეთი მნიშვნელოვანი, საქართველოს მიერ გამოჩენილი ინიციატივის გარეშე. სწორედ ამიტომ, ძველი აბრეშუმის გზის

აღორძინებაში საქართველოს მიერ წარმოებულ საგარეო პოლიტიკას და BSEC-ის ქვეყნების საერთო ძალისხმევას უდიდესი დამსახურება მიუძღვის.

TRACECA-ს პროექტის შემდგომი განვითარების პროცესში, შეიძლება გამოიყოს ორი საეტაპო მნიშვნელობის კონფერენცია, რომელსაც ეს მარშრუტი ევროკავშირის პრიორიტეტულ ინტერესად აქცია: BSEC-ისა და TRACECA-ს მონაწილე ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრების თბილისის (1997 წლის 8-9 აპრილის) და ევროპის ტრანსპორტის მინისტრთა ბერლინის (1997 წლის 20-22 აპრილი) კონფერენციები.

თბილისში, პრაქტიკულად, პირველად შეიკრიბნენ ევროპისა და აზიის ამ ორი გაერთიანების მინისტრები და BSEC-ის არეალი დაფიქსირდა, როგორც TRACECA-ს პროგრამის ევროპული ინტეგრაციის პირველი ეტაპი, რაც უდავოდ ისახება BSEC-ის ინტეგრაციული პროექტების შემდგომ განვითარებაში და ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ინტეგრაციის გაღრმავებას სხვა სფეროებშიც. თბილისის კონფერენციაზე ჩვენი ქვეყნისათვის ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი. კონფერენციის საბოლოო დოკუმენტში ისახა დერეფნის მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭოს შექმნის იდეაც. შავი ზღვის რეგიონის, კავკასიისა და აზიის დამაკავშირებელი მარშრუტები ერთიანი ევროპული სატრანსპორტო სივრცის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად არის აღიარებული.

TRACECA ევროპის ერთიანი დერეფნის ლოგიკური გაგრძელებაა. ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა, საქართველოს გლობალურ ეკონომიკაში ჩართვის თვალსაზრისით. აქვე აღინიშნავ, რომ, მართალია, დღეს ნაკლებად საუბრობენ საქართველოს პრიორიტეტულ როლზე ამ პროექტის შექმნასა და განხორციელების გზაზე, ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი მნიშვნელობა აშკარაა. თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ წარსულს, ჩვენმა პარტიზორებმა გარდა BSEC-ისა და TRACECA-ში შესანიშნავად იციან, რომ, „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი საქართველო იყო. მართალია, მამონი საქართველოს საზღვრები გაცილებით ვრცელი იყო, მაგრამ დღესაც შავი ზღვის საუკეთესო ნავსადგურები საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. საქართველოს პრიორიტეტულ როლს განსაზღვრავს, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ საქართველოს მიერ წარმოებული მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკა კავკასიის რეგიონში („მშვიდობიანი კავკასიისათვის“ ინიციატივა, საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მოუხვედლობა, ქვეყნის საომარი კონფლიქტების მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გადაჭრის მცდელობები და სხვ.)

ყოველივე ამის შემდგომ, ბერლინში, ევროპის ტრანსპორტის მინისტრთა კონფერენციაზე, სადაც საქართველოც მონაწილეობდა ევროის სტატუსით, ყველა ამ იდეას ევროპულ დონეზე დაუჭირეს მხარი. ევროპის ქვეყნების მიერ BSEC-ისა და კერძოდ, საქართველოს პრიორიტეტების მხარდაჭერა, უდავოდ, მოწმობს დასავლეთის მხრიდან რეგიონთა მხარდ დაინტერესებას, რაც ზრდის საინვესტიციო კლიმატის მიმზიდველობასა და მნიშვნელოვან აფართოვებს საინვესტიციო შესაძლებლობებს. ეს გახდა ყველა შემდგომი ფორუმის (სოფია, კიევი) საბოლოო დოკუმენტებში ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის მიმართულების ერთ-ერთ პრიორიტეტულ დერეფნად აღიარების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ პანევროპული ერთიანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის საფუძველს კრებს 1974 წლის სატრანსპორტო კონფერენციის მიერ განსაზღვრული 9 სატრანსპორტო დერეფანი შეადგენს. ხოლო აღნიშნული პოლიტიკა გამოზნული იყო წლის უმთავრესი პანევროპული სატრანსპორტო კონფერენციისათვის, რომელიც 23-26 ივნისს პელსინკში გაიმართა. კონფერენციის მიერ დამატებით განსაზღვრული იქნა მე-10 სატრანსპორტო დერეფანი და 4 პანევროპული სატრანსპორტო არეალი (Pan-European Transport Area, PETRA), მათ შორის, შავი ზღვის არეალი. ამრიგად, კონფერენციის გადაწვეტილებით ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის TRACECA-ს მიმართულად აღიარებული იქნა ერთ-ერთი პანევროპული სატრანსპორტო არეალი, ანუ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. PETRA-ს საბაზისო იდეას პანევროპული სატრანსპორტო დერეფნის ქსელისათვის დამატებით და განგრძობითი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა წარმოადგენს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, "აბრეშუმის გზის" პროექტი თითქმის ყველასათვის მომგებიანია, მაგრამ როგორც ამიერკავკასიის, ისე შუა აზიის სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესები ფრიად რთულია და ზოგიერთ შემთხვევაში (საზერბაიჯანი-სომხეთი, უზბეკეთი-ტაჯიკეთი, ყაზახეთი-თურქმენეთი) წინააღმდეგობრივიც. ამ წინააღმდეგობაზე შერბილენ ბისა და საბოლოო მოხსენისათვის შუალედური მცირე მასშტაბიანი ეკონომიკური ინტეგრაციული ერთეულების შექმნა სასურველი.

შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობების საერთო ეკონომიკური ინტერესებით განონხანსწორების კონკრეტული მექანიზმის საფუძველი სარაქსის სატრანზიტო გადაზიდვების რეგულირების ხელშეწყობაშია მოცემული. ხელშეკრულება 1996 წლის მაისში საქართველოსა და უზბეკეთის ინიციატივით დაიწყო. მას ოთხი ქვეყნის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, საქართველოსა და უზბეკეთის პრეზიდენტებმა მოაწერეს ხელი. ხელშეკრულებას შემდგომ მიუერთდა ბულგარეთი და ყირგიზეთი,

რითაც მისი მოქმედების არეალი მნიშვნელოვნადაა გაფართოვდა. აქვე აღსანიშნავია სუვაში თანამშრომლობა, რომელიც ჩრდილო ევროპულ დერეფნებთან გვაახლოებს.

TRACECA-ს მარშრუტით სატრანსპორტო გადაზიდვების გაზრდაში თავისი წვლილი შეიტანა, აგრეთვე უკრაინას, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებული სამხრეთმა შეთანხმებამ, რომელიც ევრო-აზიური დერეფნის შექმნასა და ფუნქციონირებას შეეხებოდა. აღსანიშნავია, რომ უკრაინა, ბულგარეთი და რუმინეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მათი ნავსადგურების საშუალებით საქართველოს ნავსადგურებთან საბოლოო მიმოსვლის ფუნქციონირებას და ახალი ხაზების გახსნას. ვფიქრობ, აღნიშნული ვითარება ტრანსპორტის სფეროში შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობის წარმატებით განხორციელების ადასტურებს.

ფაქტობრივად, TRACECA BSEC-ის სატრანსპორტო სისტემის იურიდიული და სამართლებრივი რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელების პირველი ცდაა.

აღსანიშნავია, რომ რაოდენ პერსპექტიულიც არ უნდა იყოს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი თავისთავად, არც ევროკავშირი და არც მსგავსი ტრანსნაციონალური სატრანსპორტო კომპანიები რეგონულ პოლიტიკურ გადაწყვეტებს (და არც) მოაგვარებენ. თუმცა, მათი გაძაფრის რეალური საფუძველს შექმნიან.

უზარმაზარი სუბრეგიონის - ევრაზიის სამხრეთის სახელმწიფოთა ინტეგრაცია ახალი საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური კულტურული ერთობის ფორმირების რეალური წინაპირობაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სტაბილური განვითარება და კონფლიქტების მოგვარების წინაპირობა გახდეს. საქართველოსათვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან თუ მოხერხდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური ხერხებით სწრაფად მოგვარება, მაშინ საქართველოს ჩრდილო ევროპის სატრანსპორტო დერეფნებთან მიერთების რეალური შესაძლებლობა ექმნება. ეს კი ეკონომიკურად აფხაზეთის მხარის რეაბილიტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

1997 წლის ოქტომბერს ინტეგრაციული პროექტის ხელშეწყობის მიზნით საქართველო და აზერბაიჯანი "ახალი აბრეშუმის გზის ხელშეკრულების" ინიციატივით გამოვიდნენ. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა ევროკავშირმა. პირველურად, აშშ-ის სენატში დიენყო დებატები "აბრეშუმის გზის" კანონპროექტის მიღების შესახებ. ჩემი შეხედულებით, "ახალი აბრეშუმის გზის ხელშეკრულება" სახელმწიფოთშორის ურთიერთგაგების ერთი ასპექტს, კერძოდ, სატრანსპორტო-სატრანზიტო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი იქნება.

ხელშეკრულება არ იფარგლება მხოლოდ მისი ნეკრი ქვეყნებით, იგი ფართო არეალს ქმნის მხარდამჭერი სახელმწიფოებისათვისაც.

ნათელია, რომ პროექტის წარმატებით განხორციელება გიგანტურ ევრაზიულ სივრცეზე ანუ ევროკავშირის სატრანსპორტო სისტემებთან, წყნარ ოკეანისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სატრანსპორტო სისტემებთან ინტეგრაცია, შეუძლებელია რეალობად იქცეს ევრაზიის შავი ზღვის სუბრეგიონის რეალური მხარდამჭერის გარეშე, სადაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს BSEC-ის ფარგლებში საქართველოსა და სხვა ნეკრი ქვეყნებში ჩამოყალიბებული და განვითარებული კომპანიები თუ მრავალმხრივი ურთიერთობათა ქსელი.

TRACECA-ს პროექტები, რომლებიც საწყის ეტაპზე შეიქმნა, დაინტერესებულ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების, სატრანსპორტო სისტემის ინსტიტუციური მოწყობის, საკანონმდებლო და მარეგულაციური რეგულირების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და განვითარების განმსაზღვრელია.

თუ TRACECA-ს საქართველოს მონაკვეთის მიმდინარე და პერსპექტიული განვითარების საერთო სტრატეგიას შევაფასებთ, შეიძლება ითქვას, რომ მას ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრირების საერთო სტრატეგიამდე მივყავართ.

TRACECA-ს პროექტის საწყის ეტაპზე ტექნიკური დახმარების პროექტები, პირველ რიგში, უამრავი უმნიშვნელოვანესი საკითხის შესწავლას გულისხმობდა. ასე მაგალითად, არსებული გადაზიდვების სტრუქტურა, საავტომობილო და სარკინოგზო მაგისტრალის, საზღვაო ნავსადგურების, აეროპორტების არსებული მდგომარეობის შესწავლა, მათი რეაბილიტაციის ანალიზი, შეფასება და პერსპექტიული განვითარების პროექტების შექმნა, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ტვირთბრუნვის პროგნოზირება. დიდი ყურადღება დაეთმო საბაჟო და სასაზღვრო პროცედურების ანალიზს, მათი გამარტივების არც ისტემამი ინფორმაციული და კომუნიკაციური თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შესწავლას, ერთიანი სატარიფო ტარიფების საფუძველების ფორმირებას, მისი ეფექტურობის გადიდების გაზრებისა და საშუალებების ანალიზს.

საქართველოში ტექნიკური დახმარების პროექტები ითვალისწინებს, როგორც სატრანსპორტო სექტორის ინსტიტუციური და საკანონმდებლო სისტემების სრულყოფას, ასევე კადრების

მომზადებას, გადაზიდვების თანამედროვე სახეობათა სისტემების განვითარების შესაძლებლობების ანალიზს, საპაერო მიმოსვლის მართვის ორგანიზაციის სრულყოფას, საავტომობილო გზების განვითარების, მსხვილი სატრანსპორტო დარგების რესტრუქტურისა და პრივატიზაციის ამოცანათა შესწავლას, სატრანსპორტო ბიზნესისა და ინსტიტუციური მენეჯმენტის სრულყოფას და ა.შ. არსებობს, აგრეთვე, პროექტი, რომელიც გულისხმობს თბილისში საინფორმაციო ცენტრის შექმნას, სადაც კომპიუტერებში შეინახება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რკინიგზაზე მოცემულ მომენტში რატორითი სად იყავილება, ანუ საქართველო საინფორმაციო კვანძად შეიძლება იქცეს. როგორც ვხედავთ, ჩვენთვის შემოთავაზებული ტექნიკური დახმარების პროექტები მუტად საჭირო და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს, რომელთა გარეშე წარმოადგენილია სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედება.

ამრიგად, სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის გადიდების ყველა შემოსენებული ღონისძიების განხორციელება მუტად რთული ამოცანაა. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შემზღუდავი ბუნებრივი და პოლიტიკური ფაქტორები (რთული რელიეფური პირობები, საზღვაო და სახმელეთო სატრანსპორტო კომუნიკაციების ხშირი მონაცვლეობა, ათეულზე მეტი სახელმწიფო საზღვრის გადალახვა და ა.შ.) თავისთავად ართულებს ტვიტბრუნვას და გადაზიდვის ირებულებას ზრდის. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანს მძაფრი კონკურენციის პირობებში უნეს და მკვიდრება. არსებული პრობლემების მოუგვარებლობისა და დასახული ამოცანების შესრულებლობის შემთხვევაში ალტერნატიული გზები ყოველთვის მოინახება (მაგ. ჩრდილოეთით რუსეთზე, სამხრეთით - ირანსა და თურქეთზე გამავალი სატრანზიტო გზები). ყოველივე ეს კი საქართველოს აქტიური და სწრაფი მოქმედებებისაკენ უბიძგებს, რაც, თავის მხრივ, BSEC-ში რეალური ინტეგრაციის საშუალებით ხორციელდება.

BSEC-ის სახელმწიფოებში რეგიონული პროექტების წინანსიობის პრობლემის გააღწევის მიმართ

TRACECA-ს პროექტის მთლიანი რეალიზაციისათვის საჭიროა ფინანსური საშუალებების არსებობა, რომლებიც გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოებს არ გააჩნიათ. ის ფაქტი, რომ ტექნიკურ პროექტებს დასავლეთელი სპეცია-

თარეხათან. ინტეგრაციის გაღრმავება BSEC-ის ფარ- გულბათში საქართველოს მომავალი განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. უმთავრესს პრობლემებს და სირთულეებს, რომელიც ამ ამოცანის განხორციელებას ელოდება წინ საქართველოს და საერთოდ, BSEC-ის მონაწილე ქვეყნების ეკონომიკების ტრანსფორმაციის პროცესის წარმოშობას. ქვეყნის ეკონომიკური აღმაშენებელი მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მოწყობაზე. ამერიკელი ეკონომისტები (კიმ პოლმენი, ბრაინ ჯონსონი, მელანი კირკპატრიკი) მიიჩნევენ, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა და ქვეყნის სიმდიდრეს ეკონომიკური თავისუფლება განსაზღვრავს. ეკონომიკური თავისუფლების კონცეფცია საუკუნეების მანძილზე მწვავე დებატების საგანი იყო. ეკონომიკური ლექსიკონის განმარტებით თავისუფლება არჩევანისა და მოქმედების შეზღუდვის, ან იძულების საჭიროების არარსებობაა. ანუ ეკონომიკური თავისუფლება შეიძლება განი-

დემოკრატიული დიქტატორები და თავისუფალი საზღვრები

საზღვროს, როგორც მთავრობის მხრიდან საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, განაწილებასა და მოხმარებაზე იძულების ან რაიმე შეზღუდვის არარსებობა.

ინტეგრაციის წინაპირობების შექმნის აუცილებელ მოთხოვნას ახალ გაერთიანებაში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკის ლიბერალური ხასიათი წარმოადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტეგრაციის ობიექტურ წინაპირობას BSEC-ში სწორედ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა წარმოშობს, რომლის მიღწევა ძირითადი პრობლემაა მისი მონაწილე ქვეყნებისათვის.

ეკონომიკური ზრდის თეორიები, რომლებიც მთელი რიგი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ პრაქტიკას ანუ პრაქტიკულ 60-იანი წლებიდან, თითქმის 40 წლის მანძილზე დარწმუნებით ადასტურებენ, რომ არსებობს ეკონომიკური თავისუფალი ეკონომიკური ზრდასა და დემოკრატიის პროცესებს შორის.¹⁴

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირი ისეთი უნივერსალურია, რომ თუ ვიცით ამა თუ იმ ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი შრომა პროდუქტის მოცულობა, საკმაოდ დიდი სიზუსტით შეიძლება განესაზღვროთ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მოწყობა.

ლიბერალიზმსა და ეკონომიკურ განვი-თარებას ორმაგი დამოკიდებულება ახასიათებს. ერთი მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაცია, როგორც წესი, დამატავს სიათებელია დემოკრატიისათვის. მეორე მხრივ, ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას შეესაბამება ეკონომიკური ზრდის მაღალი და მდგრადი ტემპი. ეკონომისტების¹⁵ დასკვნით, რაც უფრო მაღალია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი, მით მეტია ქვეყნის მიერ ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონე და მისი მოსახლეობის კეთილდღეობა და ეკონომიკური განვითარების ტემპები. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვა, სიღარიბიდან და მცირედ განვითარებული ეკონომიკიდან გადასვლა სიძვიდრეზე და ეკონომიკური აყვავებისაკენ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციის გზით - სწორედ ეკონომიკური თავისუფლება განაპირობებს ეკონომიკურ განვითარებას.

საერთოდ შეიძლება ვამტკი-ვით, რომ პირდაპირი დამო-კიდებულება პოლიტიკურ დემო-კრატიას, ეკონომიკურ ლიბე-რალიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ნამდვილად

არსებობს, რაც დადასტურებულია გარკვეული მაჩვენებლების (ინდიკატორების) ქვეყანათა-შორისო შედარების მასალებით. ამასთან, თავისუფალი ბაზარი შეიძლება არსებობდეს დემოკრატიის გარეშეც, ხოლო დემოკრატია თავისუფალი ბაზრის გარეშე არ არსებობს.

როგორც BSEC-ის ინსტიტუციური საფუ-ძვლების მიმოხილვა, ბოსნიის დეკლარაციისა და სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი

თავისუფალი ბაზარი შეიძლება არსებობდეს დემოკრატიის გარეშეც, ხოლო დემოკრატია თავისუფალი ბაზრის გარეშე არსებობს.

დიკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, ყველა მონაწილე ქვეყანა ერთხმად აღნიშნავს კერძო სექტორის მზარდ მნიშვნელობას შავი ზღვის რეგიონის განვითარებასა და უზარმაზარი პოტენციალის გამოყენების საქმეში. ბიზნეს-მენების საქმიანობა განაპირობებს სწორედ იმ ფაქტს, რომ ბოსნიის დეკლარაციაში მონაწილე სახელმწიფოთა მიერ ხაზგასმით არის აღნიშნული როგორც კერძო სექტორის, ისე სახელმწიფო საკუთრების ცალკეულ ფორმებისა და სანაწ-მოების ინდივიდუალური და ჯგუფური ინიციატივების სტიმულირების აუცილებლობა და

საჭიროება. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-მენებისათვის სამოგზაურო პრობლემების გაუმჯობესების პრობლემას ეძღვნება ბოსნიის დეკლარაციის სპეციალური მუხლი (ბოსნიის დეკლარაცია, როგორც აღვნიშნეთ, BSEC-ის მიერ საქმიანობას უდევს საფუძვლად). ასევე, დიდი ყურადღება ეთმობა BSEC-ის თითქმის ყველა ორგანოს მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებასა და განვითარებას. გარდამავალი ეკონომიკის პრობლემაში სრულფასოვანი საბაზრო გარემოს შექმნის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სამეწარმეო საქმიანობის ფორმირება და განვითარებაა. რაც უფრო მეტი მწარმოებელია ქვეყანაში, მით მდიდარია ქვეყანა. ჩემი აზრით, საქართველომ და საერთოდ, BSEC-ის მონაწილე ქვეყნების უმრავლესობამ (განსაკუთრებით კი პოსტსოციალისტურმა ქვეყნებმა) ძირითადი ყურადღება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას უნდა დათმოს. აქედან გამომ-დინარე, აუცილებელია ხელსაყრელი ეკონო-მიკური პირობების შექმნა ბიზნესის ცივილური ინტენსიური განვითარებისა და მზარდა-ჭერისათვის. როგორც ჯ. სეი¹⁶ აღნიშნავს, მწარმოებელს ეკონომიკური რესურსები დაბალი მწარმოებლური სფეროდან მაღალი შემოსა-ვლების სფეროში გადაწყავს. ეს გარემოება კი დიდ მნიშვნელობას იძენს ჩვენს შემთხვევაში, როცა სახეზეა ეკონომიკური რესურსების მწარმოე-ბლურების შეზღუდულობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა, რა სურათი იქმნება BSEC-ის ქვეყნებში ეკონო-მიკური თავისუფლების მხრივ, რომელიც

მწარმოებელს ეკონომიკური თავისუფალი ბაზარი შეიძლება არსებობდეს დემოკრატიის გარეშეც, ხოლო დემოკრატია თავისუფალი ბაზრის გარეშე არსებობს.

განსაზღვრავს ცალკეული ინდივიდების (ბიზნესმენების) შესაძლებლობას, აწარმოოს, გაანაწილოს და მოიხმაროს საქონელი და მომსახურება.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაზომვა, რამდენადაც პრობლემატურია. ამ პრობლემის გადაჭრას მთელი რიგი ეკონომისტები ცდილობდნენ სხვადასხვა დროს. რადგან ეკო-ნომიკური თავისუფლება განსაზღვრავს ცალ-კეული ინდივიდების თავისუფლებას აწარმოოს, გაანაწილოს და მოიხმაროს საქონელი და მომსახურება, მისი გაზომვის (შეფასების) ერთ-ერთ გზას მთავრობის მიერ დანესებული შეზღუდვების შესწავლა აწარმოადგენს. მთაწ-რობის პოლიტიკა და ის წარმოებები, რომელიც პირად ეკონომიკურ არჩევანს განსაზღვრავს,

შეიძლება ობიექტურად შეფასდეს. ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი¹⁷ იკვლევს ისეთი ეკონომიკური ფაქტორების დინამიკას როგორც სახელმწიფო რეგულირების, დის-კრიმინაციული დაბეგრის, საგარეო ეკონომიკურ სფეროში ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის ხარისხი, ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ინდიკატორები და კავშირი ასეთ მაჩვენებლებს შორის. ეკონომისტთა ნაწილ¹⁸ კი მიაჩნია, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დასადგენად პირველხარისხიანი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ პარამეტრებს: ფასების ლიბერალიზაცია; საშინაო ვაჭრობაში აღმინისტრაციული ბარიერების აღმოფხვრა; საექსპორტო ტარიფების მოხსნა, ან შემცირება; პრივატიზაცია; და კერძო სექტორის განვითარება.

ყველა შემთხვევაში პარამეტრი მნი-შვნელოვანია ეკონომიკური ინდექსის დადგენის თვალსაზრისით, მაგრამ ისინი სრულად არ ასახავენ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში შექმნილ ვითარებას. ჩემი აზრით, ეკონომიკური ფაქტორების გაცილებით ფართო და სრულ სპექტრის შეისწავლის ამერიკული ფონდი „მემკვიდრეობა“ (Heritage foundation). იგი 1995 წლიდან შეისწავლის იმ ფაქტორებს, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკის თავისუფლების დონეზე და მის კეთილდღეობაზე.

ეკონომიკური თავისუფლების დონის გასაზომად მათ მიერ შემოთავაზებული ინდექსი თითოეულ ქვეყანაში დაახლოებით 50 დამოუკიდებელ ეკონომიკურ ცვლადს შეისწავლის (რაც მნიშვნელოვანია და აჭარბებს ზემოხსენებული სხვა ინდექსების

დასადგენად გამოყენებულ პარა-მეტრებს). ცვლადები 10 საერთო კატეგორიად იყოფა: საგარეო პოლიტიკა; დაბეგრვა; ეკონო-

მიკაში სახელმწიფოს ჩარევა; მონეტარული პოლიტიკა; უცხოური ინვესტიციები; საბანკო სისტემა; ხელფასებსა და ფასებზე კონტროლი; კერძო საკუთრება; რეგულაცია და შავი ბაზრის საქმიანობა.

როგორც ვხედავთ, ჩამონათვლი საკმაოდ სრულია და მსედველობიდან არ არის გამორჩენილი ისეთი სოციალური მოვლენა როგორცაა შავი ბაზარი, ანუ „ჩრდილოვანი ეკონომიკა“, რომელიც განხილული ქვეყნების ეკონომიკაში მნიშვნელოვან წილს შეადგენს.

„Heritage Foundation“-ის ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური თავისუფლების დონის განსაზღვრისათვის ყველა ფაქტორი ერთნაირად მნიშვნელოვანია. ამრიგად, საერთო შეფასებისას ამ ფაქტორებს მსდველობაში თანაბრად იღებენ. ამჟამად მათთვის მხოლოდ ის

¹⁴ I. Lipset M. Political Man: Social Basis Politics. N-y. 1960 2. Huntington S. The Thord World Democratization in the 20th Century. L. 1991; 3. Boron A. State, Capitalism and Democracy in Latin America. 1995. 4. Alesina A. Parotti R. Democratic, Stabilité Politique et Croissance. 1997 ¹⁵ Gwartney J. Lawson R. Block W. Economic Freedom of the World 1975-1995. N.Y. 1996

¹⁶ J. B. Say. Catechism of Political Economy N. Y. 1967) ¹⁷ Gwartney J. Lawson R. Block W. Economic freedom of the world 1975-1995. N. Y. 1996 ¹⁸ De Melo M. Denizer C. Gelb A. Patterns of Transition From Plan To Market - The Wolr Bank Ecobomic Review, 1996.

არის ცნობილი, რომ გრძელვადიანი ზრდისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევისათვის ქვეყანამ ყველა ზემოქანმოთვლილი ფაქტორის მიხედვით დადებითი შედეგი უნდა აჩვენოს.


ყოველი ქვეყანა საერთო შეფასებას იღებს, რომელიც დაფუძნებულია 10 ინდივიდუალური ფაქტორის საშუალო არითმეტიკულზე. შეფასების შკალა ხუთბალიანია. „1“ აღნიშნავს მაქსიმალურ ეკონომიკურ თავისუფლებას, ხოლო „5“ სახელმწიფოს მიერ მაქსიმალურ შეზღუდვას.

BSEC-ის ქვეყნებისათვის ეს ინდექსი შემდეგნაირად გამოიყურება:

ქვეყნებისათვის თავისუფლების საერთო ინდექსი (კალკულირებული მნიშვნელობისათვის)

	1995წ	1996წ	1997წ	1998წ	1999წ	2000წ	2001წ
1. თურქეთი	3	3	2,8	2,8	2,8	2,75	2,9
2. საბერძნეთი	2,8	2,8	2,85	2,9	2,85	2,75	2,7
3. რუმინეთი	3,55	3,7	3,4	3,3	3,3	3,3	3,65
4. მონტენეგო	4,1	3,45	3,35	3,35	3,3	3,2	3,6
5. სლოვენია	-	3,75	3,45	3,45	3,45	3,1	2,95
6. ბულგარეთი	3,5	3,5	3,6	3,65	3,5	3,4	3,3
7. რუსეთი	3,5	3,5	3,65	3,45	3,5	3,7	3,7
8. საქართველო	-	3,85	3,85	3,65	3,55	3,65	3,55
9. უკრაინა	3,9	4	3,75	3,8	3,8	3,6	3,85
10. ალბანეთი	3,55	3,45	3,65	3,75	3,6	3,7	3,5
11. აზერბაიჯანი	-	4,7	4,6	4,4	4,3	4,2	3,55

ცხრილებში მოყვანილი მონაცემების თანახმად, 1995-1998წწ. პერიოდში შეფასებები, ხშირ შემთხვევაში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაუმჯობესდა. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების დონე გაიზარდა, რაც გარდა-



მავალი პროცესების წარმატებას მოწმობს და BSEC-ის შემდგომი საქმიანობის პერსპექტივებს ზრდის. BSEC-ში მიმდინარე ბევრი ეკონომიკური მოვლენა სწორედ გარდამავალი პროცესების მდორედ მიმდინარეობის გამო ფერხდება. ქვეყნებს ჯერ არ დაუშთავრებიათ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური მოწყობა, ხოლო საბოლოო ეკონომიკური კურსი უმრავლეს ქვეყანაში ჯერ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული არ არის.

ეკონომიკების გარდაქმნის მიმდინარე პროცესების წარმატებით განვითარება, ერთი მხრივ, ქვეყნებში კაპიტალის დაგროვებას შეუწყობს ხელს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკური თავისუფლება უცხოურ კაპიტალსაც მიიზიდავს, რომელიც ასე სჭირდება როგორც ცალკეულ ქვეყნებს, ისე BSEC-ში მიმდინარე საერთო პროცესებსაც. ეს მოვლენები ურთიერთშორის მჭიდრო კავშირში არიან. რაც უფრო დაბალი იქნება ეკონომიკური თავისუფლების აღნიშნული ინდექსი, მით მეტი იქნება ინტეგრაციის დონე შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში. ამიტომ

სვლა ინდექსის დადაბლებას უნდა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სვლა BSEC-ის ქვეყნებს შორის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაზრდისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლები ხშირად იცვლება როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მიმართულებით. ვფიქრობ, რომ სწორედ BSEC-ში ინტეგრირება შექმნის მისი მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების დონეების გამოთანაბრებისა და გაუმჯობესების საფუძველს. რაც შეეხება საქართველოს, ამ მხრივ მნიშვნელოვანი პერსპექტივა პრობლემის გადაწყვეტის გზაზე TRACCEA-ს პროექტში მონაწილეობაა, რაც BSEC-ის სატრანსპორტო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილისა და როლის შესრულებას უკავშირდება.

ამრიგად, შავი ზღვის რეგიონში ინტეგრირება საქართველოსათვის გადაუდებელ ამოცანათა რიცხვს მიეკუთვნება და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად განიხილება.

ინტეგრირება საქართველოს ეკონომიკის უმწვევალეს პრობლემების გადაჭრის ეფექტურ მექანიზმად შეიძლება განვიხილოთ. ყველაფერთან კავშირში გასათვალისწინებელია ერთად მოქმედების ეფექტიანობა და შავი ზღვის ქვეყნების (როგორც ერთიანი რეგიონის) მიმართ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მზარდი ინტერესი.

გამოყენებული ლიტერატურის სია

- ადგი შვილი მ. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი: რეალობა და პერსპექტივა. გ. საქართველოს რესპუბლიკა. № 315 1997;
- თ. ბერიძე "ეროვნული ეკონომიკათვითმყოფადობა და ინტეგრაციული პროცესები". ჟურნალი „მაკრო მიკრო ეკონომიკა. იანვარი, 1998წ.
- გამსაზურდია გ. საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ. 1995
- გველხიანი რ. მცირე და საშუალო მწარმოების სტარტუპი და კულტურა. თბ. 1997;
- გუგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა. თბ. 1996;
- თოდუა გ. ქართული ეკონომიკური აზრის საბაზრო ეკონომიკის თაობაზე, ე. ეკონომიკა. № 4-5, 1994.
- კახია შვილი ჯ. მაკროეკონომიკა თბ. 1998;
- ლემონჯავა პ. თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსი და ფორმირების პრინციპები. თბ. ე. ეკონომიკა №12 1996;
- ლორთქიფანიძე რ. შავი ზღვის აუზის ყვენების ეკონომიკური მიმოხილვა. № 5-7, 1997
- მაკკონელი ვ. ბრიუს. ეკონომიკისი. თბ. 1993;
- მეჭვანი შვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა. თბ. 1996
- რონდელი ა. საერთაშორისო ურთიერთობები. თბ 199
- პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს დაფუძვლის საფუძვლები. თბ. 1995;
- პაპავა ვ. საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე 1995;
- პაპავა ვ. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები. თბ. 1994;
- სანთელაძე ნ. საბაზრო ეკონომიკის მოდელირება. თბ. 1992
- სანთელაძე ნ. საბაზრო ეკონომიკის მოდელირება. თბ. 1993
- კორღანაშვილი ლ. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თბ. 1997;
- ჩიკვაძე თ. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ეკონომიკური პრობლემები მიჯნაზე ნიგში „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“ შრომების კრებული ტ. 1, 1996 წ. სსესპსკი.
- ჩიქვაძე ლ. საქართველოს ეკონომიკა. თბ. 1995;
- ძნელაძე დ. მსოფლიო ეკონომიკა. თბ. 1997;
- ნერეთელი გ. საქართველოს ტერიტორიაზე მაგისტრალური ნავთობსადენის ერთობლივი მშენებლობის ეკონომიკური სფეროში პროგნოზირების მეთოდოლოგიური ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით. საქ. მეც. აკ. მაცნე. ეკონომიკის სერია. ტ. 5 №3-4, 1997;
- Altagappa M. Regionalism and Conflict Management: A Framework for Analysis. Review of International Studies. 1995
- Allais M. United Europe - The Way to Prosperity. P. 1960
- Balassa, B. The Theory of Economic Integration. Richard D. Irwin Inc. 1961
- Bye M. Freer Trade and Social Welfare. International Labour Review. 1958
- Chung-Si Ahn, North-East Asia in the Global and Regional Context: Security Options for the Next Century, Seoul National University, 1996
- Cooper R. Toward a General Theory of Customs Unions for Developing Countries - Jprnal of Political Economy. 1965, vol 73, No 5.
- De Melo M. Denizer C. Gelb A. Patterns of Transition From Plan To Market - The Wolr Bank Economic Review, 1996,
- Dwight H. Perkins. Reforming Economic Systems In Developing Countries. Harward University, 1991
- Ei-Agraa A. The Theory and Measurement of International Economic Integration, McMillan&Martin. 1989
- Gerald R. J. Multilateralism Matters: The Theory and Practice of the Institutional Form. New-York: Columbia University Press. 1993.
- Globalism and Regionalism. Selected papers dilivered at the Uaited Nations University Global Seminar "96 Shonan Session". September 1996.
- Gowland D. and James S. Economic Policy After 1992.
- Gwartney J. Lawton R. Block W. Economic freedom of the world 1975-1995. N. Y. 1996;
- Harrison G. Europe and The United States Competition and Cooperation in the 1990s. New-York. 1994
- Harrison I. Clennon J. Europe - Economic Integration. London 1995
- Heilperin G. Economic Integration: Comercial and Financial Postulates. Baltimore: Hohns hopkins Press. 1957
- Hettne B. Globalization, the New Regionalism and East Asia. United Nations University Global Seminar "96 Shonan Session 2". 1996
- Huntington S. The Thord World Damocratization in the 20th Century. L. 1991
- Hurrell A. Explaining the Resurgence of Regionalism in World Politics. Review of Institutional Studies, 1995
- Inoguchi T. "Conclusion: A Peace-and-Security Taxonomy"
- Inoguchi T. and Stillman B. North-East Asian Regional Security: the Role of International Institutions" United Nations University Press, 1997
- Lipset M. Political Man: Social Basis Politics. N-y. 1960

46. Lipsey G. The Theory of Customs Unions: A General Surveu - International Trade. Harmondsworth, 1974
 47. Marshall, A. Principles of Economics, 8th edited London, 1956
 48. Meade J. E. The Theory of Customs Unions. Amsterdam, 1955
 49. Myrdal, G. Economic Theory and Underdeveloped Regions. L. 1957
 50. Myrdal G. World Economy. L. 1958
 51. Nierop T. Systems and Regions in Global Politics: An Empirical Study of Diplomacy, International Organizations, and Trade, 1950-1991. New York: John Wiley and Sons. 1994.
 52. Philip A. Social Aspects of European Economic cooperation. International Labour Review, 1957
 53. Robson P. International Economic Integration. Penguin. 1987
 54. Russett B. International Regions and The International System. Chicago: Rand McNally, 1967.
 55. Russett B. Global or Regional: What can International Organizations Do? Yale University, USA. 1996
 56. Say J. B. Catechism of Political Economy N. Y. 1967;
 57. Scitovsky T. International Trade and Economic Integration as a Means of Overcoming the Disadvantages of a Small Nations. - The Economi Consequences of the Size of Nations. L. 1960.
 58. Somjee A. Development Theory. New-York. 1991
 59. Streeten P. Economic Intagraton: Aspects and Problems. leyden, 1964
 60. Walter S. Jones The Logic of international Integration. New-York. 1980
 61. Wolf Ch. Linking Economic Policy and Foreign Policy. London. 1989;
 62. Yves Paris -Trierty Budlis-Economistes

სტატისტიკური კრებულება

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. 1996-2000 წწ. თბ.
 2. TACIC, Georgian European Policy and Legal Advice Centre. Georgian Economic Trends. 1996-1999;
 3. Global Economic Prospects and the Developing Countries 1998/1999. The Wold Bank.
 4. Economic Survey of Europe in 1995-1996, UN. New York and Geneva, 1996
 5. Handbook of International Trade and Development Statistics. U. N. N.Y. 1996;
 6. House Committees on Fireign Affairs and on Ways and Means on January 1999.
 7. International Financial Statistics. WB. 1997.
 8. Senate Committees of Foreign Relations and on Finance;
 9. Statistical Reports of State Departments of Statistics of Romania, Greece, Russia, Bulgaria, Turkey, Ukraine;
 10. Transition Report 1998. European Bank for Reconstruction and Development;
 11. Wold Development Report. Knowledge for Development. Including Selected Wold Development Indicators 1998/1999. The Wold Bank.
 12. "1999 Index of Economic Freedom" Heritage Foundation/The Wall Street Journal. Kim R. Holmes, Bryan T. Jonson and Melanie Kirkpatrick.

Documents of BSEC

1. Summit Declaration Bosphores Statement and Statements by the Heads of State or Governments;
 2. Report of the Meetings of the Ministries of Foreign Affairs, vol. 1-13;
 3. High Level Meeting of the Participating States of the Black Sea Economic Co-operation. vol. 1-3;
 4. Parliamentary Assembly of the BSEC. hand book of documents, vol. 1-5;
 5. Round Table "BSEC - at the Turn of 21st Century", 8-9 March, Tbilisi, 1999;
 6. BSEC: The Present and The Future, Istanbul, 1998
 7. Black Sea Environmental Programme, Istanbul, 1995;
 8. Social and Economic Indicators of the BSEC Country. Istanbul, 1997;
 9. BSEC Co-ordination Centre for Exchange of Statistical Data and Economic Information. Statistical Data, vol 1-5;
 10. BSEC Economic Development Co-operation Fund, Report. Istanbul, 1998;
 11. Business Forum of the BSEC: Opportunities for the Future, Istanbul, 1998;
 12. Economic Panorama: Commerce and Industry of BSEC Country. Istanbul, 1997
 13. Black Sea Economic Co-operation. Handbook of Documents. vol. 1-15.
 14. Rules of Procedure of the BSEC;
 15. BSEC - A New Architecture - A New Vision, Istanbul, 1998;
 16. Energy Situation in the Black Sea Region. Istanbul, 1995;
 17. Business Forum of BSEC, Report, Istanbul, 1998;
 18. Reports of Working Groups, vol 1-2;
 19. Reports of Seminars of BSEC.



მაშუკა კომახია

შესავალი

ისლამის როლი პოლიტიკაში საზოგადოებო-სათვის ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. XX საუკუნეში რელი-გიებიდან ყველაზე მეტად პოლიტიკაში შეღწევა სწორედ ისლამმა შეძლო. ისლამურმა რევო-ლუციებმა ევრაზიის კონტინენტზე თავისი დალი დაასვეს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების განვითარებას.

პოლიტიკურ ისლამს დასაგლეითი და საერ-თოდ დემოკრატიული სამყარო განსაკუთრებული სიფრთხილით ეყიდება. დასავლეთში პოლიტიკურ ისლამს ტერორიზმსაც უკავშირებენ, რაც მათთვის გერიოზული საბაბია ისლამისტური პარტიების ხელისუფლებაში მოსვლას ეჭვის თვალთ შეხედონ.

აზიაში უმცარესი ისლამური რეჟიმა ავღ-ნეთში. ფილიპინებში უკვე წლების განმავლობაში მუსლიმი აჯანყებულები ძალაუფლების მოპოვე-ბისთვის იბრძვიან. აზიაში სულ უფრო ხშირი ხდე-ბა ისლამური იდეალების აღორძინება. ისლამის აღორძინება უშუალოდ მოქმედებს არაისლამურ ქვეყნებზეც: მუსლიმური ჩინეთი იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ; ფუნდამენტალისტურმა ტერორიზმმა ამერიკელი გამომძიებლები ფილი-პინებშიც კი ჩაიყვანა და აშშ აიძულა ავღანეთი დაეებომბა; მუსლიმებისა და ინდუსების დაპი-რისპირება ორ ბირთვულ სახელმწიფოს, პაკის-ტანსა და ინდოეთს შორის დღესაც დაძაბულობის მიზეზია.

ბევრ ისლამურ სახელმწიფოში მიმდინარეობს ბრძოლა ზომიერსა და რადიკალურ ისლამს შორის. ერთ-ერთ უდიდეს მუსლიმურ ქვეყანაში, ინდონეზიაში დემოკრატიული არჩევნების შედეგად ზომიერი ისლამის მიმდევარი აბდუ-რაჰმან ვაჰიდი მოვიდა, რომელმაც მკაცრი ისლა-მური კანონების შხარდაჭერაზე უარი თქვა. დემოკრატიული ისლამური მოძრაობის გავრცე-ლება რადიკალური ისლამის დასუსტების იმედს იძლევა.

ავღანეთში თალიბების მოსვლის შემდეგ დამყარდა მკაცრი ისლამური რეჟიმი, რომელსაც კონსერვატორი მუსლიმებიც კი ექსტრემისტულს უწოდებენ. თალიბებმა აგრძალეს ვიდეო, მასმედი და მუსიკა. ქალებს არა აქვთ მუშაობის უფლება და ჩადრებით დადიან. ისლამური ნორმების დამ-რღვევითათვის სახალხოდ ჩაქოლვას გათვალის-

წინებული. თალიბების რეჟიმა ექსტრემიზმი ისლამის სუნიტური მიმდინარეობის ფარგლებში მოაქცია, რაც ახალი მოვლენაა. 1980-90-იან წლებში ისლამური რადიკალიზმი ისლამის შიიტურ მიმდინარეობას უკავშირდებოდა, რაც სათავეს ირანის რევოლუციაში და ისრაელის წინააღმდეგ „ჰეზბოლას“ ბრძოლიდან იღებდა. შიიტებსა და სუნიტებს შორის საუკუნოვანი დაპირისპირების ფონზე რადიკალიზმი სუნიტებს ყველაზე ნაკლებად ესადაგებოდა.

ირანის შედარებით ზომიერი პოლიტიკისა და „ჰეზბოლას“ საქმიანობის შესუსტების ფონზე სუნიტური ისლამი უფრო რადიკალური გახდა, რაც უშუალოდ თალიბებს უკავშირდება. ისლამისტი სეპარატისტები იბრძვიან ქაშმირში, დასავლეთ ჩინეთში, ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში. გავრცელებული მოსაზრებით მათ წკრთინა თალიბი „მასწავლებლებისგან“ მიიღეს.

აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, როგორებიცაა ბანგლადეში, პაკისტანი და ინდონეზია ქალბენი შედარებით მაკონტროლი საარგებლობენ. პირველ ორში ქვეყნის მეთაური ქალი იყო, ინდონეზიაში კი, ვიცე-პრეზიდენტი. ავღანეთის შემდეგ ყველაზე რთული ვითარება არაბული ქვეყნებშია, სადაც ქალებს მოკრძალებული უფლებები აქვთ.

კულტურება და ცალკეული ეთნოსებს შორის დაპირისპირება შეიმჩნევა ჩინეთში, ფილიპი-ნებში, ინდონეზიის ნანაილში, ცენტრალურ აზიაში. ამ ქვეყნებში ისლამისტი ფუნდა-მენტალისტები იბრძვიან ადგილობრივი ხელისუ-ფლების წინააღმდეგ და ცალკე ისლამური სახელმწიფოების შექმნას მოითხოვდნენ. ისინი უპირისპირდებიან ევსტერნიზაციას და ამით ორთოდოქსული ისლამური ნორმების დაცვას ცდილობენ. საუკუნეების განმავლობაში აზიის მრავალფეროვნების მიუხედავად ფუნდამენტა-ლიზმის აღმასვლა აშკარაა.

1980-იან წლებიდან ისლამურ სამყაროში რელიგია პოლიტიკაში დაბრუნდა. ირანის ისლა-მურმა რევოლუციამ ისლამური ფუნდამენ-ტალიზმი გამაყარა ცხლა. შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა, რომლებიც საკუთარ თავს მუსლიმებს უწოდებდნენ, მთელ მსოფლიოში ალაპის სახელით ტერორისტული საქმიანობა

დაიწეს. თურქეთი, რომლის წინამორბედი ოსმალთა იმპერია ოთხი საუკუნის (1517-1922) განმავლობაში ისლამის ცენტრად იყო მიჩნეული, ფუნდამენტალისტური ისლამური ტენდენციებისაგან გარიყული არ აღმოჩნდა. თურქეთში ისლამური მოძრაობა ყოველთვის ზომიერი იყო და სახელმწიფოსთან „კარგ დამოკიდებულებაში“ იმყოფებოდა, თუმცა რადიკალური ისლამური ჯგუფები მაინც არსებობდნენ. თურქეთში დასავლეთზე ორიენტირებული ლიდერების მიერ ისლამური ფუნდამენტალიზმი კომუნისმის შემდეგ რიგით მეორე საფრთხედ გამოცხადდა. თალიბების გაძლიერების შემდეგ დასავლეთი ცილირებს უკეთ გაიგოს ისლამი და მის ზომიერ ვერსიას დაუჭიროს მხარი.

დასავლეთი თურქეთის, სეკულარულსა და დემოკრატიულ სახელმწიფოს, ისლამური სამყაროსათვის საუკეთესო მოდელია მიჩნევა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო 1999 წლის ნოემბერში თურქეთში ვიზიტის დროს, აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის თურქეთის პარლამენტში გაკეთებული განცხადება: „ოსმალთა იმპერიისა და ახალი თურქეთის აღმოცენების დროს მომხდარმა მოვლენებმა მთელი ამ საუკუნის ისტორია მოხაზა. ბულგარეთიდან ალბანეთამდე, ისრაელიდან არაბეთამდე ახალი ერები „დაიბადა“ და აღმოცენდა ძველი დაპირისპირება, რომელიც დაიწყო პირველი ბალკანური და მსოფლიო ომით და გაგრძელდა ამჟამინდელი კონფლიქტებით, ახლო აღმოსავლეთსა და ყოველი იუგოსლავიაში. თურქეთის წარსული მნიშვნელოვანია XX საუკუნის გასაგებად. მაგრამ, მე მჯერა რომ თურქეთის მომავალი XXI საუკუნეში გადაწყვეტი იქნება“. ექსპერტებმა კლინტონის გამოსვლა შეაფასეს, როგორც ისლამური სამყაროში თურქეთის განსაკუთრებული როლის აღიარება.

თურქეთი 50 წლის განმავლობაში სეკულარული და დემოკრატიული იყო, სამი სამხედრო გადატრიალების მიუხედავად, და აქვს უზარმაზარი ისლამური მემკვიდრეობა, როგორც ოსმალთა იმპერიის მემკვიდრეს. მსგავსი მოსაზრება აშინებთ არაბ დაბლობატებს, რომლებიც თურქეთის ისლამურ სამყაროში საბაზალიო ქვეყნად აღიარებას სერიოზულად უყურებენ. მათი მტკიცებით, თურქეთი „ძალიან“ სეკულარულია და ბოლო 50 წლის განმავლობაში ისლამურ სამყაროსთან ახლო ურთიერთობები არა აქვს განვითარებული. ყველფრის მიუხედავად დასავლეთის სამყარო, განსაკუთრებით აშშ, თურქეთის განიხილავს ქვეყნად, სადაც ზომიერი ისლამი და დასავლური ღირებულებები შეიძლება პარაზიტული თანაარსებობდნენ.

ისლამიზმი

ისლამიზმი გამოხატავს პოლიტიკურ ცნობიერებას, ვიდრე რელიგიურს და მზადყოფნას შეცვალო საზოგადოებრივი

ინსტიტუტების სეკულარული სტრუქტურები და მის მაგივრად შექმნა ისლამური სახელმწიფო მისი ყველაზე რადიკალური ფორმით. ისლამისტი არის არა მარტო ჩვეულებრივი მორწმუნე მუსლიმი, ვინც რელიგიურ წეს-ჩვეულებებს მისდევს, არამედ იგი წინააღმდეგია შეინდვდეს რწმენა, ლოცვის რიტუალები. ისლამისტებს პოლიტიკური და სოციალური სისტემის რევილუციური და ევოლუციური სტრატეგიის საშუალებით ისლამიზაცია სურთ. ისლამისტები უარყოფენ სახელმწიფოსა და რელიგიის განცალკევებას იმის საფუძველზე, რომ ისლამი არის ორივე, სახელმწიფოც და რელიგიაც. ისლამისტებს სურთ შეცვალონ არა ისლამური პოლიტიკური სისტემა ძირულად, რადგან ის არ არის ისლამური. ისლამისტებისათვის ისლამი ცხოვრების ყველა სფეროს უნდა ფარავდეს. მათი მიზანია, მუსლიმთა ლეგიტიმური პოლიტიკური სისტემა ისე მოაწყონ, როდესაც მათი ცხოვრების ყველა ასპექტის ისლამური სწავლებების, ყურანისა და სუნნების შესაბამისობაში მოხდეს შესაძლებლობა იქნება.

ისლამური მემკვიდრის განვითარება

სეკულარული რეფორმების დასაწყისი ოსმალთა იმპერიის ელიტა იმპერიის დასუსტებასთან ერთად აცნობიერებდა, რომ იმპერიის მოდერნიზაცია აუცილებელი იყო. ეს აუცილებლობა, საბოლოოდ მხოლოდ XIX-ე საუკუნის მეორე ნახევარში აღიარეს, რასაც მაშინ დაწყებული „თანზიმათის“ რეფორმების დაწყებაც დასტურებს. იმპერიის რეფორმაციას იყო თავისებურება ჰქონდა: პირველი, რეფორმების ხასიათი და მიმართულება დასავლეთის ძლიერი სახელმწიფოების მხრიდან იყო თავსმომხვეული, რაც ნახევრადოკონონურ პრინციპებს ეფუძნებოდა. მეორე, არ იყო გათვალისწინებული მოდერნიზაციის უცილობელი პირობა - სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის თანაარსებობის რელიგიური საფუძველის საერთო შეცვლა.

რელიგიური საფუძველი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებას სამართლის სფეროში კვლავ განსაზღვრავდა. იმპერიის დაშლის შემდეგ, ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობის და შემდეგ ქემალისტური რეფორმების დროს თურქებმა მოიპოვეს, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობა, ისე საერო სახელმწიფო. საერო სახელმწიფოს შექმნა ქემალისტური რეფორმების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო.

თურქული რესპუბლიკის განვითარების სანჯისი ეტაპის პოლიტიკისა და იდეოლოგიის ძირითადი პრინციპები - ნაციონალიზმი, ექსტერნიზაცია და ეტატიზმი, ზია გოკალის ნაშრომში ჩამოყალიბდა. მისი განსაკუთრებული დამსა-

ხურება სეკულარიზმის თურქული ვერსიის განვითარებაა, რომლითაც ქემალისტური რეფორმები იყო განმსჭვალული. მისი იდეები ნაკლებად თუ მოკრებნობათ დღევანდელ ისლამისტებს. იგი დარწმუნებული იყო, რომ ისლამური საზოგადოება დასავლური ცივილიზაციის ჩარჩოში უნდა განვითარებულიყო, საკუთარი რელიგიისა და ეროვნული კულტურის შენარჩუნებით.

ზია გოკალმა ცივილიზაციის ფორმირებაში რელიგიის დიდ როლს აღიარებდა, თუმცა იგი ფიქრობდა, რომ თურქები თეოკრატიული ახლო აღმოსავლური ცივილიზაციის, რომელმაც მათ რელიგია და სოციალური სისტემა მისცა, მარწმუნებიდან უნდა განათავსებულიყვნენ. ორივე ეს ინსტიტუტი ევროპულ ცივილიზაციასთან დაპირისპირებაში აღმოჩნდა. ზია გოკალმა მიიჩნევდა, რომ ერმა გადაარჩინა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის სეკულარული დასავლური ცივილიზაცია უნდა მიეღოს. ახლო აღმოსავლური ცივილიზაცია არ იყო სეკულარული და ამიტომ მისი თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებისათვის მისადაგება შეუძლებელია, ამბობდა გოკალმა.

ზია გოკალმა ოსმალთა სახელმწიფოს ისტორიაში და თურქულ კულტურაში ისლამს დიდ როლს ანიჭებდა, მაგრამ პრიორიტეტულად არა იმპერიის მთლიანად მუსლიმი მოსახლეობის, არამედ კონკრეტულად თურქების ეროვნულ ინტერესებსა და ეროვნულ იდეალებს მიიჩნევდა. იგი სახელმწიფო და ზოგერთი სოციალური ინსტიტუტის სეკულარიზაციის მოთხოვდა. მისი თქმით, ისლამი გაცილებით უფრო ერგება თანამედროვე სახელმწიფოს, ვიდრე კათოლიციზმი ან მართლმადიდებლობა.

ზია გოკალის იდეებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქემალისტური რეფორმების მსვლელობაზე, რომელმაც თურქეთში სეკულარული რეჟიმის არსებობას დაუდო საფუძველი. ქემალისტები საკუთარ თავს დასავლური იდეების მიმდევრებად მიიჩნევდნენ. თუმცა, პრაგმატიზმიდან გამომდინარე ამ იდეებს ქვეყნის შიდა პირობები უთავსებდნენ.

უცხო ძალებისგან ახალგანათავსებულ ქვეყანაში, ნაკლებად კონსოლიდირებული ხელი-სუფლების პირობებში მუსტაფა ქემალმა, თავის მომხრეებთან ერთად ისლამური ქვეყნებისათვის უპრეცედენტო სეკულარული რეფორმები დაიწყო. ქემალისტური რეფორმაციის პირველსავე წლებში დამყარდა რესპუბლიკური წყობა, მეჩეთი გამოეყო სახელმწიფოს, მიიღეს საერო სამოქალაქო კოდექსი და ა.შ. რეფორმებმა დაადასტურეს, რომ ქემალისტები ისლამს, როგორც რელიგიურ ინსტიტუტს, იმპერიულ ხალიფატსა და სულთნის რეჟიმს უკავშირდებოდნენ, რამაც თურქეთი დაშლამდე და ტერიტორიულ დაყოფამდე მიიყვანა.

1924 წლის 29 თებერვალს, სტამბოლის მეჩეთში, ხალიფას ბოლო პარასკევის ლოცვის

ტრადიციული ცერემონია შედგა. ერთი დღის შემდეგ კი, 1 მარტს, თურქეთის დიდი ეროვნული კრების სხდომის გახსნის დროს, მუსტაფა ქემალმა საუკუნეების განმავლობაში ისლამის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების წინააღმდეგ მოხსენება გააკეთა და რელიგიის თავის ქეშმარიტ დანიშნულებისამებრ სარგებლობა შეითხოვა. უკვე 3 მარტს, დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი: ხალიფატის ლიკვიდაციაზე, შარიათის სამართალწარმოების გაუქმებაზე, ვაკუუმების ქონების ვაკუუმების გენერალური სამართლებრივი თავის გადაცემაზე, ვაკუუმების შემოსავლები უკვე არა თარიქათებისა და რელიგიური გაერთიანებების, არამედ სახელმწიფოს ხაზინაში მიდიოდა. შეიქმნა რელიგიური საქმეების სახელმწიფო სამართლებრივი. ეს ორგანო სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკას დღევაც ასრულებს.

საზოგადოების დესლამიზაციის სანჯის ეტაპზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ქვეყნის მოსახლეობის ევროპულ ჩაცმულობაზე იძულებითი „გადაწყვეტა“. მუსტაფა ქემალმა ქვეყნის რეგიონებში ვიზიტისას ევროპულად იყო ჩაცმული და ამით სხვებს მაგალითს აძლევდა. იმ პერიოდში ქალაქებში ევროპულად ჩაცმა ნიშნავდა იმას, რომ მოსახლეობა სეკულარიზაციას მხარს უჭერდა.

რელიგიური ვიზიტებიდან დაბრუნების შემდეგ მუსტაფა ქემალმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. 1925 წლის ნოემბერში მიიღო რამდენიმე კანონი: ფაჯახებისა და ოსმალთა იმპერიისათვის დამახასიათებელი ქვეყნის ტარების აკრძალვა; ევროპულ ტანსაცმელზე გადასვლა; დერვიშების თავგანთავისა და თავყანის ცემის ადგილების გაუქმება. მსგავსი ადგილები მთელი ქვეყნის მასშტაბით უამრავი იყო და მათი რელიგიური საქმეების სამმართველოს მიერ გაკონტროლებად რთული იყო.

დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, თურქეთში სეკულარიზმი დროის უმოკლეს მონაკვეთში შევიდა. ეს უპირველეს ყოვლისა მცირერიცხოვანი კლიტის, რომელიც სახელმწიფო ბიუროკრატისა და ახალგაზრდა ოფიცრებისგან შედგებოდა, პირდაპირ და გადაწყვეტილი ღონისძიებების დამსახურება იყო. სეკულარიზმი ათათურქიზმის ყველაზე ღირს შესანიშნავ შემტად მიიჩნევა, რადგან ათი საუკუნის განმავლობაში ისლამი თურქეთში საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრელი იდეოლოგიური ფაქტორი იყო.

1926 წელს მიიღეს ორი უმნიშვნელოვანესი კანონი, რომელიც თურქეთის საერო განვითარებას ამტკიცებდა და იცავდა. ახალი სამოქალაქო კოდექსი გადაიწერეს შვეიცარიის კოდექსის ტექსტიდან, რომელიც მაშინ ევროპაში ყველაზე მოწინავედ ითვლებოდა. რელიგიის პოლიტიკური ან პირადი მიზნებისათვის გამოყენება კანონით ისჯებოდა. სახელმწიფო მოხელისათვის კი სასჯელი იზრდებოდა. კონსტიტუციაში სამართალში

შეიტანეს ცვლილებები, რომელიც კანონმდებლობაში საერო პრინციპების განმტკიცებას ემსახურებოდა. 1928 წელს კონსტიტუციიდან ამოიღეს მნიშვნელოვანი დებულება - ისლამი თურქეთის სახელმწიფო რელიგიაა. 1937 წლიდან კი, ამ პრინციპის შეცვლა არ შეიძლებოდა. ამ ხნადან მოყოლებული დღემდე, ამ პრინციპის ინტეგრირებული თურქეთში საერო მმართველობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბრძოლა მიმდინარეობს.

ისლამისტების მიმართ ხელისუფლების მკაცრმა პოლიტიკამ გამოიწვია ოფიციალური „სახელმწიფო“ ისლამის შექმნა, რომლის „მეჩეთის გარეშე“ მოქმედებდა მკვეთრად შეიზღუდა. ეს რელიგიური კადრების მომზადების სისტემაშიც გამოვლინდა. 1924 წლიდან 1932 წლამდე იმამ-ჰაითების სკოლა ორამდე შევიწროდა, სადაც ათი ადამიანი სწავლობდა. სახალხო ისლამი შეიხებითა და ორდენებით, საყოფაცხოვრებო დონეზე დარჩა და იატაკქვეშეთში გადავიდა. სასჯულის შიშით, მათი საქმიანობა უმნიშვნელო იყო, მათ შეიარაღებულ გამოსვლებს კი ხელისუფლება ახშობდა.

ომის წინა წლებში ბევრი რელიგიური ორდენი იძულებული იყო თურქეთი დაეტოვებინა. სხვადასხვა მიმდინარეობის ლიდერები ალბანეთში, სირიაში, ცენტრალურ აზიაში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში და სხვა ადგილებში გაიქცნენ.

სეკულარიზაცია თავდაპირველად თურქული საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილმა გაიზარა. სოფლის მოსახლეობას კი ტრანსფორმაციისათვის ხანგრძლივი შერიოდი დაჭირდა. ქემალიზტურმა ელიტამ საზოგადოებას ახალი „რელიგია“ - ნაციონალიზმი (თურქულში) შესთავაზა, რომელსაც მმართველი სახალხო-რესპუბლიკური პარტია სხვადასხვა ორგანოების: ადგილობრივი პარტორგანიზაციები, სახალხო სახელბუდე და სხვა იდეოლოგიური ინსტიტუტები, სასწავლო დაწესებულებები, სახელმწიფო საწარმოები, სოციალური სამსახურები და რაც უმთავრესია არმია - დახმარებით საზოგადოებაში იეროგავდა. ეს დაწესებულებები არა მარტო იდეოლოგიური, არამედ სეკულარული მსოფლმხედველობის ფორმირებისთვის საკმარისად ეფექტური სოციალური სფერო იყო. სახელმწიფოს სოციალური და ფინანსური შესაძლებლობები დიდ ხნის განმავლობაში ისლამისტების, რომლებსაც ვაკუუმებისგან შემოსავალი აღარ ჰქონდათ, შესაძლებლობებს ბევრად აღემატებოდა.

ისლამური მოძრაობა 1923 წელს სეკულარული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ გამოჩნდა. საწყის ფაზაზე, ისლამური მოძრაობა იატაკქვეშეთში მოღვაწეობდა. თარიქათების (რელიგიური ორდენები) შეიხებსა და კულტის მსახურებს სეკულარული რეფორმების შედეგად დაკარგული ჰქონდათ ძველი სტატუსი და ეკონომიკური

ძლიერება. ისლამურმა მოძრაობამ თავისი გამოხატულება 1920-იან და 1930-იან წლებში ანტისეკულარულ აჯანყებებში გამოავლინა, თუმცა მათ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მომხრება ვერ შეძლეს. ისლამისტთა გამოსვლები უშიშროების ძალებმა ჩააყრეს.

ამის პასუხად ისლამისტურმა ჯგუფებმა იატაკქვეშეთში გადაინაცვლეს და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ერთპიროვნული მმართველობის წლებში (1923-1946) ნახევრად საიდუმლო საქმიანობაზე გადავიდნენ.

რელიგიური მოძრაობის გამოცოცხლება
მუსტაფა ქემალის მიერ ჩატარებული რეფორმების შემდეგ 40-იანი წლების ბოლოს რელიგიური მოტენციის გამოვლინება დაიწყო, რაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორში გადაიზარდა. თვით ათათურქის სახალხო-რესპუბლიკური პარტია კი, იძულებული გახდა რელიგიისა და სეკულარიზმის კონფლიქტში განეხილებინა და უფრო რბილი პოლიტიკა გაეტარებინა. 1946 წელს მეჯლისში რელიგიური განათლების გაფართოებაზე იმსჯელეს. ერთ-ერთი დემუტატის განცხადებით, მსგავსი ნაბიჯი კომუნისტური საფრთხისადმი მორალური წინააღმდეგობის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლური „მასობრივი“ კულტურის მზარდი ზეგავლანა უკვე ნეგატიური კუთხითაც ფასდებოდა.

1947 წელს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის სხდომაზე მიღებული ზოგადი რეზოლუცია დაწვეტილება სეკულარიზმისა და ენატიზმის ლიბერალიზაციას გულისხმობდა. ამავე წელს, სახელმწიფომ, პირველად, შაჟის შესრულებისთვის ფული გამოჰყო. სკოლებში რელიგიის გაკვეთილები შემოიღეს, ანკარას უნივერსიტეტში კი, ღვთისმეტყველების ფაკულტეტი გახსნეს. 1949 წელს განათლების სამინისტრომ იმამ-ჰაითებისათვის კურსები გახსნა. ასევე მიიღეს კანონი, რომელიც მოიცავდა უფლებას აძლევდა „სახელმწიფო თურქების ის სამარხები ენახათ, რომლებიც ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენდა“.

აკრძალვები სულ უფრო „პოლიტიკური ისლამის“ მიმართ გამოიყენებოდა. ეს ტერმინი შირიად დისკუსიის საგანი სდებოდა. იგი კარგად იყო ფორმულირებული სისხლის სამართლის კოდექსში, რაც წლების განმავლობაში რედაქტირებას განიცდიდა.

1946 წელს მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლის პერიოდში, ისლამურმა ჯგუფებმა მემარჯვენე-ცენტრისტულ მმართველ დემოკრატიულ პარტიასთან ფართო ალიანსი შეკრეს. დემოკრატიული პარტიის 1950 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ სეკულარული ღონისძიებები შემსუბუქდა. დემოკრატიული პარტიის მმართველობის წლებში (1950-1960) რელიგია

სასწავლო პროგრამის განუყოფელი ნაწილი გახდა. მისგან განსათავისუფლებლად მოწინავეს წერილობითი განცხადება უნდა წარედგინა. სხვადასხვა ქალაქებში გაიხსნა იმამ-ჰაითების სკოლები. საშუალო სკოლის პროგრამებში, პირველად, რელიგიის გაკვეთილები დაინიშნა. მიიღეს უმაღლესი ისლამური ინსტიტუტების გახსნის გადაწყვეტილება.

პოლიტიკური ისლამი 1960-იან წლებში
1961 წლის კონსტიტუციამ რელიგიის თავისუფლების პირობები დაწვრილებით განასაზღვრა: ლოცვის შესრულების, განათლების, რელიგიური მრწამსის განცხადების ან განუცხადებლობის უფლება. თუმცა, კონსტიტუციის მე-19 მუხლით რელიგიური მრწამსის პოლიტიკური და პირადი მიზნებისათვის გამოყენება აკრძალა. მუსულმანი დამრღვევი პოლიტიკური პარტიები იკრძალებოდა. 1961 წლის კონსტიტუციაში არსებული შედარებით მსუბუქი ნორმების პირობებში ისლამისტურმა ჯგუფებმა ლეგალური საქმიანობა და მემარჯვენე-ცენტრისტულ პარტიებთან ალიანსების შეკვრა დაიწყეს.

პოლიტიკური ბრძოლაში პირისლამური ძალების აქტიური მონაწილეობის ტრადიციული მაგალითი 1969 წლის 16 თებერვალს დატრიალებული „სისხლიანი კვირა“ იყო, როდესაც სტამბოლში, თაქსიმის მოედანზე, ნაციონალისტური და პროისლამური ჯგუფები მემარცხენე ორიენტაციის ახალგაზრდათა ჯგუფს ერთობლივად დაესხნენ. ისინი თურქეთში აშშ-ის ექვემდებარების ვიზიტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. შეტაკებას მოჰყვა მსხვერპლიც. 60-იანი წლებისათვის „იატაკქვეშეთში“ აგრესიულ ღონისძიებებს „ანარმოვება რამდენიმე რელიგიური ორდენი: ნაქშიბენდი, თიჯანი, ბიბერი, ქადირი.“

რელიგიური ჯგუფების გააქტიურება უმუშევრობის ზრდისა და ქალაქკარეთ მიწურების გამარავლების ადეკვატური ასახვა იყო. რელიგიური მოტენციის განახლებაზე დიდი გავლენა მოახდინა საგარეო ფაქტორებმაც, უპირველეს ყოვლითა, ეს მსოფლიოში ისლამური მოძრაობის ყურთი აღმასვლას უკავშირდებოდა.

პოლიტიკური ისლამი 1970-იან წლებში
უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში და განსაკუთრებით 70-იანი წლების შუახანებში რელიგიისა და ხელისუფლების შორის ურთიერთობის ძირითადი მახასიათებელი რადიკალური პოლიტიკური ისლამთან კონფლიქტი იყო, რაც პარტიათა შორის ბრძოლის მთავარი ელემენტი გახდა. ათათურქის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფოსა და ისლამ შორის ურთიერთქმედება რთულდებოდა. სახელმწიფო ფორმალურად სეკულარული პრინციპების დაცვისას მკაცრ ნორმებს ატარებდა, თუმცა უკვე აღარ შეეძლო ან არ თვლიდა საჭიროდ რელიგიური ცხოვრების ყველა სფეროში ჩარეულობა.

შედეგად, რელიგიამ თავისი გავლენის სფერო გააფართოვა და პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ინტეგრირების მეტი საშუალება მიიღო. რელიგიამ შეადგინა ხელისუფლების, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ორგანოებში - პარლამენტი, აღმასრულებელი ორგანოები, მთავრობა.

ისლამისტების პოლიტიკა, რელიგიურ საქმეებში სახელმწიფოს როლი შეეზღუდა და ხელისუფლებაში და საზოგადოებაში საკუთარი გავლენა გაეზარდათ, ყველაზე მეტად ორ მიმართულებაში გამოვლინდა. პირველი, არსებობის უფლება მიიღო ლეგალურმა პოლიტიკურმა მოძრაობებმა, რამაც საკმაოდ აქტიური ისლამური პარტიების წარმოქმნა გამოიწვია. მეორე, აღორძინდა და წარმოუდგენლად გაფართოვდა რელიგიურ-კულტურული საზოგადოებების საქმიანობა, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყნის საზღვრებს გადალახა.

თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში პირველი პროისლამური ეროვნული წესრიგის პარტია ლეგალურად 1970 წელს შეიქმნა. მისი მემკვიდრეა ამჟამინდელი პროისლამური ღირსების პარტია, რომლის წინააღმდეგაც სახალხო-მართლო დახურვის საქმეს განიხილავს. ისლამური რელიგია პოლიტიკური პარტიის იდეური საფუძველი გახდა. მისი დამარსებელი და უცვლელი ლიდერი, სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ნეჯმეთინ ერბაქანი იყო.

1970 წლამდე, ერბაქანის მიერ ეროვნული წესრიგის პარტიის დაარსებამდე, ისლამისტები ან მემარჯვენე-ცენტრისტული პარტიის კონსერვატიულ ფრაქციას წარმოადგენდნენ, ან იატაკქვეშეთში მოღვაწეობდნენ. ეროვნული წესრიგის პარტიის დაარსებით, ისლამისტებმა პირველი ავტონომიური პარტიული ორგანიზაცია შექმნეს, რაც საკუთარი შეხედულებების გამოხატვისა და საკუთარი პროგრამის განხორციელების მეტ საშუალებას იძლეოდა.

პარტიის პროგრამის პრეამბულაში პარტიის ძირითად მიზნად, „მაღალგანვითარებული ცივილიზაციის შექმნა, რომელიც მთელი მსოფლიოსათვის მაგალითი ენებოდა, როგორც ეს თურქი ერის დიდებულ წარსულში იყო“, ცხადდებოდა. ამ მიზნის მიღწევისათვის პარტია აპირებდა უმაღლესი მორალის აღიარებას, სამართლიანობისაკენ სწრაფვას. პარტიის პროგრამაში არაფერი იყო ნახსენები იმაზე, რომ პარტია სეკულარიზმს უარყოფდა. თუმცა პროგრამის ერთი თავი სეკულარიზმის ღია კრიტიკას შეიცავდა. ჩამოთვლილი იყო ის ღონისძიებებიც, რომელიც აუცილებელი იყო ტექნიკური პროგრესის, თანამედროვე მეცნიერების განსავითარებლად და ა.შ.

პროგრამაში არაფერი იყო ნათქვამი თურქეთის დასავლეთ ევროპასთან დამოკიდებულებაზე და „საერთო ბაზარში“ შესვლის პერსპექტივაზე. თუმცა, მსგავს „ხარვეზს“ თავად

ერბაქანი საკუთარი გამონათქვამებით ავსებდა. იგი „საერთო ბაზარს“ სოციალისტური წრეების შექმნილად მოიხსენიებდა. ერბაქანის განცხადებით, ამორგანიზაციაში შესვლით დასავლეთი თურქეთის კოლონიზაციას მოახდენდა. იგი ისლამურ სამყაროს „ისლამური საერთო ბაზრის“ შექმნისკენ და ისლამურ ქვეყნებს შორის ისტორიული და კულტურული კავშირების აღდგენისაკენ მოუწოდებდა. ეროვნული წესრიგის პარტია ფართოდ წარმოადგენდა ანატოლიის ქალაქებს, სადაც რელიგიურად კონსერვატიული სუნიტები და წვრილი ვაჭრები ცხოვრობდნენ. მოსახლეობის ამნაწილს ქვეყნის მოდერნიზაციის გეგმა ნაკლებად შეეხო. თუმცა რაც განხორციელდა, ანატოლიელი მოსახლეობის ცხოვრების ანტიმწელოვნად შესაცვლელად საკმარისი არ იყო. ანატოლიის მოსახლეობა მოდერნიზაციას რელიგიისა და ტრადიციის სახელით უპირისპირდებოდა. პერიფერიების გარდა, ეროვნული წინაგების პარტია წარმოადგენდა რელიგიურად კონსერვატიულ ადამიანებს, რომლებიც აკრძალული რელიგიური ორდენების არაფორმალური წევრები იყვნენ. მსგავს ორდენებს დიდი „ისლამური ქსელი“ ჰქონდათ და ზენოლის შესაძლებლობაც გააჩნდათ.

ეროვნული წინაგების პარტია 1971 წლის მარტში სამხედროების მიერ გამოქვეყნებული მემორანდუმის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ დახურა. პარტია 1971 წლის 20 მაისს პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის არმდენიმე მუხლის დარღვევის საფუძველზე შეკრძა. ასე დაიწყო პარტიისა და მისი ლიდერის ხანგრძლივი ოდისეა, რომელიც დღესაც გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ერბაქანმა არაერთხელ განიცადა დევნა. თუმცა, ამავე დროს, ერბაქანი კოალიციურ მთავრობებშიც მონაწილეობდა. 70-იან წლებში მას ვიცე-პრემიერის პოსტი, მის თანაგვიტელებს კი მინისტრის პორტფელები ეკავათ.

როდესაც ერბაქანის პარტია არჩევნებზე ნარეჟიტულად გამოდიოდა, მისი ელექტორატის ხმების ნაწილი ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური მოქმედების პარტიასთან, რომელსაც ალფასლან თურქეში ხელმძღვანელობდა, მიდიოდა.

ეროვნული წინაგების პარტიას ძალიან მოკლე პერიოდში, 1972 წლის ოქტომბერში ეროვნული ხსნის პარტიის სახით მექვიდრე გამოუჩნდა. პარტია მხარს უჭერდა პროვინციული ვაჭრები, პატარა მალაზიების მემარცხენეები და უდიდესი ფარულად მოღვაწე რელიგიური ჯგუფები. ერბაქანის მეთაურობით შექმნილმა ახალმა პარტიამ 1973 წლის არჩევნებში მოულოდნელ გამარჯვებას მიაღწია. პარტიამ ხმების 11.8% მიიღო.

1973 წლის შემდეგ ეროვნული ხსნის პარტია რამდენიმე კოალიციურ მთავრობაში მონაწილეობდა. პირველი კოალიციური მთავრობა

პარტიამ ბულენთ ევჯევიტის სახალხო-რესპუბლიკურ პარტიასთან 1973 წელს შექმნა. მთავრობაში ყოფნის პერიოდში პარტიის წევრებმა ბიუროკრატიულ აპარატში მალალი პოსტები და სამინისტროები დაიკავეს. პარტიამ მიაღწია კანონპროექტის მიღებას, რომელიც თოლოგიურ უმაღლეს სკოლებს საშუალო სკოლების ეკვივალენტურ პოზიციაში აყენებდა და პრიონისამისტ სტუდენტებს უნივერსიტეტებში თოლოგიის სფეროში კარიერის გაგრძელების საშუალებას აძლევდა. ეს სტუდენტები 1980-90-იან წლებში ძლიერი პოლიტიკური დასაყრდენით ისლამისტები გახდნენ.

1974 წლის ივლისში კვიროსში თურქეთის ჯარების გადასხმის შემდეგ კოალიციური მთავრობა დაიშალა. 1975 წლის 31 მარტს ეროვნული ხსნის პარტია პირველ „ეროვნული ფრონტის“ მთავრობაში (1975, 1977) შევიდა, რომელსაც მემარჯვენე-ცენტრისტული სამართლიანობის პარტიის ლიდერი სულიემან დემირელი მეთაურობდა. 1977 წლის არჩევნებში ეროვნული ხსნის პარტიამ ხმების მხოლოდ 8.6% მოიპოვა. თუმცა, დემირელის მიერ შექმნილ მეორე „ეროვნული ფრონტის“ კოალიციურ მთავრობაში ადგილები მაინც მიიღო. 1978 წლის დასაწყისში ევჯევიტმა კოალიციური მთავრობა შექმნა. მის პრემიერობისას გაიზარდა უტყუარების რიცხვი მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის, ისევე როგორც სუნიტებსა და ალავეიკებს შორის. 1979 წლის არჩევნებში ევჯევიტმა უმრავლესობა დაკარგა და მთავრობა კვლავ დემირელმა ჩაიბარა, როლის უმცირესობის მთავრობასაც ეროვნული მოქმედების პარტიასთან ერთად, ისლამისტური ეროვნული მოქმედების პარტია უჭერდა მხარს.

პოლიტიკური ისლამი 1980-იან წლებში

1970-იან წლებში მთავრობები ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას ვერ ახერხებდნენ. მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის დაპირისპირებამ ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარამდე მიიყვანა. შემდეგად გენშტაბის უფროსმა, გენერალმა ქენან ევრენმა სახელმწიფო გადატრიალება მოახწო. შეიცვალა პოლიტიკური სისტემა და 1982 წელს სამხედროების უშუალო მონაწილეობით ახალი კონსტიტუცია მიიღეს. ნამყვანი პარტიები, ისლამური ეროვნული ხსნის პარტიის ჩათვლით, ხანგრძლივი სასამართლო პროცესების შედეგად აიკრძალა. პარტიის ლიდერების წინააღმდეგ კი სასამართლო პროცესები დაიწყო. დაპატიმრებულებს შორის იყო ერბაქანიც, რომელიც ათათურქისა და მისი რევორმებისადმი ურყეოფი და მოკიდებულებას არ ფარავდა. ერბაქანის რვათვიანმა პატიმრობამ მისი ანტიეკულარული შეხედულებები და სამხედრო ლიდერების წინააღმდეგ სიუბუღივი გააძლიერა.

1983 წლის 19 ივლისს, პოლიტიკას ჩამოშორებული ერბაქანის მაგივრად, ახლად

ჩამოყალიბებულ კეთილდღეობის პარტიას სათავეში ალი თურქმენი ჩაუდგა. თურგუთ ოზალის მიერ ჩატარებული რეფერენდუმის პოზიტიური შედეგების წყალობით, 1987 წელს ერბაქანი პოლიტიკურ სცენას დაუბრუნდა და „კეთილდღეობის პარტიის“ სესიაზე იგი პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ აირჩიეს. აქედან მოყოლებული, იგი თურქეთში ლეგალური ისლამური მოძრაობის უპირობო ლიდერია.

თარქეთებისა და სახალხო ისლამის აღორძინებას რაც შეეხება, ისლამისტური პარტიის ლიდერებისგან განსხვავებით, ისინი 80-იან წლებში საჯარო მოღვაწეობას ერიდებოდნენ, ეპრონათარხელისუფლებისაგან დევნილი. თუკი ვინმე რელიგიური ორდენის ლიდერი იქნებოდა გამოჩნდებოდა, ყველაზე მეტად ფეთქულა გიულენის სახელი შეგვხვდებოდა, რომლის წინააღმდეგაც დღეს სექულარისტები აქტიურად იბრძვიან. გიულენის ვარსკვლავის ამოსვლას თურგუთ ოზალის სახელს უკავშირებენ. გიულენმა ოზალის მფარველობითა და მხარდაჭერით თავისი საგანმანათლებლო და ეკონომიკური საქმიანობა გააფართოვა. გიულენს ნურჯიზმის აქტიურად მქადაგებლად მიიჩნევენ. გიულენის ორგანიზაციის ლოზუნგი შორსაა რადიკალიზმისგან: „სამშობლო, ერი, გამარჯვება“. იგი მუდმივად მემარჯვენე პარტიების ძლიერ მხარდაჭერას ფლობს.

გავრცელებული მოსაზრებით, გიულენის რელიგიურ ორდენს მხარს უჭერდა ყოფილი პრეზიდენტი სულიემან დემირელი. აღსანიშნავია, რომ ერბაქანს მისი პოლიტიკური კარიერის დასაწყისში მხარი სწორედ დემირელმა დაუჭირა. გიულენს ზომიერი ისლამის მიმდევრად მიიჩნევენ. არის მოსაზრება, რომ აშშ თურქეთში ზომიერი ისლამის თეორიის ექსპორტს ცდილობს. მათი აზრით, თურქეთში დასრულდა ჰემალისზმის პერიოდი, ახლო აღმოსავლეთში ზომიერი ისლამი უნდა გაბატონდეს. ზომიერი ისლამის მიმდევრები ოზალს მხარს უჭერდნენ სპარსეთის ყურეში ვრავის წინააღმდეგ ამერიკული სამხედრო ოპერაციის დროს. ამ მხარდაჭერებს შორის იყო გიულენის ჯგუფიც.

70-80-იან წლებში თურქეთში რელიგიურ სფეროში გამოჩნდა ნიშნები, რომლებიც შეიძლება რელიგიური რენესანსად მივიჩნიოთ. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ისლამის ახალი იდეოლოგიების გამოჩენა, რომლებიც ახალი ისლამური ეკონომიკური სკოლის მიმდევრები იყვნენ. ახალი სკოლის მიმდევრები ვესტერნიზაციას უარყოფდნენ და თურქულს მის პროდუქტად მიიჩნევენ. ისინი ისლამური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აპოლოგეტებსად გვევლინებოდნენ. ისინი აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმს და წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების დაწესებას მოითხოვდნენ.

80-იან წლებში თურქეთის სოციალურ-

ეკონომიკური სტრუქტურების, მათ შორის სულიერი სფეროს, დასავლური სტრუქტურების მხრიდან „გადაყლაპვის“ პერსპექტივა თურქ ისლამისტებს ყველაზე მეტად აღელვებდათ. ისლამისტ-თორეტიკოსები არ იზიარებენ მოსაზრებას, რომ თურქული საზოგადოება მხოლოდ დასავლეთისადმი მიბაძვისათვის არის განზრდილი. ამ დროის ძალიან მოპოვებული გახდა ეკონომიკის განვითარების ისლამურ პრინციპებზე დაფუძნება, რასაც თურქეთისათვის სიმდიდრის სამართლიანი განაწილება და საყოველთაო კეთილდღეობა უნდა მოეხდინა.

1987 წლის პარლამენტის არჩევნებში „კეთილდღეობის პარტიამ“ ხმების 7.2% მიიღო, 1989 წლის ადგილობრივ არჩევნებში კი 9.8%. ამ არჩევნებში პარტია უკვე დიდ ქალაქებშიც დაიწყო მხარდაჭერათა მოპოვება. 1991 წლის პარლამენტის არჩევნებში პარტიამ საარჩევნო ალიანსი შეკრა თურქეთის ულტრამემარჯვენე პარტიასთან და ერთად ხმების 16.7% მიიღო. 80-90-იან წლებში პარტიის ამომრჩეველთა რიცხვი შესამჩნევად მატულობდა. სწორედ ამ პერიოდში იზრდებოდა პარტიის ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებიც პერიფერიებიდან ურბანულ ცენტრებში გადასვლას იწყებენ.

ისლამური მოძრაობა გაიზარდა 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ, როდესაც მთავრობა ისლამურ განათლების ექსპერმენტული იდეოლოგიის წინააღმდეგ პანცევად მიიჩნევა. მოძრაობა ასევე იზრდებოდა, როდესაც პერიფერიიდან დიდ ქალაქებში გადადიოდნენ და განათლების მიღების საშუალებას იღებდნენ. ასოციაციებისა და სხვადასხვა ფონდების დაარსების გზით, ისლამური ჯგუფები ახლად შექმნილი ურბანული ჯგუფების მოთხოვნილებებს პასუხობდნენ. ამ ფენაში უკვე შედიოდა უნივერსიტეტის სტუდენტები, კვალიფიციური მუშები, მალაზიის მფლობელები, ვაჭრები, არაკვალიფიციური მუშები და სხვ. ისლამური ჯგუფები ხელშეუხებლად საკვებისა და სტიპენდიების ემზარებოდნენ. მცირე ბიზნესის წამოწყების მსურველთა კრედიტებსაც აძლევდნენ. ფინანსური დახმარება ახლად ჩამოყალიბებული ისლამური ბიზნეს-ელიტისგან მოდიოდა.

პრემიერ-მინისტრ თურგუთ ოზალის მიერ გატარებულმა ეკონომიკური ლიბერალიზაციის პოლიტიკამ ცენტრალური ანატოლიიდან წამოსული ახალი საქმიანი ელიტა შექმნა. მათი წევრების უმრავლესობა პროვინციული ქალაქებიდან იყვნენ. მათი მშობლები ძირითადად წვრილი ვაჭრები, პატარა მალაზიების მფლობელები და ფერმერები იყვნენ. პროვინციული ახალგაზრდობა ქალაქებისკენ დაიძრა, სადაც განათლება მიიღეს და მუშაობა თანამედროვე ეკონომიკურ სექტორში დაიწყეს. ისინი ურბანული საშუალო კლასის წევრები გახდნენ. ამასთან არ ცდილობდნენ დასავლეთთან დაახლოებას, მხოლოდ მათი ტექნიკური სიზღვიების გადმოღებას ესწრა-

ფეოდალურ მათეზის დასავლეთში ძირითადად აშშ იგულვისმებოდა, სადაც მათი ნაწილი კვალ-ფიკაციის ასამაღლებლად მიეგზავრებოდა. მათ, ძველი ელიტისაგან განსხვავებით, აკლდათ ანარტიკორატიული წარმომადგენლობა და ხალხის საერთო კეთილდღეობაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. მთავარი საზრუნავი სიმდიდრის დაგროვება და მათ მიერ შექმნილი ახალი წესრიგის დაცვა იყო.

ახალმა ბიზნეს-ელიტის ნაწილმა პროვინციული ქალაქები არჩია, ზოგმა კი მეტი შესაძლებლობების არსებობის გამო სტამბოლს მიაშურა. რადგან ისინი ანატოლიური ქალაქებიდან იყვნენ, ანატოლიური პროვინციული თვითმეცნიერებისა და ანატოლიური ღირებულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებას ცდილობდნენ. ამის გამო, მათ მიიღეს „ანატოლიური ლომების“ შედგენილობა. მსგავსი ქმედებით ისინი საკუთარი თავის უფრო ურბანიზებული და ვესტერნიზებული ბიზნეს-ელიტისაგან განცალკევებას ცდილობდნენ. ვესტერნიზებულ ბიზნესმენებს წარმოადგენს 1971 წელს შექმნილი თურქი ბიზნესმენებისა და პროვინციული ასოციაცია TUSIAD, რომლის წევრები თურქეთის 300 უდიდესი კორპორაციის აღმასრულებელი პირები არიან. „ანატოლიელმა ლომებმა“ თავისი პროვინციული MUSIAD განავითარეს და ახლა ვესტერნიზებულ ბიზნეს-ელიტას დაუპირისპირდნენ.

MUSIAD დამოუკიდებელი მრეწველებისა და ბიზნესმენების ასოციაცია რამდენიმე ახალგაზრდა ისლამისტმა ბიზნესმენმა 1990 წლის 5 მაისს სტამბოლში დაარსა. MUSIAD-ის დამფუძნებლები თურქეთში არსებული „კაპიტალისტური სისტემის“ ალტერნატიული „ისლამური ეკონომიკური სისტემის“ შექმნას ისახავენ მიზნად. ეს მიზანი ლოზუნგებს არ გასცილებია და რაიმე კონკრეტულ პროექტში არ გადაზრდილა.

1998 წლისათვის MUSIAD-ის წევრთა რიცხვმა 3 ათასს მიაღწია. ყოველწლიური ბრუნვა 2.79 მილიარდ აშერიკულ დოლარს შეადგენს. მისი ნივთიერ ეკონომიკის ყველა სექტორში აქტიურობენ, განსაკუთრებით ფაბრიკებში, მსუბუქ მრეწველობაში, ქიმიური და მეტალურგიული პროდუქტების, ავტომობილების, სამშენებლო მასალების, რკინის, ფოლადისა და საკვები პროდუქტების წარმოებაში. არსებობს რამდენიმე ძლიერი ისლამური საფინანსო საბანკო. MUSIAD-ს აქვს ბევრი ფილიალი ანატოლიის პროვინციაში, რომელიც რელიგიურად კონსერვატიულ პროვინციულ ბიზნესმენებს წარმოადგენს. მათი ეკონომიკური აქტივობა 1980-იან წლებამდე ცენტრის მიერ იყო შეზღუდული.

ისლამური მოძრაობა გამოხატავს პერიფერიის ფართო მოსახლეობის არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური შესაძლებლობების არათანაბარი განაწილების გამო წარმოქმნილ უკმაყოფილებას. ცენტრის ელიტის

მიმართ მათი უკმაყოფილება სულ უფრო მკვეთრად ფიქროვდება და ზრდის მათ პოლიტიკურ უკმაყოფილებას.

ისლამური მოძრაობის მოკავშირეების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლი, პოლიტიკური მიზნები და ინტერესები განსხვავებულია: უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც საშუალო და დაბალი კლასებიდან მოდიან; უმუშევრობის შედეგად გაჩენილი განათლებული და კვალიფიციური ახალგაზრდები; ახლადწარმოქმნილი ქალაქის მუშები; ინფლაციის შედეგად გაპაროვებული წვრილი სახელმწიფო მოხელეები. გარდა ამისა, უნდა გამოიყოს საკმაოდ პრივილეგირებული ახლადწარმოქმნილი საშუალო და დაბალი კლასი: მდიდარი ვაჭრები, ბიზნესმენები და მრეწველები. რადიკალი ინტელექტუალები.

ისლამისტთა მხარდამჭერთა შორისაა ყოფილი ულტრანაციონალისტები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ნაციონალისტური მოძრაობა დამარცხდა და საკუთარი პოლიტიკური ინტერესების განხორციელების პერსპექტივა ისლამისტებში დაინახეს. ასევე, რელიგიურად კონსერვატიური სუნიტი ქურთები, რომლებიც ისლამურ წესრიგში ქურთების დასახლებული საზოგადოებასთვის პროვინციების პრობლემების შესაძლო გადაწყვეტას ხედავენ.

პოლიტიკური ისლამი 1990-იან წლებში

ერბაქანის მეთაურობით ლეგალური ისლამური „კეთილდღეობის პარტიის“ პირველი სერიოზული წარმატება 1994 წლის მარტის მუნიციპალური არჩევნების შედეგები იყო. არჩევნებზე პარტია ორი წამყვანი მემარჯვენე პარტიების: „დედასამშობლოს პარტია“ (ლიდერს მესუთ ილმაზი, თურგუთ ოზალის მემკვიდრე) და „ჭეშმარიტი გზის პარტია“ (ლიდერი თანსუ ჩილერი, სულეიმან დემირელის მემკვიდრე) - მთავარი მონაწილემდე იყო. არჩევნების შედეგები თურქეთისათვის სენსაციური იყო. ყველაზე ბევრი ხმა „კეთილდღეობის პარტიაში“ მიიღო ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ რეგიონებში. პარტიაში გაიმარჯვა დედასამშობლო, ანკარაში და „კომსოპოლურ სტამბოლში“. ისლამისტებმა მოიპოვეს მერის 28 პოსტი, ექვსი მთავარი მუხროპოლიის ცენტრი და 327 ადგილობრივი მთავრობის ხელმძღვანელობა. ისლამისტური პარტიის გამარჯვების მიზეზად ეკონომიკური ვითარების გაუარესება, კორუფციული სკანდალების მზარდი რიცხვი და პოლიტიკური ვითარებით მოსახლეობის უკმაყოფილება დასახლდა.

პარტია წარმატებული სვლა 1995 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებზე განაგრძო. პარტიამ ხმების 22% და 158 სადეპუტატო მანდატი მოიპოვა და 1996 წლის ზაფხულში თანსუ ჩილერის პარტიასთან ერთად კოალიციური მთავრობა

შექმნა. პარტიის წინასწარჩენი ლოზუნგები იყო; „მორწმუნეთა ჩაგვრაზე“ უარი, „ერის დამცირების“ შეწყვეტა, „ნამდვილ დემოკრატიასზე“ გადასვლა, „საბელადის როლისგან ქვეყნის განთავისუფლება“, „დამოუკიდებელი, საკუთარი საგარეო პოლიტიკის წარმოება“. პარტია მკვეთრად ანტიდასავლურ ლოზუნგებს აცხადებდა. მათ ქვეყნის გადარჩენის საშუალებად პარტიის „რეგულური“ მოდელი მიანდდათ: „მდიდარი მოქალაქე - მდიდარი სახელმწიფო“.

პარტია ლიად აცხადებდა რწმენას თავისუფლების აღიარებაზე კანონის მიღებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა ჩადრების ტარების თავისუფლებას, დღეში ხუთჯერ ლოცვას, ვაკუუმებისა და რელიგიური სკოლების საქმიანობას, ლოცვაში არაბული ენის გამოყენებას და სხვ.

მასმედია და პოლიტიკოსები სამხედროებსა და გამარჯვებულ პარტიას შორის ურთიერთობის გადართვად დაიბუღებდა წინასწარმეტყველებდნენ. უკვე 1996 წლის მარტში „კეთილდღეობის პარტიის“ აქტივისტები სამხედროთა ლიდერებს ჯარისკაცებისათვის კაზარტებში ლოცვის შესაძლებლობის წართმევაში ადანაშაუებდნენ. ამაზე სამხედროებმა მკვეთრი პასუხი გასცეს და განაცხადეს, რომ სამხედროებსა და მორწმუნეებს ერთმანეთში ვერაინ დააპირისპირებდა.

1996 წლის ზაფხულში ხელისუფლებაში ერბაქანის მოსვლაზე სამხედროების იძულებითი თანხმობა იმის დამადასტურებელი იყო, რომ თურქეთში სამხედრო გადატრიალებების დრო წავიდა. სამხედრო გადატრიალებებს მხარს არ უჭერდა არც აშშ, არც ევროკავშირი და არც ქვეყნის სეკულარული პოლიტიკური ელიტა. ექსპერტების აზრით, თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილის პირობებში სეკულარისტებმა და ისლამისტებმა ერთმანეთში კომპრომისი უნდა მიაღწიონ. მითუმეტეს ისლამისტების განცხადების ფონზე, რომ ისინი ქვეყნის საერო ხელისუფლების შარიათში შეცვლას არ აპირებენ.

თურქეთის სეკულარიზმის პრობლემა არჩევნების შემდეგ ფართო მსჯელობის საგანი გახდა. „კეთილდღეობის პარტიაში“ არჩევნებში წარმატების შემდეგ საზოგადოებას რელიგიური ლოზუნგებით და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გეგმებით თავი კვლავ შეახენა. არჩევნების შემდეგ პარტიის პირველი შესვედრა რელიგიური ატრობუტიკის თანხლებით გაიმართა, არაბულად და თურქულად ლოცვებიც ნაიკითხეს.

„კეთილდღეობის პარტიის“ წევრების მიერ წარმოთქმული განცხადებები და ქმედებები შემდგომში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფასვლები იქნა, როგორც პროისლამური და ანტისეკულარული. ერბაქანმა პრემიერ-მინისტრობის პერიოდში მთავრობის ოფიციალურ რეზიდენციაში რელიგიური ცერემონია გამართა, სადაც თურქული რელიგიური საზოგადოებებისა

და სამძობის ლიდერები მოიწვია. პროტესტის ნიშნად, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ რეზიდენციის კედელზე შერევილი რამპოკოდა ზოგიერთი გაზეით კი წავიდა, რომ თურქეთში სახელმწიფო რელიგიის კონტროლის ქვეშ გადადეს.

„კეთილდღეობის პარტიის“ წარმატებამ საპარლამენტო არჩევნებში დასავლეთის ქვეყნები და თავად თურქეთი აიძულა ამ უდიდეს რეგიონულ სახელმწიფოში ისლამური რეჟიმის დამყარების საშიშროებაზე დაეწყო საუბარი. შედეგად, 1997 წლის თებერვალში სამხედროებმა გადაიწყვიტეს, „კეთილდღეობის პარტიის“ წინააღმდეგ ეროვნული უშიშროების საბჭოში ბრძოლა დაეწყო.

1997 წლის 28 თებერვლის ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის წინ გავრცელდა ხმები სამხედრო გადატრიალების შესახებ. გადატრიალებისთვის შეიძლება მხარი დაეჭირა ისრაელიდან ახალ დაბრუნებულ გენშტაბის უფროს ქარადაისი, თუკი „კეთილდღეობის პარტია“ ხელისუფლებაში ანტიკონსტიტუციური მოღვაწეობას გააგრძელებდა. სხდომაზე ისლამისტთა რეაქციული საქმიანობის დამადასტურებლად წარმოადგინდა იყო ფაქტები, მათ შორის ერთ-ერთ კერძო კურსზე ყურანის სწავლის პროცესის ვიდეოჩივი. გავრცელებული ინფორმაციით, კურსის მონაწილენი ათთურქის ბიუსტს რიგ-რიგობით უახლოვდებოდნენ და აფურთხებდნენ.

ეროვნული უშიშროების საბჭოს თებერვლის გაერთიანებულმა მიუხედავად, ისლამისტებმა ხელისუფლების სეკულარულ ნაწილზე აშკარა ზეწოლა დაიწყო და საზოგადოების მხარდაჭერის მიზით მიტინგებსაც მართავდნენ. 11 მაისს პარტიის ინიციატივით სტამბოლში ქვეყნის ისლამური განვითარების მომხრეთა მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა. ანტისეკულარული ლოზუნგები დაუფარავად იყო წარმოადგენილი.

შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე თვეში ისლამისტებმა უკვე დაკარგეს თურქულ საზოგადოებაში მათი გავლენის რეალური ხარისხის შეგრძობა, არჩევნებში წარმატება მათი იდეოლოგიის გამარჯვება და თურქეთში შარიათის რევანშის ისტორიულ შანსად მიიჩნეს.

ხელისუფლების მსგავსმა მოქმედებამ საპასუხო ანტიისლამური კამპანია გამოიწვია. სეკულარისტული მასმედია „კეთილდღეობის პარტიას“ მითავრობასა და მთარეველობის ადგილობრივ ორგანოებში შარიათის რეჟიმის დამყარების მცდელობაში ადანაშაულებდა. ისლამისტური მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრა ქვეყნის კერძო სექტორის ყველაზე გავლენიანი ორგანიზაციის, თურქეთის საავტორო, სამრეწველო პალატებისა და ბიურჯის ასოციაციის ხელმძღვანელობამ. „კეთილდღეობის პარტიის“ ხელისუფლებიდან გამოსვლის მოთხოვნა დღითიდღე მატულობდა. პარტიის

კრიტიკით გამოვიდა თურქეთის უდიდესი პროფკავშირებიც.

1997 წლის 21 მაისს თურქეთის საკანაციო სასამართლოს მთავარმა პროკურორმა ვურალ სავაშმა საკონსტიტუციო სასამართლოში კოალიციური მთავრობის მთავარი მონაწილის, „კეთილდღეობის პარტიის“ დახურვის სარჩელი წარადგინა. გაზეთებსა და ბროშურებში დაიწყო ერაბაქანის მიერ გამოთქმული ანტიკულარული გამონათქვამებისა და ქმედებების დელარირება. ისლამისტების წინააღმდეგ გაჩაღებულმა კამპანიამ კოალიციური მთავრობა 1997 წლის ივნისში აიძულა ხელისუფლებიდან წასულიყო. მთავრობა 1997 წლის ივნისში რევანლიანი სახელმძღვანელო სწავლების კანონპროექტზე წარმოქმნილი დებატების შედეგად დაიშალა. გარდა ამისა, „კეთილდღეობის პარტიის“ მერებმა და დეპუტატებმა საკუთარი ანტიკულარული რიტორიკით და საქმიანობით კოალიციის დაშლაში თავისი როლი შეასრულეს.

1997 წლის ივნისში თურქეთში მოვიდა ახალი, ამჯერად სრულად სეკულარისტული კოალიციური მთავრობა, რომელსაც სათავეში „დედასამშობლოს“ პარტიის ლიდერი, მესუთ ილმაზჩაუდგა უკვე ავეისტროში, სეკულარულმა პარტიებმა მოახერხეს მიეღოთ კანონი დანაშაულის ნაცვლად, რვანლიანი სახელმძღვანელო სახელმწიფო განათლების შესახებ. კანონი ითვალისწინებდა ამ დონის სასწავლო დაწესებულებებში ერთიანი სახელმწიფო პროგრამების სახელმძღვანელო გამოყენებას, რაც რელიგიის სწავლების რეგულირებასაც გულისხმობდა. კანონი ისლამისტების პოზიციების შესუსტებას ისახავდა მიზნად.

სამხედროებსა და „კეთილდღეობის პარტიას“ შორის დაძაბულობა სხვადასხვა მოვლენებმა დააჩქარა: 1996 წლის დეკემბერში არმიიდან ისლამისტების სიმპატიებში შემცნეული ოფიცრები დაითხოვეს, რამაც ისლამისტების უკმაყოფილება გამოიწვია; „კეთილდღეობის პარტია“ ირანთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერას ცდილობდა; ისლამისტები უნივერსიტეტის სტუდენტთა გოგონებისათვის და სახელმწიფო მოხელეებისათვის ჩადრის ტარების აკრძალვის გაუქმებას ითხოვდნენ; ისლამისტები სტამბოლში, თაქსიმის პარკში მქეტეის მშენებლობას აპირებდნენ; ერაბაქანის უარს ხელი მოეწერა ებრეული უშიშროების საბჭოს 1997 წლის 28 თებერვლის რეკომენდაციებზე, რომელიც მთავრობას ისლამური საქმიანობის წინააღმდეგ გალაშქრებას მოუწოდებდა.

„კეთილდღეობის პარტიის“ ანტიდემოკრატიულმა ქმედებებმა არა მარტო სამხედროების გულმსყრობა, არამედ სეკულარული საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილებაც გამოიწვია. ისლამისტების სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობისადმი დამოკიდებულება ორაზროვანი იყო

და მათი მხრიდან თურქეთის, როგორც სეკულარული სახელმწიფოს მხარდაჭერა დემოკრატია არ იყო დაფიქსირებული. მათი გაგება ეფემორატობის მხოლოდ ქალების უფლებებით შემოიფარგლებოდა. გარდა ამისა, გაჩნდა ეჭვი, რომ „კეთილდღეობის პარტიას“ კავშირები ჰქონდა ისლამური სამხედრო დაჯგუფებებთან.

„კეთილდღეობის პარტიის“ ბედს საკონსტიტუციო სასამართლო რამდენიმე თვის განმავლობაში განიხილავდა. წარმოდგენილი იყო მრავალი ისეთი დოკუმენტი, რომელიც კონსტიტუციის დარღვევას ნიშნავდა. მედიამ ბავრცულელები ინფორმაციით, დოკუმენტების შესწავლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამხედროების ინიციატივით შექმნილმა ე.წ. „დასავლეთის სამუშაო ჯგუფმა“. ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოყვანილი იყო პარტიის მიერ ქვეყანაში სეკულარული რეჟიმის დამხობის მიზნით, ისლამური ორგანიზაციებისა და რადიკალური რეჟიმების ლიდერებისაგან მსხვილი ფინანსების მიღების ფაქტები. პარტიას ევროპაში ორი რადიკალური ისლამური საზოგადოების კუთვნილებაც დაუმტკიცეს. გარდა ამისა, ანგარიშში მოყვანილი იყო ბოსნიიდან პარტიის ანგარიშზე ფულის გადმოირიცხვის ფაქტი. პარტია აქტიურად მოქმედებდა გერმანიაშიც, სადაც უდიდესი თურქული დიასპორაა. ამასთან დაკავშირებით გერმანიაში სერიოზული შეშფოთებაც კი გამოთქვა. „კეთილდღეობის პარტიამ“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გერმანიის მთავრობას თურქებისათვის რელიგიური სკოლების გახსნის თხოვნითაც მიმართა, მაგრამ უარი მიიღო.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება 1998 წლის 22 თებერვალს მიიღო, როდესაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება „კეთილდღეობის პარტიის“ დახურვის შესახებ ძალაში შევიდა. ერაბაქანსა და პარტიის კიდევ ხუთ ლიდერს დეპუტატის იმუნიტეტი მოეხსნათ, ერაბაქანს კი პოლიტიკური მოღვაწეობა და პოლიტიკური პარტიის შექმნა აკრძალა. სასამართლოს მიერ მიღებულ 329 გვერდიან გადაწყვეტილებაში ბევრი ისეთი არგუმენტი იყო, რაც პარტიის დახურვისათვის საჭირო იყო. საკონსტიტუციო სასამართლომ დოკუმენტში მოყვანილი იყო პარტიის ზოგიერთი ლიდერის განცხადება, რაც არსებული კონსტიტუციური რეჟიმის წინააღმდეგ გამოცხადდა და შარიათის მხარდაჭერად აღიქმებოდა.

პარტიის აკრძალვის შემდეგ მისმა წევრებმა, პარლამენტის დეპუტატებმა ახალი „ლირების პარტია“ შექმნეს, რომელიც „კეთილდღეობის პარტიის“ მემკვიდრეა. ახლად შექმნილი პარტიის გენერალურმა თავმჯდომარემ 1998 წლის ზაფხულში უკვე განაცხადა, რომ პარტია ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზად იყო.

სამხედროები მხოლოდ „კეთილდღეობის პარტიის“ აკრძალვით არ შემოიფარგლენ და

სახელმწიფო ორგანოებში, უპირველეს ყოვლისა განათლების სამინისტროში, უნივერსიტეტებში, სამხედრო სასწავლო დაწესებულებებში, საკადრო მსენდა დაიწყეს. სამხედროებმა განცხადების უფროსის ხელმოწერით გამოაქვეყნეს „ერისადმი მიმართვა“, რაც მედიის მიერ სამხედროების ახალ მემორანდუმად შეფასეს. „მიმართვაში“ ტერორისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა მოქალაქის უპირველეს ვალდებულებად ცხადდებოდა.

სამხედროებმა ორდენებისა და ვაკუუმების საქმიანობაში წესრიგის დამყარება გადაწყვიტეს. ამ ორგანიზაციების და ფონდების წინაშე უკვე დიდი ხანია კანონიერად საქმიანობდნენ და ქვეყანაში ფინანსური ძლიერების წყალობით დიდი გავლენიანაც სარგებლობდნენ.

დღეისათვის რელიგიური დისციპლინები ისწავლება არა მარტო ჩვეულებრივ სახელმწიფო სკოლებში, არამედ საეკლესიო კურსებზეც, რომელიც რელიგიის საქმეთა სამმართველოს ექვემდებარება. კურსები ძირითადად მეჩეთებში ტარდება. სამმართველოს ფუნქციებში უარყოფილება მოხდება შედის. იგი ისლამის კურსების ორგანიზების გარდა, ქვეყანაში რელიგიური საქმიანობის მიმდინარე სახელმწიფო რეგულირებასაც ახორციელებს. მის ფუნქციაში შედის რელიგიური ლიტერატურის, მათ შორის ყურანის გამოცემა. სამმართველო ქვეყნის მასშტაბით მეჩეთებსაც მართავს. რელიგიური კულტის მხარეები, იმაზეთ სამმართველოს შტატის წევრებად ითვლებიან და სახელმწიფო მოხელის სტატუსი გააჩნიათ.

საშუალო სპეციული რელიგიური განათლება იმამ-მთხოვების სახელმწიფო პროფესიული სკოლებში მიიღება. საშუალო პროფესიული განათლების პარალელურად სულ უფრო ვრცელდება უმაღლესი თეოლოგიური განათლება, რაც კულტის მსახურთა საერთო დონის ამაღლებას ემსახურება.

ოფიციალური ისლამის მხარდაჭერის მსგავს პოლიტიკაში სულ უფრო ორსახოვნება ვლინდება. ყოველწლიურად ხელისუფლება ისლამისტებს ყოველწლიურად მეჩეთების მშენებლობის, ვაკუუმების შექმნისა და რელიგიური სასწავლო ცენტრების ქულების გაფართოების ნებას რთავს. 20-იანი წლების მეორე ნახევარში თურქეთში ოზალის ხელმძღვანელობით გატარებული ლიბერალიზაციის პოლიტიკა, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დეცეტიზაცია, გარე სამყაროსთან კავშირები, ხელს უწყობდა ისლამის სტატუსის აღდგენას, როგორც ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტისა.

ისლამი სულიერ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძალა გახდა. იგი არა თურქული მოსახლეობის, არა მარტო ქრისტიანების (ბერძენები, სომხები), არამედ მუსლიმების: ქურთები, თურქმენები, არაბები, კავკასიელები და ყირიმებიდან ემიგრანტების უმრავლესობაში ეფექტურ

ინსტიტუტად იქცა. ამოქმედდა ფორმულა: „ერთი რელიგია, ერთი ხალხი, ერთი ნაცია“. ოზალის მმართველობის დროს სოციალური დანიშნულების ფონდი ვაკუუმები სოკოპოვით გამრავლდნენ, რომლებიც ხელმოკლეებისათვის სკოლებსა და ინსტიტუტებში სტიპენდიებს აწესებდნენ.

ხშირად ვაკუუმების უკან ალორძინებული რელიგიური ორდენები იდგნენ. ორდენებისა და მათი ლიდერების უკან კი, ისლამური სახელმწიფოებიდან მომავალი მსხვილი კაპიტალი. ახალმა კანონმდებლობამ შეღავათები დააწესა ზოგიერთი ქვეყნის: საუდის არაბეთი, ლიბია, ირანი, ერაყი, კუვეიტი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი და კატარი - ინვესტიორებისათვის. დღეს უფრო ხშირად საუბრობენ ისლამურ-თურქულ სინთეზზე, რომელიც ისლამისტებისა და ნაციონალისტების ერთობას ითვალისწინებს. ამ კონცეფციამ ახალი ძალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიძინა, როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სხვადასხვა სახნალო დაწესებულებები გაიხსნა.

მეორე მხრივ, დიდი ხნის განმავლობაში ხელისუფლება ქვეყნის სამხედრო ლიდერების ინიციატივით, ანტიკულარისტების სასამართლო დევნას აგრძელებდა. თურქეთის არმია, პოლიცია და უშიშროების ორგანოები ისლამისტებს ყურადღებოდ აკვირდებიან და მათ ნებისმიერ ქმედებას დეცეტიზებად სწავლობენ. ისლამისტების ანტიკულარულ ქმედებებს სამხედროები დროულად პასუხობენ. მაგალითად, 1996-98 წლებში არმიიდან შარიათის რეჟიმის სიმპატიებში ექვმიტანული უარი ოფიცერი დაითხოვეს.

დღეს, გაეროც იმაში, თუ თურქეთში ვინ არის შარიათის მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე რთულია. შარიათის აშკარა მომხრეები აკრძალული „კეთილდღეობის“ და მისი მემკვიდრე ღირსების პარტიის მხარდაჭერები ითვლებიან. თუმცა, მათ შორის ბევრი არ შეიძლება ისლამისტად მივიჩნიოთ. დღევანდელი თურქეთისათვის დამახასიათებელია ისლამის შესახებ ფართო დისკუსია მასშტაბისა და ნივნების საშუალებით. მორწმუნე ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი, ღია დისკუსიების დროს საერთო ხელისუფლების, კონსტიტუციის დამცველებად გვევლინებიან.

ღირსების პარტია

ახალი პროისლამისტური ღირსების პარტია 1997 წლის 17 დეკემბერს „კეთილდღეობის პარტიის“ 33 დეპუტატმა ერაბაქანის ერთობლივ რეჯაი ქუთანის მეთაურობით შექმნა. ღირსების პარტიასთან ინტეგრაციის პროცესის დასრულებისთვის ერაბაქანის კონტროლირებადმა კონსერვატიული ფრთამ საპარლამენტო ჯგუფის ადმინისტრატორები აირჩია, სანამ დანარჩენ დეპუტატებს რეფორმისტული ფრთის ლიდერი, სტამბოლის მერი რეჯაი თაიფ ერდოგანი

თავის კენ გადაიბირება. ღირსების პარტიამ ორგანიზაციის წარმომადგენლები გახსნა 80 პროცენტით. ამის შემდეგ ახალი წევრების რეკრუტირება დაიწყო. კანონის თანახმად აკრძალული პარტიის მემკვიდრე პარტიის წევრების 50% ახალი უნდა იყოს. ღირსების პარტიამ წევრთა 60%-ის განახლება გადაწყვიტა.

პარტია შეეცადა ქალების საინააღმდეგო და ანტიდემოკრატიული იმიჯი შეეცვალა. ამისათვის პარტიაში მიიღეს უმაღლესი განათლების მქონე თანამედროვე სტილის ქალები, ნაზლი ილიჯაძე და პროფესორი ოია აქტიონენჩი. აღსანიშნავია, რომ ისინი სტილთან წარმატება მტყნინად დაბალი სოციალური კლასის ქალების აქტიურობამ და პროპაგანდისტულმა საქმიანობამ განაპირობა. თუმცა, პარტიის მიერ წარმატების მოპოვების შემდეგ, ქალები მაღალ თანამდებობებზე არ დანიშნეს. ახალმა პარტიამ ეს გაითვალისწინა და პარტიის ცენტრალურ ორგანოში სამი ქალი შეიყვანა.

ღირსების პარტიამ გადაწყვიტა საზოგადოებისთვის ეწვევინა, რომ მათ „კეთილდღეობის პარტიისგან“ განსხვავებული შეხედულებები აქვთ. მაგალითად, ღირსების პარტიამ განაცხადა, რომ ისინი თურქეთის ევროპის კავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერენ. ისლამისტური პარტიები ამას 3 ათეული წლის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ. პარტიის ცენტრალურ ორგანოში შეიყვანეს ორი ქალი, რომლებიც ჩადრს არ ატარებდნენ. ეს „კეთილდღეობის პარტიის“ ისლამური ჩაცმულობის ნორმებიდან გადახვევა იყო. პარტიამ შეეცალა თავისი პოლიტიკური რიტორიკა. თუ ადრე პარტიის მიზანი იყო „ისლამური მისია“ შესრულება, ახლა პარტია ხაზს უსვამდა დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და პიროვნული თავისუფლების იდეალების უზენაესობას.

თარქვილი აპარატის მიერ კარგად გაწვრთნილი ორატორი ქალები, რომლებიც ადრე ისლამურ პროპაგანდას აწარმოებდნენ და არსებული სეკულარული რეჟიმის დამხობისაკენ მოუწოდებდნენ, ახლა თავისუფლებსა და პიროვნების უფლებებზე საუბრობდნენ. ღირსების პარტია ხშირად აღარ საუბრობდა საზოგადოებრივ დანესებულებებში ქალების ჩადრით სიარულის აკრძალვის გაუქმებაზე. ჩადრის საკითხის სეკულარისტებსა და რელიგიურ ძალებს შორის მუდმივი დაპირისპირების საბაზი იყო და ყოველთვის სამხედროების ანტიისლამური ღონისძიებების გამაყრდნობას იწვევდა. თუმცა, პარტიამ ბოლომდე მაინც ვერ შეიკავა თავი და უნივერსიტეტებში ჩადრით სიარულის აკრძალვის გაუქმება მოითხოვა. ღირსების პარტია ჩადრის ტარების აკრძალვის საკითხს უკვე ადამიანის უფლებების დარღვევად და პროკონული თავისუფლების საკითხად მიიჩნევდა და არა რელიგიურად.

ისლამისტების მიერ პოზიციის შეცვლა

განსაკუთრებით საყურადღებოა „ქურთების საკითხთან“ მიმართებაში. ისლამისტებმა ქურთი უმცირესობისთვის კულტურული უფლებების მინიჭების შესახებ საუბარი დაიწყეს. თურქეთის სახრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში ვითარების ნორმალისაციის შემდეგ ისლამისტები ქურთებისთვის ქურთულ ენაზე განათლებისა და მანუყვლობის უფლების მიცემის შესახებ ბლოკაზე საუბრობდნენ. თუმცა, 1999 წლის თებერვალში ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერის, აბდულა ოჯალანის დაკავებასა და თურქეთში წარმოქმნილი პოლიტიკური კრიზისის შემდეგ პარტიის პოზიცია უფრო ფრთხილი გახდა. ღირსების პარტია უკვე ოფციოზური ანკარის ევრსიას ემხრობოდა და ქურთობით დასახლებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში ღირსების პარტია წყაროდ ეკონომიკურ მიზნებს ასახელებდა. 1995 წლის არჩევნებში პარტიამ საპარლამენტო ადგილები და მნიშვნელოვანი ქალაქების მერის თანამდებობები, მათ შორის დიარბაქირი (ქურთების მნიშვნელოვანი ცენტრი), მოიპოვა იმის წყალობით, რომ თურქეთის უდიდესი უმცირესობისათვის - ქურთებისათვის, კულტურული უფლებების მინიჭებას მხარს უჭერდა. უკანასკნელ არჩევნებში კი ღირსების პარტიამ პროკურთული დემოკრატიული ხალხების პარტიის მხარდაჭერა სრულად დაკარგა.

გარდა ამისა, პარტიამ ახალი იმიჯის შექმნის მიზნით, 1998 წელს ქალებისა და მამაკაცების ერთობლივი ბანკეტი გამართა, რაც ადრე არ ეთვლებოდა. მასზე რეკავი ქუთანმა და ნაზლი ილიჯაძემ ერთადაც იმღერეს. ნაზლი ილიჯაძემ საკუთარ ვიდეოში უფრანლისტები და ისლამისტები ღილაკები მოიწნა, სადაც ზღუმურებს ალკოჰოლური სასმელების დალევაც შეეძლოთ, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო. თავად ილიჯაძეა განაცხადა: „მე პოლიტიკურ პარტიაში შევდი და არა სექტაში. მე ვსვამ ღვინოს და არც ვაპირებ ჩემი პირადი ცხოვრების შეცვლას“.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიის წინასაარჩევნო კამპანია ეყრდნობოდა დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, სამოქალაქო თავისუფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს.

ღირსების პარტია თავს არიდებს რელიგიაზე პირდაპირ საუბარს, თუმცა ისინი შემოკლითი გზებით რელიგიურ თავისუფლებას მოითხოვენ. ღირსების პარტიის დეპუტატებმა გააკრიტიკეს ახალი კანონი, რომელიც საჯაროდ უფლებების განათლებას „სეკულარულ“ სკოლებში ხუთიდან რვა წლამდე ზრდევდა, რაც მიზნად ისახავდა ხელი შეეშალათ სტუდენტებისთვის სახელმწიფო სკოლებში დასწრებოდნენ ლექციებს, რომლებიც 1940-იან წლებში მლოცველთა ლიდერების გამოსაწვრივლად დაარსდა. მას ბევრი მორწმუნე ოჯახი უპირატესობას ანიჭებდა.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს პარტიების,

კანდიდატები ნაკლებად საუბრობდნენ ღმერთზე და ძირითად აქცენტს უკვე არსებული ტრადიციული ღირებულებების პატივისცემაზე აკეთებდნენ. ისინი ამომრჩევლებს პირდაპირდნენ, რომ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ ჯანმრთელობას, განათლებას და გზებს.

1999 წლის აპრილის საპარლამენტო არჩევნებში ღირსების პარტია მხოლოდ მესამე იყო. მისი მანუყვლობის წინა არჩევნებთან შედარებით 6%-ით დაეცა. ღირსების პარტიის რეგიონალური ფრთის ლიდერმა, აბდულა გიულმა ამის შემდეგ განაცხადა, რომ მისმა პარტიამ უარესიც დაიმსახურა. მისი თქმით, ერბაქანმა თავისი ფუნდამენტალისტური განცხადებებითა და ლიბიასა და ირანში ვიზიტებით პარტიის იმიჯი მნიშვნელოვნად შეარყია.

არჩევნებმა აჩვენა, რომ ღირსების პარტიის ამომრჩევლებმა ეროვნული მოქმედების პარტიის ბანაკში გადაინაცვალა. ამის შემდეგ ღირსების პარტიის საქმეები სულ უფრო გაურესდა. ამას დაერთო ღირსების პარტიის დეპუტატის მერვე ქაჯაქის პარლამენტში შესვლაში უარყოფითი შესვლა, რამაც თურქეთში სკანდალი გამოიწვია. მოგვიანებით გამოვიდა, რომ ქაჯაქის აშშ-ის მოქალაქეობა მქონდა მიღებული, ჩიკაგოში გამოსვლისას კი მუსლიმებს წმინდა ომისკენ მოუწოდებდა. მისმა პარლამენტთან გაძევებამ ბევრი მუსლიმი ქალი აქტივისტის დემორალისება გამოიწვია. „ყოველთვის იყო ქალებისათვის (იგულისხმება ჩადრის ქალები) იმიჯი იმისა, რომ მათ შეუძლიათ ადგილობრივი ადმინისტრაციასა და პარლამენტში იმუშაონ. ახლა ჩვენ მორალურად გატეხილები ვართ“ - განაცხადა ცნობილმა ქალმა იურისტმა, რომელიც ჩადრს ატარებს, სიბელ ერასლანმა.

ამის შემდეგ, პარტია შეეცადა პარლამენტი აეუფლებინა ოჯალანის სასიკვდილო განაჩენი დროზე აღესრულებინათ. პარტია ამით ნაციონალისტურად განწყობილი ამომრჩევლის გადმოპირებას იმედოვნებდა, თუმცა შედეგად პარტია რამდენიმე ქურთული წარმოშობის დეპუტატამ დატოვა.

ისლამისტა პროვოკაციული ღონისძიებები

უკვე 1993 წელს კეთილდღეობის პარტიამ მიიღო „მრავალმხრივი კანონიერი-წესრიგის“ იდეა. „ინდივიდუალთა თავისუფლება იცხოვროს იმ კანონიერ გარემოში, რომელიც მათ რწმენას შეესაბამება“. ამ სქემის მიხედვით მუსლიმებს ისლამური კანონებით უნდა ეცხოვრათ. აქ აღსანიშნავია ის, რომ თურქეთის მოსახლეობის 99% მუსლიმია.

ერბაქანის ყველაზე ცნობილი საგარეო ვიზიტები მისი 18-თვიანი პრემიერ-მინისტრობის დროს ირანსა და ლიბიაში შედგა. „ირანის რევოლუცია საკუთარი ტრადიციიდან (შიიტური) აღმოცენდა, რაც თურქეთისაგან მკვეთრად

განსხვავდება. ამ ვერსიის ისლამის თურქეთში ექსპორტირების საფრთხე არ არსებობს“- განაცხადა მანში ერბაქანის საგარეო-პოლიტიკურმა მრჩეველმა, აბდულა გიულმა. მისი თქმით, ორ ქვეყანას შორის შეუძლებელია კიდევ უფრო სტაბილური ურთიერთობა იყოს, რადგან ორ ქვეყანას შორის საზღვარი ავერ უკვე აშშ-ის დაარსების პერიოდიდან არ შეცვლილა.

ამავე დროს, გიული ერბაქანს ურჩევდა ლიბიაში არ წასულიყო. გიულის განცხადებით, კადაფი დიქტატორია, რომელიც საკუთარ ხალხს ხოცავს. მიუხედავად იმისა, რომ ტრიპოლს თურქეთის არაერთი პრემიერ-მინისტრი ესტუმრა, ერბაქანის ვიზიტი არასწორად იქნებოდა გაგებული. თუმცა, ერბაქანმა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის თბილისი ლიბიის მარცხი მიაშურა. ასოციაცია იმედოვნებდა, რომ ერბაქანი ლიბიისაგან თურქული ფირმების კუთხით 250 მილიონ დოლარს დააბრუნებდა. ერბაქანი არა მარტო ხელცარიელი დაბრუნდა, არამედ კადაფი იგი არასაკმარის ისლამიზმში დაადასტურა.

ერბაქანი რამდენიმე რასიული შენიშვნების გაკეთებასაც არ მოერიდა. ერბაქანის განმარტებით, თურქეთის ევროკავშირში შესვლით თურქეთი ისრაელის პროვინცია გახდება. ხოლო გაეროს მან სიონისტური ორგანიზაცია უწოდა, რადგან პირველი მისი ღონისძიება ისრაელის სახელმწიფოს შექმნა იყო. ერბაქანმა სხვა მსგავსი განცხადებებიც გააკეთა, რამაც სეკულარისტები სერიოზულად შეაშფოთა.

ანკარის მერმა მელიქ გოქსექმა, კეთილდღეობის პარტიის კიდევ ერთმა „მძიმე-წონისანმა“, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილიდან შიშველი ქანდაკება მოხსნა. ხოლო ანკარის მეტროში ხელი-ხელ ჩაკიდებულ წყვილებს აეკრძალათ „მსგავსი საქციელით საზოგადოებრივ წესრიგზე შედეგისა“. რელიგიურ და ანტი-სეკულარ გამოსვლებს თურქეთის ხედასხვა ქალაქების მერებიც არ ერიდებოდნენ.

„კეთილდღეობის პარტიამ“ მსგავსი პროვოკაციული განცხადებების მიუხედავად დადასტურა, რომ კომპრომისებზე წასვლა და ძირითად პოლიტიკურ პარტიებთან გარიგება შეუძლია. „კეთილდღეობის“ და „ქუშმარიტი გზის პარტიას“ შორის კოალიციური მთავრობის შექმნაში ისლამისტები ჩილერის წინააღმდეგ კორუფციაში ბრალდებით საპარლამენტო გამოძიების დაწყებას მოითხოვდნენ. როდესაც ჩილერმა, რომლის პარტია თავისი პროდასავლური და სეკულარული პოზიციებით არის ცნობილი, ისლამისტებთან კოალიციური მთავრობის ფორმირების მზადყოფნა გამოთქვა, ერბაქანმა მის წინააღმდეგ სამოყენებელი ბრალდებები სასწრაფოდ მოხსნა.

ბრძოლა ისლამისტურ მოძრაობაში ლიდერობისათვის

ღირსების პარტიის ბედი დიდად იყო დამოკიდებული ორ მნიშვნელოვან მოვლენაზე: პარტიის ეროვნული კონგრესი და სასამართლო პროცესი, სადაც პარტია შეიძლება აკრძალონ.

კონგრესი დაპირისპირების სარბიული გახდა ორ შიდა პარტიულ დაჯგუფებას შორის. პირველები, კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები არიან, მას ერბაქანის ერთგული პრორეგენა და პარტიის ანტიმინდელი ლიდერი რეჯაი ქუთანი მეთაურობს. მათი მოღვაწეობის შედეგად პარტია საპარლამენტო არჩევნებში წინა არჩევნებთან შედარებით უარესი შედეგი აჩვენა და გარდა ამისა სახელმწიფო პროკურორებთან დაძაბულ ურთიერთობაშია. მეორე, რევოლუციური ფრთის ახალგაზრდა აბდულა გიული მეთაურობს. გიულის მომხრეებს შორის არის განსაკუთრებით პოპულარული პრორეგენა, სტამბოლის ყოფილი მერი, თაიფ ერდოგანი, რომელიც პოლიტიკიდან სამუდამო აკრძალვის მიუხედავად უზარმაზარ პოპულარობას ინარჩუნებს.

კონგრესამდე პარტიის კონსერვატიული ფრთა „მეამბოხე“ თანაპარტიელების წინააღმდეგ სერიოზულ კამპანიას აწარმოებდა. კონგრესამდე ორი კვირით ადრე კონსერვატიორთა ლიდერებმა პარტიის 81 რეგიონული ლიდერი აიძულეს ხელი მოეწერათ დეკლარაციისათვის, რომელიც მათ „ლიდერის მორჩილებას“ მოუწოდებდა. ლიდერში ერბაქანი იგულისხმებოდა. ერბაქანის ერთგულმა ოგუზან ასილთურქმა ლიდერები გააფრთხილა, რომ თუ ისინი მოჯას (ერბაქანის ზედმეტსახელი) უღალატებდნენ, ისინი ვერსაოდეს მოხვდებოდნენ სამთხვეში და ალაპის წინაშე საკუთარი ცოდვებით წარსდგებოდნენ. თურქული პრესის ცნობით, ასილთურქმა სპეციალური ჯგუფიც კი შექმნა, რომელიც კონგრესის 1200 დელეგატს გააკონტროლებდა და გიულის რეფორმების მომხრეებს ძალის გამოყენების საშუალებითაც კი მიიკაბოდიანდა.

გიულმა თავის მხრივ დელიკატური განცხადებები გააკეთა პარტიისა და უზულებების ერთგულთაზე. თუმცა, ამავე დროს პარტიის წევრებსა და დელეგატებს მოუწოდა, რომ შეეხებათ პოლიტიკური რეალობისათვის, რომლის მიხედვითაც ერბაქანის სტილის მმართველობის ქვეშ პარტიას მომავალი არ ჰქონდა.

გიული ცდილობდა მისი განცხადებები თურქი სეკულარისტებისა და დასავლეთური დიპლომატების თვალში პროოკაციული არ ყოფილიყო. გიულმა პარტიის საკუთარი ხედვა ასახა, როგორც ეროვნული ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ისლამური ვერსია. „თურქებისა და ქურთების პრობლემა შეიძლება აღმოიფხვრას მეტი დემოკრატიის წყალობით. პრობლემა შეიძლება მხოლოდ თავისუფლებების მინიჭებით გადაწყდეს“ - განაცხადა გიულმა. დასავლეთი გიულს მზარს უჭერს. აღსანიშნავია, რომ გიული ღირსების

პარტიის ერთადერთი მაღალჩინოსანია, რომელიც ინგლისურად კარგად ლაპარაკობს.

თურქეთში პრეზიდენტის არჩევნებმა კონსტიტუციური სასამართლოს მიერ პარტიის შესახებ რაიმე გადაწყვეტილების მიღება დროებით შეაფერხა. ყველასათვის მოულოდნელად კონსტიტუციური სასამართლოს თავჯდომარის აბმედ ნეჯმეტი სეზერის პრეზიდენტად არჩევამ ნათელი გახადა, რომ სასამართლომ შეიძლება პარტია არ დახურეს. აღსანიშნავია, რომ „კეთილდღეობის პარტია“ სეკულარისტების პრინციპების დარღვევისათვის სწორედ სეზერმა აკრძალა. თუმცა, ამჟამად სეზერი აცხადებს, რომ კონსტიტუციაში აუცილებელი ცვლილებები უნდა გატარდეს, რომელიც ადამიანის უფლებების სფეროში საყოველთაო ნორმებს შეესაბამება. სეზერის თქმით, აზრის გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი კანონები უნდა გაუქმდეს. აღსანიშნავია, რომ ღირსების პარტიამ სეზერის კანდიდატურას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

გიულის გამარჯვების შემთხვევაში, ბევრი ექსპერტი ვარაუდობდა, რომ პარტიის გადარჩენის შანსები გაიზარდებოდა. ექსპერტები ერბაქანის ფრთის გამარჯვებას პარტიის ცუდ მომავალს უკავშირებენ.

ღირსების პარტიის ბევრი კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდა და ძველ თაობას შორის განსხვავება მხოლოდ კოსმეტიკურია. თუმცა, პარტიის საქვეშა კარგად ჩახედული აცხადებენ, რომ ორ ბანაკს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ერთ-ერთი დიპლომატის განცხადებით, მათ განსხვავებული მსოფლმხედველობა აქვთ.

გიულის მრჩეველის მურათ მერჯანის განცხადებით, „ძველი თაობა ისეთ ჩაკეტილ საზოგადოებაში გაიზარდა, რომ მათ არ იცოდნენ რა ხდებოდა მსოფლიოში, მუსლიმურ ქვეყნებშიც კი“.

ერდოგანის საარჩევნო კამპანიის მენეჯერის სიბედ ერასლანის განცხადებით, პარტიის ძველი გვარდია არის სეკულარული, მესაკუთრეთა ოჯახებიდან, რომლებიც დიდ ქალაქებსა და სახელმწიფო სასამართლებში მუშაობდნენ, მოვიდნენ. რეფორმატიორთა უმრავლესობა კი, გიულის მხედვად, ანატოლიის რეგიონიდან მოვიდა და დიდ ქალაქებში მხოლოდ სასწავლებლად ჩამოვიდა. ერასლანის თქმით, რეფორმატიორები უფრო არიან მოწოდებული სოციალური სამართლიანობის, შესაძლებლობის თავისუფლების, სიღარიბესთან ბრძოლის და სოციალური სამართლიანობის მიღწევისაკენ, მაშინ როდესაც ძველი გვარდია ისლამური იდეოლოგიის მკაცრ ჩარჩოებში არის მოქცეული.

კონსერვატიორებისაგან განსხვავებით, რეფორმატიორების კამპანია უფრო პრაგმატული მმართველობის პლატფორმას ეფუძნებოდა, რაც ნიშნავდა: არმიის არაპროვოცირებას, სავარეო პოლიტიკაში დასავლეთი ორიენტის შესწრაფვას, რაც ნატოს ერთგულებასა და ევროკავშირში გაწევრიანების მცდელობას გულის-

ხმობს; კულტურული პლურალიზმის მხარდაჭერა და პარტიის ცემა, ქალებისათვის უნივერსიტეტებში ჩადრით სიარულის თავისუფლების მიცემის ჩათვლით.

გიულის მრჩეველის, მერჯანის განცხადებით, რეფორმატიორების რელიგიისა და სახელმწიფოს განცხადებების მომხრეები არიან. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რელიგიურ საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან მეჩეთების გამოვლასა და მეჩეთების თვითურთუფლებოვნაზე გადასვლას. სეკულარისტები შიშობენ, რომ ამგვარი მეჩეთები ისლამისათა პოლიტიკის დასაყრდენი გახდება. მერჯანის განცხადებით, არ იცნობს სახელმწიფო სახელმწიფო ინსტიტუტებში ჩადრით სიარული და ლოცვა.

ისლამისტური პარტიის კონგრესი

ღირსების პარტიის მომავალი განვითარება დიდად იყო დამოკიდებული 14 მაისს დადგმულ პარტიის პირველ ეროვნულ კონგრესზე, სადაც პარტიის მომავალი ლიდერის ვინაობა უნდა გადაწყვეტილიყო. კონგრესის დანერგვამდე დელეგატებს პარტიის კონსერვატიული ფრთის მიერ ურიგებოდათ გაზეთები, სადაც დელეგატებს „მასწავლებლის“, ნეჯმეტინ ერბაქანის ნების აღსრულებისაკენ და მეამბოხე აბდულა გიულის დამარცხებისკენ მოუწოდებდნენ.

აღსანიშნავია, რომ დელეგატები მუსლიმური ტრადიციისმებრ ქალებისა და კაცების სექციებში დაიყვნენ. კონგრესს ესწრებოდნენ სხვადასხვა მუსლიმური ქვეყნების უმაღლესი დიპლომატიური წარმომადგენლები და დამკვირვებლები აშშ-სა და ევროპული სახელმწიფოების საელჩოებიდან. ქუთანიის მონოტონურ გამოსვლას დელეგატები ტანით მხოლოდ მაშინ ხვდებოდნენ, როდესაც იგი ერბაქანის სახელს ხსენებდა. კონგრესზე ერბაქანის მიმართაც წაიკითხეს.

გიული თავის გამოვლასში არ მოერიდა ერბაქანის ავტორიტარული მმართველობის გაკრიტიკებას. „თუ ჩვენ გვიჩნდა, რომ თურქეთი უფრო დემოკრატიული გახდებოდა, ჩვენ უფრო დემოკრატიული უნდა ვიყოთ, თურქეთი თურქეთს ვაკრიტიკებთ, ჩვენ საკუთარი თავის კრიტიკაც უნდა შეგვეძლოს“ - განაცხადა გიულმა.

ექსპერტების შემდეგ ერბაქანის ერთგულმა ქუთანმა 633 ხმა მიიღო, რაც პარტიის ლიდერის პოსტის შესანარჩუნებლად საკმარისი იყო. აბდულა გიულმა ყველასთვის მოულოდნელად 521 ხმა მიიღო, რაც ფაქტობრივად მისი მორალური გამარჯვება იყო. გავლენიანი გაზეთის, „პურიუთის“ მუხასებით, კონგრესის ერთადერთი დამარცხებული ერბაქანია.

შედეგების მიუხედავად, აშკარა გახდა, რომ თურქეთის ისლამისტურ მოძრაობაში დემოკრატიული პროცესები დაიწყო. ერბაქანს, პარტიის ავტორიტარულ მმართველს ათეული წლების განმავლობაში, კონგრესის თითქმის

ნახევარი დელეგატი მეამბოხეს სახით გამოაკლდა. ერბაქანი ახლა საკამოდ ხსენდება და მისი პოლიტიკური მომავალი ეჭვის ქვეშ დგას. ახალგაზრდა ფრთას კი ისეთი პოპულარული წარმომადგენლები ჰყავს, როგორც სასამართლო ყოფილი მერი თაიფ ერდოგანი. ერდოგანს პოლიტიკური მოღვაწეობა აკრძალული აქვს, მაგრამ როდესაც კვლავ დაბრუნდება, ღირსების პარტიის რეფორმატიორული ფრთის გამარჯვება ფაქტობრივად გარანტირებულია.

ჯერ კიდევ არ არის გარკვეული პარტიის ბედი. თუ პარტიას ანტისეკულარული მოღვაწეობისათვის დახურავენ, მაშინ ერბაქანის ბევრ მომხრე, რომლებიც ამგვარ მოღვაწეობაში არიან შემჩნეული, პოლიტიკასთან გამოთხოვება მოუწევთ. გიულსა და მის მომხრეებს კი ახალი პარტიის შექმნის საშუალება მიეცემა, რომელიც ერბაქანთან არ იქნება სალევანდო და პარტია მუსლიმური დემოკრატიული პარტიის სახეს მიიღებს.

მეორე მხრივ, თუ კონსტიტუციური სასამართლო ღირსების პარტიას დახურავს, როგორც აკრძალული კეთილდღეობის პარტიის მექვიწერეს, მაშინ პარტიის ყველა დელეგატს, მათ შორის გიულს, პარლამენტის დატოვება და პოლიტიკიდან წაღობა მოუწოდება მოუწევთ.

თურქეთის სეკულარული ელიტა და სამხედროები კარგად აცნობიერებენ, პარტიის აკრძალვის შედეგებს ევროკავშირთან ურთიერთობის კონტექსტში. ამიტომაც, სეკულარისტები ფიქრობენ, აკრძალონ პარტია, მაგრამ მის დეპუტატებს დეპუტატობა შეუნარჩუნონ. ეს პარტიის ძველსა და ახალ გვარდიას განაცალკევებს და მათ მოსადავად არჩევნებში სხვადასხვა გზებით მიიყვანს.

ისლამი და საზოგადოება

თურქეთში პოლიტიკური პარტიებისადმი დამოკიდებულება სულ უფრო ინდიფერენტული ხდება. მოსახლეობა აღარ ენდობა პარტიებს. ბოლოსაპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველმა უარი თქვა ტრადიციული ცენტრისტული პარტიების - „დედასამშობლოს“, ცქშმარტიტ გზის პარტია და მემარცხენე-დემოკრატიული პარტია, მხარდაჭერაზე და თავისი ნდობა ულტრა-მემარჯვენეს - ღირსების პარტიასა (ამომრჩეველთა 15.4%) და ეროვნული მოქმედების პარტიას (18.1%) გამოუცხადა. ამ პარტიების წარმართა შეიძლება პროტესტული ელიტორატის ფაქტორის არსებობით აიხსნას. თუმცა, ამავე არჩევნებში აჩვენა, რომ ისლამისტებზე მეტად ამომრჩეველმა მხარი ნაციონალისტურ მოწოდებებს დაუჭირა.

თურქეთში ხშირად საუბრობენ, თუ რას ნიშნავს „მუსლიმური“ პარტია. ეს სრულდებოდა არ გულისხმობს იმას, რომ პარტიის წევრები ყველაზე მორწმუნეები არიან. რელიგიურ ფაქტორებს ითვალისწინებდნენ, რომ პარტიის ცქშს პარტიის ლიდერი თანსუ ჩილერიც, რომელიც ერთ-ერთ

წინასწარჩენო კამპანიის დროს ჩადრიოაც კი გამოცხადდა, ეროვნული მოქმედების პარტია, თურქეთის პრეზიდენტი თურკუთ ოზალი. ეს და სხვა სეკულარული პოლიტიკის განმტკიცებელი პოლიტიკოსები, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ყოველთვის ცდილობდნენ მორწმუნე ამომრჩევლის ხმები მიეღოთ. ამისათვის ისინი ხელისუფლებაში ყოფნის დროს აღნიშნავდნენ რელიგიურ დღესასწაულებს, აშენებდნენ მეჩეთებს.

რამდენიმე ათწლეულია უკვე თურქეთი სეკულარული ქვეყანაა, თუმცა თურქების 35.4% თავს პირველ რიგში მუსლიმად თვლის, ხოლო 33.9% „თურქეთის მოქალაქედ“. ეკონომიკური და სოციალური კვლევების თურქული ფონდის (TESEV) გამოკითხვით, თურქების 20% შარიათის შემოღების მომხრეა, თუმცა ამავე დროს, მათი წარმოდგენა თურქულად რას ნიშნავს შარიათი უნდადგინოს. თურქეთის სეკულარული ელიტა ახსენებს, რომ ღირსების პარტიას მხარდამჭერები ძირითადად გაღარიბებულ სოფლებსა და ქალაქის ჩარუბუნებში ჰყავს. თუმცა, TESEV-ის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ეკონომიკურ სიღატაკებს, რელიგიურობასა და ღირსების პარტიას შორის ნაკლები კავშირია.

გამოკვლევებით დადგინდა: სეკულარული რესპუბლიკური წყობისა და სამოქალაქო კოდექსს, რომელიც სექსობრივ თანასწორობაზე დაფუძნებულია, მხარს უჭერს აბსოლუტური უმრავლესობა. გამოკვლევებმა გამოავლინეს, თურქების მიერ ისლამის გაგება ეფუძნება ტოლერანტობას და 91% მიიჩნევს, რომ განსხვავებული რწმენის ხალხის დაცვა სოციალური პარმონიის მიღწევისათვის უმნიშვნელოვანესია. გამოკვლევების შედეგებმა აჩვენეს, რომ თურქეთის მოსახლეობა არ არის პოლარიზებული ორ - ისლამისტებისა და სეკულარისტების ბანაკად და ეს პოლარიზაცია არ იქვევს ამ ორ განსხვავებულ ჯგუფს შორის შეუწყნარებლობას.

ისლამისტური ღირსების პარტიის დახურვის პერსპექტივები

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ღირსების პარტიის დახურვის საკითხი თურქეთის ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა. პარტიის დახურვა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს გარდაუვალს გახდის, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენას მოახდენს. მოკლევადის საპრობლემატიკო განხილვების შემთხვევაში, სამხედროების შემოღობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ისინი პოლიტიკურ ისლამს ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფრთხედ განიხილავენ. ყოველივე ამან შეიძლება ქვეყანაში მორიგი პოლიტიკური დაძაბულობა შექმნას.

პარტიის დახურვით თურქეთის პოლიტიკურ სცენაზე დიდი არეულობაა მოსალოდნელი. პოლიტიკოსები ცდილობენ ღირსების პარტიის

ბედის გადაწყვეტამდე რაიმე სერიოზული გადაწყვეტილება არ მიიღონ, რადგან პარტიის დახურვის შემთხვევაში დანიშნული საპარლამენტო არჩევნები მიუღიათ თანაგვებს რადიკალურად შეცვლის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნის პოლიტიკური პარტიებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება.

სასამართლოს მიერ პარტიის, როგორც „კეთილდღეობის პარტიის“ გაგრძელების აკრძალვის შემთხვევაში, პრაქტიკაში ღირსების პარტიის ყველა დემუტატისთვის პარლამენტის წევრის სტატუსის დაკარგვის ნიშნავს. მათ ავტომატურად 5 წლით პოლიტიკური მოღვაწეობა აკრძალვია. საპარლამენტო ადგილების 5%-ის განთავისუფლების შემთხვევაში, გამარტება არჩევნების კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტში ადგილების 5%-ის განთავისუფლებიდან სამ თვეში რიგგარეშე არჩევნები უნდა გაიმართოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული მოსაზრება გააჩნია თურქეთის ამჟამინდელი კონსტიტუციის მთავრობის წევრ მემარცხენე-დემოკრატიულ და ეროვნული მოქმედების პარტიას. ისინი რიგგარეშე არჩევნებს, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე სიფრთხილით ეკიდებიან. ისინი მიიჩნევენ, რომ ამჟამურ შემთხვევაში უმჯობესი იქნება ვადამდელი არჩევნების დანიშნვა, ვიდრე რიგგარეშე. მათი მოსაზრებები ეყრდნობა კონსტიტუციის მიერ განსაზღვრულ ნორმებს, რომელიც პარლამენტში მოხვედრისათვის რიგგარეშე არჩევნების დროს 10%-იანი ბარიერის გადალახვას არ ითხოვს. რაც რეალურაში ნიშნავს იმას, რომ სახალხო დემოკრატიული პარტია, რომელიც თურქეთში მცხოვრები ქურთების პარტიაა, პარლამენტში 40-მდე ადგილის დაკავება შეძლებს. ამის გამო, მემარცხენე-დემოკრატიული და ეროვნული მოქმედების პარტია უპირატესობას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ანიჭებენ. ამ შემთხვევაში, თითქმის გამორიცხულია პროქურთული პარტიის მიერ 10%-იანი ბარიერის გადალახვა.

თუკი კონსტიტუციური სასამართლო ღირსების პარტიას აკრძალავს „ანტისეკულარული ქმედებისათვის“, მაშინ პარლამენტის წევრის სტატუსს პარტიის მაქსიმუმ 10-მდე წევრს ჩამოართმევენ, რომლებმაც თავისი ქმედებით და დღისითიებებით პარტიის დახურვას ხელი შეუწყვეს. პარლამენტში დღისათვის რამდენიმე ადგილი არის თავისუფალი. კონსტიტუციის მიხედვით, რიგგარეშე არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელია პარლამენტში 23 ადგილი იყოს თავისუფალი. რეალურად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილების შემთხვევაში, 23 ადგილზე მეტი განთავისუფლდეს.

ღირსების პარტიის დახურვა უკავშირდება ერთ მეტად მნიშვნელოვან პროექტს. ვადამდელი

არჩევნები თავის უარყოფით გავლენას მოახდენს 36 თვიან ანტიინფლაციურ პროგრამაზე, რომლის განხორციელებაც 2000 წელს დაიწყო. ეს, სავარაუდოდ, უმოქმედოდ დატოვებს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან გაფორმებულ შეთანხმებას. პროგრამის კრახის შემთხვევაში კი, ინფლაცია გაიზრდება, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებაზე ადვილად იმოქმედებს.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პარტიის აკრძალვა არც ისე ადვილი იქნება, რადგან კონსტიტუციაში მკაცრად არ არის განსაზღვრული პარტიის დახურვის საკითხი, თუკი იგი სხვა აკრძალული პარტიის გაგრძელებაა. ასევე არ იქნება დამარტუნებული პარტიის ანტისეკულარული ქმედებებისთვის აკრძალვა, რადგან ღირსების პარტია მხოლოდ ექვსი თვის დაარსებიდან იყო, რადგანც მის წინააღმდეგ ამ ბრალდებით სასამართლო პროცესი დაიწყო. ანტისეკულარული ქმედებები პარტიაში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული და მას ხშირი ხასიათი უნდა ჰქონოდა. ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ღირსების პარტიის დახურვისთვის არასაკმარისი მტკიცებულებებია.

ამავე დროს, პოლიტიკოსები შიშობენ, რომ თუ ღირსების პარტია არ აიკრძალება, მაშინ პოლიტიკური დაძაბულობა წარმოიქმნება. ამ დაძაბულობაში ვადამდელი პროცესი სამხედროებს მიენიჭებათ, რომლებიც პოლიტიკურ ისლამთან ბრძოლას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ. თუკი ღირსების პარტიას არ აკრძალვენ, ამან შეიძლება სამხედროებს პოლიტიკაში ჩარევისაკენც უბიძგოს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ღირსების პარტიის დახურვის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება შეიძლება ისლამისტების პოზიციებზე გაამყაროს და მათი მოთხოვნები წახალისოს. ისინი უფრო მკაცრ პოზიციას დაიკავენ ჩადრის საკითხში, რელიგიური განათლების საკითხში. ამ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ სამხედროების გავლენა მთავრობასა და პარლამენტის საქმიანობაზე გაიზრდება. რაც პოლიტიკური წრეების განცხადებით დემოკრატიზაციის პროცესსა და თურქეთის ეკონომიკის კავშირში განვითარებაზე უარყოფით გავლენას მოახდენს.

ღირსების პარტიის აკრძალვის შედეგად დანიშნული ვადამდელი არჩევნებით კოალიციური მთავრობის სიმყარეს გარდაუვალი საფრთხე დაემუქრება და არჩევნებამდე შეიძლება სამთავრობო კრიზისიც გამოიწვიოს.

პარტიის აკრძალვის შემთხვევაში თურქეთში პოლიტიკური ისლამის მოძრაობაში განხეთქილებასა და სულ მცირე ორი ახალი პრორელიგიური პარტიის წარმოქმნას წინასწარ მტკიცებულებენ. ეს განხეთქილება პოლიტიკურ ისლამს პოლიტიკურ ასპარეზზე უფრო ნაკლებდს საშუალებას. მათ ერთმანეთს შორის რელიგიურად განწყობილი ამომრჩევლების მოსა-

პოვნებად უფრო მოუწევთ ბრძოლა, ვიდრე სხვა მოწინააღმდეგე პარტიებთან. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, პოლიტიკური ისლამი თავის გავლენას დაკარგავს, რაც ისლამისტებს აიძულებს გადარჩენისთვის იბრძოლონ და თურქეთში არსებულ რეალურად შეეცადონ.

ღირსების პარტიის ლიდერი რეჯაი ქუთანი, იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ პარტიის 10 წევრს აკრძალვია პოლიტიკური მოღვაწეობა, ღირსების პარტიის დანარჩენი დემუტატების მხრიდან პარლამენტის დატოვებით იმუქრება. ეს კი ვადამდელი არჩევნების ჩატარებას გამოიწვევს. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტორი, დემუტატთა გადაადგომა მას შემდეგ გახდება იურიდიულად შესაძლებელი, რაც მას პარლამენტის უმრავლესობა დაამტკიცებს. პარლამენტში უმრავლესობა კი კოალიციური მთავრობის პარტიების ფლობენ. წარსულში დემუტატთა მხრიდან არაერთი გადაადგომა საპარლამენტო უმრავლესობის პოზიციის გამო უშედეგოდ დასრულდა. თუკი ღირსების პარტია მთელი შენაღებლობით გადადგება, ეს უშუალოდ პოლიტიკური მიზეზების გამო იქნება.

არის კიდევ ერთი ვარიანტიც: საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია განელოს პროცესი და გარკვეული ხნის განმავლობაში რაიმე გადაწყვეტილება არ მიიღოს. რეალურად საკონსტიტუციო სასამართლო უკვე მრამდენად საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას თავს არიდებს. ამ გადაწყვეტილებაზე მოქმედებს თურქეთის პრეზიდენტის პოზიციაც, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიული ნორმების დაცვას უკავშირდება. ამავე ნდევდით სეზერი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე იყო, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა და მისთვის აკრძალვის პირობები უზენაესი პრინციპია. არის მოსაზრება, რომ სეზერი ღირსების პარტიის აკრძალვას მხარს არ უჭერს, რადგან მას მსგავსი ქმედება ანტიდემოკრატიულად მიაჩნია. დღეისათვის არ ჩანს იმის თერაპეტიკა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო პარტიას უახლოეს პერიოდში აკრძალავს. დროის განვლვაში კი შეიძლება ვითარება რადიკალურად შეცვალოს. თურქეთისთვის ცნობილია ევროკავშირის პოზიციაც, რომელიც პარტიების აკრძალვის საკითხში ნეგატიურ პოზიციას იკავებს. თავად თურქეთის პოლიტიკური ელიტაც მერყეობს. გარდა ამისა, გაეროზე ფაქტორებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს თურქეთში პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

ქალის ჩადრი - პოლიტიკური სკანდალის მიზეზი

სეკულარისტებსა და ისლამისტებს შორის კიდევ ერთი დაპირისპირების მიზეზი თურქეთში სახელმწიფო დანესებულებებში შესვლაზე

არსებული ჩაცმის ნორმის დარღვევა გახდა, რაც დიდ პოლიტიკურ სკანდალში გადაიზარდა. ყველაფერი 1999 წლის აპრილის საპარლამენტო არჩევნებში მოჰყვა. ამავე წლის 2 მაისს ისლამური ლიონების პარტიის წევრი, მერვე ქაეაქჩი (უნდა აღინიშნოს, რომ იგი ქართული წარმოშობისაა) თურქეთის პარლამენტის შენობაში ჩადრით გამოქცადა.

ამ დღიდან მოყოლებული ქაეაქჩი თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში „ნომერ პირველი ფიგურა“ გახდა. პოლიტიკოსები და განსაკუთრებით სამხედროები ქაეაქჩის ქვეით აღშფოთებულნი დარჩნენ. სეკულარისტული დემოკრატები მას ყვირილით შეეგებნენ და პარლამენტის დატოვება აიძულეს. სეკულარისტებმა მსგავსი ფაქტი მორიგი ანტიისლამური ღონისძიებების გატარების დაწყების აუცილებლობად მიიჩნიეს.

15 მაისს პრეზიდენტმა სულიეიმან დემირელმა მთავრობის დადგინება დაამტკიცა, რომლებიც ქაეაქჩის თურქეთის მოქალაქეობა ჩამოერთვა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ქაეაქჩი, რომელიც დეკორირებული იყო იორდანიული წარმოშობის ამერიკელზე, მაგრამ იმჟამად განქორწინებული იყო, აშშ-ის მოქალაქეობა პარლამენტში მისი კანდიდატად დასახელებიდან რამდენიმე დღით ადრე მიიღო. თურქეთის მთავრობა ნებას აძლევს თავის მოქალაქეებს სხვა პასპორტი იქონიონ, მაგრამ მათ ამის შესახებ მთავრობას უნდა აცნობონ, რაც ქაეაქჩიმ არ გააკეთა.

თურქულმა მასმედიაში ქაეაქჩი პალესტინურ ტერორისტულ ჯგუფ „ჰამასთან“ და ლიბიის ლიდერ კადაფისთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა. პრეზიდენტმა დემირელმა მას „ჯაშუში პრეოკავტორი“ უწოდა, რომელიც უცხო ქვეყნისთვის მუშაობს. ქაეაქჩის ინტერესების დაცვას ისლამისტები შეეცადნენ და ჩადრის ტარება მის დემოკრატიულ უფლებად წარმოადგინეს.

სეკულარისტება და ისლამიზმის შორის მორიგი ბრძოლა დაიწყო. პრემიერ-მინისტრმა ბულენთ ეჯევითმა განაცხადა, რომ თუ ქაეაქჩი ჩადრს მოიხდია, პარლამენტის ახლადარჩეული დეპუტატები მას დეპუტატის მოვალეობის შესრულების უფლებას მაინც არ მისცემდნენ. ისლამისტების ლიდერმა რეჯაი ქუთანმა ქაეაქჩის წინააღმდეგ წაყენებულ წრადებებს „პოლიტიკური ლინჩი“ უწოდა, რაც მისი თქმით, „თურქული დემოკრატიისთვის დიდი დარტყმა იყო“. თურქეთის ხელისუფლებამ ქაეაქჩის მოქალაქეობა ჩამოართვა, რასაც მის მიერ დეპუტატის ადგილის დაკარგვაც მოჰყვა.

ზოგიერთი ისლამისტის განცხადებით, ქაეაქჩის ქმედება ისლამური მოძრაობისათვის არასასურველი ფაქტი იყო. რადგან ქვეყნის შიდა პოლიტიკაში სამხედროების დიდი გავლენის გამო, ისლამისტების წინააღმდეგ წერილობრივ კი სეკულარისტების ხელში პოლიტიკური ისლამის წინააღმდეგ იარაღად იქცევა. ეს დადასტურა

ისლამისტების წინააღმდეგ ცნობილი მებრძოლის, პროკურორ ვურალ სავაშის ნაბიჯმაც. მან ამ ფაქტის შემდეგ არა ღირსების პარტიის დახურვა, არამედ პარტიის 110-ზე ახლადარჩეული დეპუტატის პარლამენტიდან გაძევება და პოლიტიკიდან მათი ხელშეწყობის ჩამოშორება მოითხოვა.

უფრო მოგვიანებით ქაეაქჩი კიდევ ერთხელ გახდა სკანდალის მიზეზი. ანკარას სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს მთავარი პროკურორი ქაეაქჩის ლამით სახლში დაადგა და მისი აყვანა განიზრახა. ისლამისტთა მომხრეებმა პროკურორის გვეგების ჩაშლა მოახერხეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით თვით სეკულარისტებმაც კი აღშფოთება გამოთქვეს. თურქეთის სეკულარისტება იუსტიციის მინისტრმა, პიქეთ სამი თიურქმა პროკურორის „ლამის ვიზიტის“ შესწავლისათვის გამოძიების დაწყების ბრძანება გასცა. პროკურორის საქციელი არ მოინდოა პრეზიდენტმა სულიეიმან დემირელმა და პრემიერ-მინისტრმა ბულენთ ეჯევითმა.

ქაეაქჩის ჩადრის ისტორია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სეკულარისტები ისლამიზმის გამოვლენის ნებისმიერი ფაქტის დროზევე დასამართლად ცდილობენ. რადგან იგი სერიოზულ ანტისეკულარულ ქმედებებში არ გადაიზარდა, რომლის გაკონტროლებაც შემდეგ შეიძლება გაჭირდეს. სეკულარისტები ექტობრს, რომ ისლამისტები თუ სახელმწიფო დაწესებულებებში ჩადრით სიარულის ნებართვას მიაღწევენ, შემდგომში ისინი გაცილებით მეტს მოითხოვენ. ისლამისტების არგუმენტი, რომ ადამიანმა თვითონ უნდა გადასწყვიტოს თუ რა ჩიცვას, სეკულარისტებისათვის არადაამაჯერებლად ჟღერს. სეკულარისტები ჩადრში მხოლოდ თავისუფლად ჩაცმის უფლებას არ გულისხმობენ. ერთი შეხედვით უბრალო საკითხში, ისინი ისლამისტთა ფარულ ზრახვებს ხედავენ, რაც თურქეთში პოლიტიკური ისლამის გავრცელებას უკავშირდება.

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ იბრძვიან სეკულარისტები ისლამისტების წინააღმდეგ არის 1999 წლის აგვისტოში თურქეთში დამაგრეველი მიწისძვრის შემდეგ მოშდარი მოვლენა. თურქეთის პოლიციამ დააკავა და შემდეგ სასამართლო ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯა „ნურ ჯემათის“ სექტის ლიდერს მეჰმეთ ქუთულურს. მას ბრალი „რელიგიური სიძულვილის გავლენებში“ დასდეს. ქუთულურსის განცხადებით, მიწისძვრა ანკარას სეკულარული პოლიტიკის გამო თურქეთის წინააღმდეგ ღერძის შურიძვრა იყო. ქუთულურსის ჯგუფმა გაავრცელა ბროშურები, სადაც სკოლებსა და საზოგადოებრივ ადგილებში ჩადრების ტარება ამკრძალავს კანონების მიღებისათვის მიწისძვრა „ღვთიურ სასჯელად“ არის მიჩნეული. ბროშურა 1999 წლის ოქტომბერში სტამბოლის მეჩეთში გავრცელდა.

მიწისძვრისა და „ღვთიური სასჯელის“ თემა ამით არ დამთავრებულა. მიწისძვრის შემდეგ თურქეთის სეკულარულმა პრესამ პარლამენტის პროისლამისტური წევრების წინააღმდეგ საყოველთაო შეტევა წამოიწყო. 26 აგვისტოს ისლამისტმა დეპუტატებმა 17 აგვისტოს მიწისძვრა სამხედროებისათვის, რომლებიც არა მარტო ავიანროვნად ჭეშმარიტ მუსლიმებს, არამედ „ისრაელის წარმომადგენლებს მასპინძლობენ“ და მათ გოლჯუქის საზღვაო ბაზაზე მიღებებისას ალკოჰოლურ სასმელებითაც უმასპინძლებიან, „ღვთიურ სასჯელს“ მიიჩნიეს.

მასმედიაში ფუნდამენტალისტებზე მორიგი „ნადირობა“ მას შემდეგ დაიწყო, რაც გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა პუსენი ქივრიქოლუმ ზოგიერთი განუთის რედაქტორი თავისთან მიიწვია და მათ საშუალო ღონისძიებებთან დაკავშირებით სამხედროების პოზიცია განუმარტა. ქივრიქოლუმ უკმაყოფილო იყო იმ უყურადღებობით, რაც მასმედიაში მიწისძვრის შემდეგ სამხედროების მიერ განხორციელებულ რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამოიჩინა. ზოგიერთი უცხოელი ჟურნალისტის რეპორტაჟში კი, გენერალმა „პროსესურების დროს და ფუნდამენტალისტური პრესისათვის დამახასიათებელი“ ნიშნები შეამჩნია.

ქივრიქოლუმ განუთის რედაქტორებს ღიად განუცხადა, რომ შეიარაღებული ძალები ქვეყნის სეკულარული სისტემის დაცვას კლავს გააგრძელებენ. მისი თქმით, ისინი ისლამური ფუნდამენტალისტების წინააღმდეგ „კიდევ ათასი წელი იბრძვიან, თუ კი საჭირო გახდება“. ქივრიქოლუმ პარლამენტს პოლიტიკური ისლამის წინააღმდეგ მკაცრი კანონების შემოღებისაკენ მოუწოდა. ამას პრემიერ-მინისტრის ბულენთ ეჯევითის სწრაფი რეაქცია მოჰყვა. პრემიერმა პარლამენტის განახლებულ სესიებზე „ანტი-ფუნდამენტალისტური კანონების“ მიღებაზე განაცხადა.

საყურადღებოა, რომ ქივრიქოლუმ მსგავსი გაფრთხილებები მას შემდეგ გააკეთა, რაც სულ რაღაც ერთი თვის წინათ პარლამენტმა ისეთი კანონი მიიღო, რომელმაც პროისლამისტური ღირსების პარტია დახურვა გადამიჩინა და ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნეჯმეთ ერბაქანს პოლიტიკაში დაბრუნების შესაძლებლობა მისცა.

რელიგიური ორდენები

თურქეთში ხელისუფლების პოლიტიკა ყოველთვის ხასიათდებოდა რელიგიური და ეთნიკური საფრთხის არსებობის მანიპულაციით. ხელისუფლებას მტრის სახით ყოველთვის ჰყავდა ისლამისტები და ქურთები, რომლის წინააღმდეგაც პერმანენტულად იბრძოდა. ქმალისტური იდეები ბოლო წლების განმავლობაში შესუსტდა და ბევრი მის გადახედვას და ახალ დროებასთან შეგუების აუცილებლობაზე საუბრობს. ამ ფონზე იქნება ახალი მოძღვრებები, რომლებსაც თურ-

ქეთში ისლამს უკავშირებენ. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური მოძღვრება ნურჯიზმია. ამ რელიგიურმა მოძღვრებამ სახელი მისი დამაარსებლის, საიდ ნურის (1876-1960) სახელიდან მიიღო. იგი ეთნიკური ქურთია. ნურსი ამტკიცებდა, რომ დემოკრატია და ისლამი არ არიან ურთიერთდაპირისპირებულნი და იგი მიიჩნევდა, რომ დემოკრატია და თავისუფლება ისლამური საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი იყო.

ნურსის მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი მდგომარეობდა იმაში, რომ რელიგიასა და მეცნიერებას შორის არ არის დაპირისპირება. ნურსის მოძღვრება გავრცელდა მთელ თურქეთში, რომელსაც დღეს 2-დან 6 მილიონამდე მიმდევარი ჰყავს. 1970-იან წლებში ნურჯიზმის მოძრაობამ ფრაგმენტაცია განიცადა. ამ ფრაგმენტაციისგან განიხილა ყველაზე ძლიერი ჯგუფი ფეთჰულა გიულენის, ხოვად ნოდებულის, ხელმძღვანელობით შეიქმნა. გიულენი თურქეთში ახალი „ისლამის“ მშენებლობის მომხრედ გამოდიოდა, სადაც საბაზრო ეკონომიკა და ოსმალური მემკვიდრეობა ერთმანეთს შეერწყმოდა. თავის იდეების პოპულარიზაციისთვის გიულენი ქვეყნის ცნობილ პოლიტიკოსებთან ხშირ შეხვედრებს მართავდა.

ნურჯისტული მოძრაობა უფრო ტოლერანტულია, უფრო თანამედროვე და საბაზრო ეკონომიკის მომხრე, ვიდრე სხვა ისლამური ჯგუფები, ღირსების პარტიის ჩათვლით. გიულენის ორდენი არ ესწრაფვის მუსტაფა ქემალ ათათურქის მემკვიდრეობას ბოლო მოუღოს. მისი ნაციონალიზმი არ ეფუძნება განსხვავებას ეროვნებაში. გიულენისათვის არ არის განსხვავება ბოსნიელსა და ყაზახს შორის. მისთვის თვითშეგნების განსაზღვრისათვის ძირითადი კრიტერიუმი საერთო ოსმალურ-ისლამური წარსულია. მიუხედავად იმისა, რომ არაბები და ირანელები მუსლიმები არიან, მათ მიმართ გიულენი ყოველთვის აგრესიული იყო. არაბებს იგი ოსმალთა იმპერიის მტრებთან თანამშრომლობასა და ისლამის ნეგატიური იმიჯის შექმნაში ადანაშაულებს. გიულენის სკოლებიც ძირითადად მკაცრეთში და ცენტრალურ აზიაშია და ძალიან ბევრ არაბულ სამყაროში.

საბაზრო ეკონომიკამ და დემოკრატიზაციამ საზოგადოებრივი სფეროს უზრუნველყო ისლამიზაცია მოახდინა. ისლამური ფონდები, ასოციაციები და საგამომცემლო სახლები მუსლიმებს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო მეტი მონაწილეობისაკენ მოუწოდებს.

გიულენის საზოგადოებას ეკუთვნის მდიდარი ბიზნეს-ქსელი და მასმედიის იმპერია. ჯგუფს სხვადასხვა მიმართულების ჟურნალები, გაზეთები, ტელევიზია და რადიო ეკუთვნის. მასმედიის გარდა, ჯგუფი კონტროლებს ერთ-ერთ ყველაზე მზარდ ფინანსურ ინსტიტუტს, „აზია ფინანს“,

რომელიც მილიარდობით დოლარის კაპიტალს აკონტროლებს. გიულენის ჯგუფს ასევე ეკუთვნის უნივერსიტეტები, კოლეჯები, უმაღლესი და ზაფხულის სკოლები.

გიულენის სკოლებში სტუდენტები საუკეთესო განათლებას იღებენ, უკეთეს ვიდრე სახელმწიფო სკოლებში.

გიულენის მიერ ისლამის ხედვა დისციპლინასა და დიალოგს ეფუძნება. ისლამის ჰუმანიტარული ინტერპრეტაციის მხარდასაჭერად, გიულენი დისკუსიებსა და ტოლერანტობას მიმართავს. იგი შეხვდა სტამბოლის პატრიარქს, ბართოლომეოს. რელიგიებს შორის დიალოგისთვის გიულენი ბევრ ქრისტიან და ებრაელ ლიდერსაც შეხვდა. აღსანიშნავია მისი ვიზიტი რომის პაპთან.

გიულენის კონცეფციებში ისლამი თურქულ ნაციონალიზმსა და ისლამურ კულტურას ექვემდებარება. ამ საკითხთან დაკავშირებით ანტიბული პრობლემების განსახილველად მან ბევრი ცნობილი ინტელექტუალი შეკრიბა, რომლებსაც სეკულარიზმის ახალ ეტაპზე გადასვლის საკითხები უნდა განეხილათ.

გიულენმა ასევე სცადა თურქეთში სეკულარიზმისა და რელიგიის დამოკიდებულების საკითხი 1998 წლის ივლისში გამოქვეყნებულ დეკლარაციაში გამოეხატა. დეკლარაციის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო საზოგადოების რწმენის საკითხში ნეიტრალური უნდა იყოს. გიულენს ჩადრის საკითხი რწმენის საკითხად არ მიიჩნია, არამედ მას ისლამის კულტურულ გატაცებზე უკავშირებს, რაც ყველა თავისი რწმენით უნდა გადაწყვიტოს.

სქესთა თანასწორობის საკითხში გიულენის მოსაზრებები ურთიერთსაპირისპიროა. იგი თავის განცხადებებში მხარს უჭერს ქალების აქტიურ როლს, თუმცა რეალურად მის უზარმაზარ ბიზნეს-ქსელში არცერთი ქალი მაღალ თანამდებობაზე არ მუშაობს.

ღირსების პარტიის პოლიტიკურ ისლამსა და კონფლიქტის სოციალ-კულტურული ისლამ შორის ერთგვარად ნაყარო თურქეთის მომავალ განვითარებაზე მათ განსხვავებულ ხედვაშია. გიულენის ორდენმა შეიძლება მხარი დაუჭიროოს ნებისმიერს, მაგრამ არა ღირსების პარტიას. გიულენის ორდენის მასხასიათებლად სიფრთხილესა და საკუთარი ამოცანების რეალიზებაში მოთმობებს ასახელებენ.

თურქმა სამხედროებმა, როდესაც გადაწყვიტეს სოციალური და კულტურული ისლამის ყველა ნაყარო აეკრძალათ და ამით ისლამისტი ფუნდამენტალისტების ხელისუფლებაში მოსვლა შეერყინებინათ, მათ აკრძალეს „კეთილდღეობის პარტია“, იმამ ჰათიფის სკოლები, აკრძალეს ახალი მეჩეთების მშენებლობა და შეეცადნენ გაეღამებინათ გიულენის ორდენის წინააღმდეგაც. თუმცა, აქ უკვე ექსპრეზენტმა სულეიმან დემირალემ და პრემიერ-მინისტრმა ბულენთ ეჯევიტმა გიულენის საქმიანობა დაიცვეს, რადგან ისინი გიულენის

ჯგუფს პოლიტიკური ისლამის წინააღმდეგო ჯგუფად განიხილავენ. როდესაც ხელისუფლება „კეთილდღეობის პარტიის“ პოლიტიკური ისლამის კონტრბალანს ეძებდა, გიულენმა მთავრობასთან ალიანსი არ იუკადრისა. გიულენი თურქული ისლამური მოძრაობის პლურაზიციასა და მოდერნიზაციას წარმოადგენს. გიულენის განცხადებით, ისლამი ერის რელიგიას და იგი არ შეიძლება ერთი პარტიის თვითგამორკვევას უკავშირდებოდეს.

რადიკალური ისლამური დაჯგუფებები

თურქეთში პოლიტიკურ ისლამზე საუბრისას ხშირად ხსენებენ რადიკალურ ისლამურ ჯგუფებს, რომლებიც არსებული რეჟიმის წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძვიან. ამ მხრე გამოირჩევა „ჰეზბოლას“ დაჯგუფება, რომელსაც განსაკუთრებული პოპულარობა შარშან დანაშაულებამ მოვეცივებამოუპოვა.

2000 წელი თურქეთში უდიდესი სკანდალი დაიწყო, რომელიც უშუალოდ ისლამისტურ რადიკალურ დაჯგუფება „ჰეზბოლას“ უკავშირდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ჰეზბოლას“ ჯგუფის წინააღმდეგ განახორციელა მასშტაბური ოპერაცია, რასაც მისი წევრების დაპატიმრება მოჰყვა. ჯგუფი განსაკუთრებით აქტიური სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში იყო, სადაც მათ 1980-იანი წლებიდან დაიწყეს მოღვაწეობა და მიზნად ისლამური ქართული სახელმწიფოს შექმნას ისახავენ. 1990-იან წლებში მათ აშკარა ბროლი დაიწყეს ქურთისტანის მუშათა პარტიის ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელიც თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვის. გაეროცვლებული მოსახრებით, „ჰეზბოლას“ დაჯგუფებას ხელისუფლება ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ აქეზებდა და მათ მხარსაც უჭერდა. მსგავსი ბრალდებები გაისმა ღირსების პარტიის მხრიდანაც, რომელმაც ხელისუფლება ისლამური ტერორისტული დაჯგუფების საქმიანობის ხელშეწყობაში დაადაწნაშაულა.

„ჰეზბოლას“ სახელის გამოჩენასა და დემოლოგობით მოცულ მკვლელობებს დაუკავშირდა. 90-იან წლებიდან მოყოლებული, ტერორისტულმა ჯგუფმა 1.500-3.000 ადამიანის სიცოცხლე შეინარა. პოლიციამ ოპერაციის დროს აღმოაჩინა, რომ „ჰეზბოლა“ აქტიურად იყენებდა მთავარი რელიგიური სექტების სახელებს. ბოლოს ტერორისტული ორგანიზაცია მაშინ დააკავს, როდესაც ისინი რელიგიური სექტის, „მენჯლის“ სახელს იყენებდნენ.

მენჯლის ნაქმიანების რელიგიური სექტის ცენტრია, რომელსაც თურქეთში 2 მილიონამდე მიმდევარი ჰყავს. მილიონობით ადამიანი სტუმრობს სექტის ლიდერებს, რომლებიც წლების განმავლობაში ამ პროვინციულ ცენტრში საქმიანობდნენ. ცნობილია, რომ სექტის წევრები არიან საკმაოდ მაღალი ჩინის მთავრობის წევრები,

მათ შორის იყო თურქეთის ყოფილი პრეზიდენტი თურკუთ ოზალი.

„ჰეზბოლას“ მიერ რელიგიური სექტების სახელის გამოყენებამ შეაშფოთა თავად სექტის ლიდერები, რომლებმაც უშიშროების ძალებთან დაუყოვნებლივ თანამშრომლობა დაიწყეს. ნაქმიანების სექტამ თვითონვე მიმართა თვითგანმანდის ღონისძიებებს და „ჰეზბოლასთან“ თანამშრომლობაში ეჭვმიტანილები ხელისუფლებას გადასცა. ამით სეკულარულმა სექტამ აჩვენა, რომ ისინი რადიკალურ ისლამურ ჯგუფებს არ მფარველობენ.

„ჰეზბოლას“ და რადიკალური ისლამური ორგანიზაციების სახელს თურქეთის სეკულარული ელიტა ხშირად ირანს უკავშირებს. ამის შესახებ მასმალა საუბრობენ თურქი პოლიტიკოსები. მათმა არაერთმა მწვავე განცხადებით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დროებითი დაძაბვაც გამოიწვია. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ თურქი სამხედროები, რომლებმაც ირანს ბრალი ისლამური რეჟიმის თურქეთში ექსპორტში დასდეს.

თურქეთის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, რადიკალური ისლამური ჯგუფის ზოგიერთი ლიდერი ირანში გადიოდა წვრთნას. მათ შორის იყო თურქეთში „ჰეზბოლას“ ლიდერი, უსეინი ველიოღლუ, რომელიც პოლიციის ერთ-ერთი რიდის დროს, შეტაკებისას სტამბოლში მოკლეს. იგი 1980 წელს დაიწყო ისლამისტური ეროვნული ხსნის პარტიის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მუშაობა. მოგვიანებით იგი ანკარას უნივერსიტეტში ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. ამის შემდეგ მან საქმედო დიდი პერიოდი ირანში დაჰყო, სადაც სამხედრო წვრთნებს გადიოდა. ველიოღლუ თავისი გეგმების მისაღწევად მუსლიმებს იყენებდა. „ჰეზბოლას“ მიერ გატაცებული და მოკლული ადამიანების უმრავლესობა მუსლიმი იყო.

„ჰეზბოლას“ მფარველობაში ირანის დადანიშნულ სექტს სამხედროებსა და პოლიტიკოსებს მხარი მასმედიაშიც აუბა, რომელმაც 2000 წლის ზაფხულში ირანს ბრალი 1990-იან წლებში ცნობილი თურქი სეკულარისტების მკვლელობის ორგანიზებაში დასდო. თურქეთის პოლიციამ „ოპერაცია იმედა“ წოდებული გამოძიების პროცესში ირანთან კავშირში შემჩნეული პირებიც დააკავა. მასმედის მიერ მხარდაჭერილი ანტიისლამისტური კამპანიის მიუხედავად, თურქეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო ირანის ბრალდების დასამტკიცებლად მკლერი არგუმენტები მოეყვანა. მოგვიანებით ანტიირანული კამპანია აშკარა ფაქტების სიმწიფის გამო შეწყვეტიდა. თუმცა, ანკარაში ეჭვი არ ეპარებათ, რომ თურქეთში მოღვაწე რადიკალური ისლამური ჯგუფები ირანის მმართველი წრებიდან სერიოზულ დახმარებას იღებენ.

მიმდინარე მოვლენები თურქეთის პოლიტიკური ისლამის მოქარაგაში

ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო ისლამისტების სარჩელს განიხილავს

16 იანვარს ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ აკრძალული „კეთილდღეობის პარტიისგან“ სარჩელი მიიღო. საკითხთან დაკავშირებით სასამართლო გადამწყვეტილებას უახლოესი სამი თვის განმავლობაში მიიღებს. „კეთილდღეობის პარტიის“ ინტერესებს ფრანგი ადვოკატი დაიცავს. სასამართლოს დაესწრო პარტიის ყოფილი წევრი და ყოფილი იუსტიციის მინისტრი სვეტიტ ქაზანიცი.

თურქეთის მთავრობის ადვოკატის განცხადებით, სეკულარიზმი დემოკრატიული სისტემის განუყოფელი ელემენტია, „კეთილდღეობის პარტია“ კი ისლამური კანონების პრომოტების მოთხოვნებით კონსტიტუციას არღვევდა. აკრძალული პარტიის ადვოკატის განცხადებით, დემოკრატიულ სისტემაში პარტია არ შეიძლება დასჯონ და ასევე „კეთილდღეობის პარტია“ ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვიდა. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში თურქეთში 10 პოლიტიკური პარტია დახურულა. ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ თურქეთი პარტიების დახურვის გამო სამჯერ დაადაწნაშაულა. ადვოკატმა სასამართლო პროცესზე უარყო, რომ „კეთილდღეობის პარტია“ ქვეყანაში ისლამური კანონების დამყარება და რელიგიური დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნა სურს. აკრძალული პარტიის ადვოკატის აზრით, „კეთილდღეობის პარტია“ არ არღვევდა სეკულარიზმის ნორმებს, არამედ მას განსხვავებულად აღიქვამდა.

მთავრობის ადვოკატმა მოსარჩელე მხარის წინააღმდეგოდ განაცხადა, რომ „კეთილდღეობის პარტია“ არ დაუხურავთ პარტიის პროგრამის გამო, არამედ პარტიის მალაქინიზაციის მიერ გაკეთებული განცხადებებისა და ქმედებების გამო, რომელიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციის დამრღვევთა მალაქინის თანამდებობაზე. ისინი პარტიის უმაღლესი რანგის ჩიროსტები იყვნენ და არა უბრალო წევრები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აკრძალული „კეთილდღეობის პარტიის“ განაცხადი 1999 წლის 3 ოქტომბერს მიიღო. სასამართლომ პარტიის სარჩელის ევროპის ადამიანის უფლებათა შეთანხმების მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისობაში განიხილვა გადამწყვეტი. მე-9 მუხლი პოლიტიკური პარტიის ორგანიზებასა და დოქტრინის უფლებას ეხება, მე-10 და მე-11 კი რწმენისა და აზრის თავისუფლებას. სასამართლომ უარი თქვა კეთილდღეობის პარტიის განაცხადი მიეღო მე-9 მუხლზე, რომელიც

სამართლიანი გასამართლების უფლებას ეხება.

ისლამისტები შესაძლოა კორუფციის სკანდალში გაეხვიონ

ისლამისტთა მოძრაობაში მიმდინარე განხეთქილების პროცესს ახალი მოვლენა დაემატა, რომელიც შეიძლება გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე ღირსების პარტიის დახურვა. 2001 წლის დასაწყისში დღის წესრიგში დადგა „დაკარგული ტრილიონი ლირის“ ბედი. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „კეთილდღეობის პარტიის“ აკრძალვის შემდეგ, ხელისუფლებამ პარტიისგან იმ დახმარების აღკვეთა მოითხოვა, რომელიც ისლამისტთა პარტიამ ხაზინისაგან მიიღო. აღმოჩნდა, რომ ამ თანხიდან ერთი ტრილიონი დაეკარგა. ამის შედეგად პროკურორმა „კეთილდღეობის პარტიის“ წინააღმდეგ პროცესი წამოიწყო. პროცესი ბოლო სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

სასამართლო თუ დადგენს, რომ პარტიის ოფიციალური პირები, ლიდერ ნეჯმეთინ ერბაქანის ჩათვლით, დამნაშავენი არიან, მათ ბრალად „უკანონო ქმედებებს“ ჩადება დაედებათ. ერბაქანი ამ საკითხთან დაკავშირებით თავის იურიდიულ მრჩეველებს თვეების განმავლობაში ხვდებოდა და თავის შემუფთებას გამოთქვამდა. დაკარგული ტრილიონი უშუალო კავშირშია ისლამისტურ მოძრაობაში ტრადიციონალისტების და რევოლუციონერებს შორის მიმდინარე ბრძოლასთან. ფული მაშინ გაუჩინარდა, როდესაც „კეთილდღეობის პარტია“ თავის არსებობის ბოლო დღეებს ითვლიდა. ამ პერიოდში კი პარტიის აღმასრულებელ ორგანოებში ტრადიციონალისტები იდგნენ. დაკარგული ტრილიონის ადგილასამყარების გარკვევა ტრადიციონალისტებისათვის შეიძლება სავალალო გამოდგეს, რაც რევოლუციონერებს ახალი პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს.

ფინანსური სკანდალი „კეთილდღეობის პარტიის“ დახურვისთანავე დაიწყო. როგორც წესი, პარტიები ყოველი წლის დასაწყისში ხაზინისაგან ფინანსურ დახმარებას იღებენ. როდესაც პარტია იხურება ხაზინა დახმარების უკან დაბრუნებას ითხოვს. მოკვიანებით, როგორც აღმოჩნდა, „კეთილდღეობის პარტიისათვის“ მიცემული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი უგზოუკვლოდ დაეკარგა. პარტიის ჩინოსნებმა განაცხადეს, რომ მათ დახმარების მიღებისთანავე ფული პარტიის ფილიალებში გადაიხაზვნენ და თანხის სრული ოდენობა კანონიერად დახარჯეს. თუმცა, გამოძიებამ დაადგინა, რომ პარტიის ფილიალებს შტაბ-ბინიდან არავითარი ფინანსური დახმარება არ მიუღიათ. შედეგად პარტიის აღმასრულებლებს პარტიული ფონდების მითვისებაში ბრალი დასდეს.

სასამართლო პროცესი ანკარის კრიმინალურ სასამართლოში მიდის და საბოლოო განაჩენი შეიძლება ერბაქანისთვისაც სავალალო აღმოჩნ-

დეს. ამას დამნაშავეთა დასჯა და მათი პოლიტიკური ცხოვრებიდან კანონიერი მოკვეთა მოჰყვება.

ისლამისტთა ლიდერებისთვის დაკარგული თანხების ისტორია გაცილებით მნიშვნელოვან ფაქტად იქცა ვიდრე ღირსების პარტიის დახურვის საკითხი, იმიტომ, რომ კორუფციაში ბრალდებაში შეიძლება ისლამისტთა ლიდერების პოლიტიკურ კარიერას ბოლო მოუღოს.

ისლამისტური ღირსების პარტია 28 თებერვლის პროცესს აკრიტიკებს

28 თებერვლის პროცესად წოდებულმა მოვლენებმა თურქეთში ისლამისტურ მოძრაობებს დიდი დარტყმა მიაყენეს. ამ პროცესს უკვე პოსტ-თანამედროვე სახელმწიფო გადატრიალებად მიიჩნევენ, რადგან 28 თებერვალს ეროვნული უშიშროების კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ განვითარებული მოვლენების შედეგად სამხედროება მთავრობიდან ისლამისტების განდევნა მშვიდობიანად მოახერხეს. ამ მოვლენას უკანასკნელ პერიოდში თურქეთის პოლიტიკურ წრეებში ხშირად აკრიტიკებენ. მათ შორის ბუნებრივად არის ისლამისტური ღირსების პარტიაც, რომელიც ამ პოსტ-თანამედროვე სამხედრო გადატრიალებას თურქეთის კონსტიტუციის უხეშ დარღვევებად მიიჩნევს. ამის შესახებ, 2001 წლის 18 იანვარს ლიად განაცხადა პარტიის ლიდერმა რეჯაი ქუთანმა. მისი თქმით, მსგავსი რამ არცერთ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყანაში არ ხდება. ქუთანმა ამასთანვე განაცხადა, რომ მათ არ დაევიწყებიათ ეს პროცესი, მაგრამ მისი პოლიტიკის დღის წესრიგში დაბრუნებას არ აპირებენ. რადგან, მათ სჯერათ, რომ იგი თურქეთს არ დაუბრუნებს.

პოლიტიკური ისლამი და მისი ბაკალმი საძაბრელო

საქართველო საუკუნეების განმავლობაში გადარჩენისთვის იბრძოდა. ამ ბრძოლაში არცთუ უკანასკნელ როლს რელიგია ასრულებდა. მას შემდეგ რაც საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა და ქართველი ერი ქრისტიანობის მიმდევარი გახდა, ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს ყოველთვის უწყვედა ტერიტორიების გარდა, რელიგიაც დაეცვა, რაც ქართველობის შენარჩუნებას უაქვებრძობდა.

საქართველოს დამპყრობლები ქვეყნისა და ხალხის საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევისათვის აგრეად ხერხს მიმართავდნენ. ზოგიერთი ავტორს იმდროინდელი ხარკის გადახდას მოთხოვნიდა და რელიგიურ საკითხში ტოლერანტობას იჩენდა. თუმცა, ეს ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც საქართველოს სამხრეთით ისლამური იმპერიები გაუმეზობლდა. ეს იმპერიები მოსახლეობისგან ხარკის აღების გარდა, რელიგიის გამოცვლასაც

მოითხოვდნენ, რისთვისაც კონკრეტულ საგანმანათლებლო თუ იძულებითი ღონისძიებებს ატარებდნენ. ერის გამოუსლიმება დამპყრობელისთვის ლოიალურ დასაყრდენის გაჩენას იწვევდა. ამისთვის ეგემპოზიური პოლიტიკა წარმოებდა, რამაც საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, განსაკუთრებით სამხრეთ პროვინციებში, მოსახლეობის იძულებითი გამუსლიმება გამოიწვია.

ქართული სამეფო-სამთავროების ლიდერები ისლამის მომადიდებლებს ყოველთვის შიშით უყურებდნენ და მასში საკუთარი მომავლისათვის ყველაზე დიდ საფრთხეს ხედავდნენ. ქართული სამეფო-სამთავროების ლიდერები ისლამის შემოღების შესაჩერებლად იმუშავებდნენ ძვირფას ქრისტიანულ, მართლმადიდებლურსა თუ კათოლიკურს, სახელმწიფოებს უაჯვარიდებდნენ. ისლამის შემოტევის შიშში იმდენად დიდი იყო, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა კათოლიკოსის მიღებასაც გეგმავდა. თუმცა, მაშინდელი ქრისტიანული ევროპისათვის დაქუცმაცებული საქართველო არანაირ ინტერესს არ წარმოადგენდა.

კვაზი ქართული სახელმწიფოებისადმი ბუნებრივი ინტერესი მხოლოდ მართლმადიდებლობა რუსეთში გამოიჩინა. ქართული სახელმწიფოები რუსეთის იმპერიის გეგარტების გეგმაში შედიოდნენ. გარდა ამისა, ქართული სახელმწიფოები რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიური ხალხების დამორჩილებაში მოკავშირედ ესაჭიროებოდა. მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ურბიციების განმტკიცების შემდეგ ხანდებოდა მოხალხეობის ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმი ხალხების სამხრეთული ფრონტიდანაც შეტევა და ამით ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული გავლენის დამყარება.

ქართული სახელმწიფოების რუსეთის იმპერიული საზღვრების ფარგლებში მოქცევის შემდეგ, ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური ხალხების დამორჩილების მრავალწლიანი პროცესი წარმატებით დასრულდა. რუსეთის იმპერიაში გაერთიანებულ ქართულ სახელმწიფოებს ჩრდილოეთიდან ისლამური საფრთხე მოეხსნათ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთიდან მომავალი ისლამური საფრთხე იმდენად სერიოზული არ იყო, რომ მას ქრისტიანულ ქართულ სამეფო-სამთავროების სასიცოცხლო ინტერესებზე სერიოზულად ემოქმედა. ჩრდილოეთ კავკასია უმეტესწილად ოსმალთა იმპერიის მიერ ქართველებზე ზეწოლისათვის გამოიყენებოდა.

რუსეთის იმპერიის ფარგლებში მყოფ ქართულ სახელმწიფოებს დროებით მოეხსნათ ისლამური საფრთხე დასუსტებული ოსმალეთი და ირანი საკუთარი თავის გადარჩენისთვის იბრძოდნენ. მათ ქართულ ტერიტორიებზე გამაგრებულ რუსულ არმიასთან შებნის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ოსმალთა იმპერიისთან გამართულ რამდენიმე ომში რუსეთის იმპერია

გამარჯვებული გამოვიდა. იმპერიის საზღვრები უფრო სამხრეთით გადაინა და იგი მუსლიმი ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებამდე გავრცელდა. ოსმალთა იმპერიის სისუსტის პირობებში ქართველობისთვის ისლამი სერიოზულ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა.

ვითარება არ შეცვლილა საბჭოთა კავშირის არსებობის და ცივი ომის პერიოდში. საბჭოთა კავშირის ძლიერი სამხედრო მანქანა ისლამის საფრთხის წყაროდ არ განიხილავდა. თითქმის მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირი დასავლეთთან ბრძოლაში ისლამისტური სახელმწიფოების მოკავშირედ გამოდიოდა. გარდა ამისა, ოსმალთა იმპერიის მაგივრად მაშინდელი საქართველოს სამხრეთით სკულარული თურქეთის რესპუბლიკა ჩამოყალიბდა, სადაც პოლიტიკური ისლამის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ ტრიალურად იბრძოდნენ. ირანის მხრიდან კი, ირანში განვითარებული მოვლენების გამო, მსგავსი საფრთხე საერთოდ გაქრა.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ. საქართველოსადმი ინტერესი გაიზარდა დასავლეთის ქვეყნებში, თუმცა ამავე დროს გააქტიურდნენ ისლამური ქვეყნები და ცალკეული ისლამური მოძრაობები, რომლებიც საბჭოთა სისტემის რღვევის შედეგად წარმოქმნილი ვაკუუმის შევსებას შეეცადნენ.

ფინანსურად ძლიერი ისლამური ქვეყნებისათვის პოსტსაბჭოთა სივრცე კამპულის დაბანდებისთვის მიმზიდველი გარემო აღმოჩნდა. პოსტსაბჭოთა სივრცეში ნათლად გამოვლინდა ის სახელმწიფოები თუ ცალკეული რეგიონები, საითკენაც ისლამისტებმა მზერა მიმართეს. უპირველეს ყოვლისა აქ იგულისხმება ისლამური ჩრდილოეთ კავკასია, რუსეთის ფედერაციის ისლამური რესპუბლიკები, აზერბაიჯანი და ცენტრალური აზიის ქვეყნები.

ისლამი ექსპორტსა და ისლამურ საგანმანათლებლო კამპანიებში სხვა ქვეყნებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია თურქეთს. თურქეთის მმართველ ელიტაში ძლიერი ანტი-ისლამური განწყობილების ფონზე, თურქეთის პოლიტიკა ყოველი საბჭოთა კავშირის ისლამური სახელმწიფოების მიმართ სრულყოფილად განსხვავებულია. კერძო ფირმებისა და რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერით, თურქეთი ისლამური ქვეყნებში თავისი სრულიად განსხვავებული დრეზას ცდილობს. თურქული კამპანია და ისლამური განათლება ამ ქვეყნებში ხშირად ერთად შედის. უმეტეს შემთხვევაში კი, ისლამური სკოლები თუ ინსტიტუტები გაცილებით ადრე იქმნება. ყოველი საბჭოთა კავშირის ისლამურ რესპუბლიკებში თურქული წარმოშობის საგანმანათლებლო დაწესებულებები, ექსპერტების მიერ ამ ქვეყნებში თურქეთის გავლენის დამყარების მცდელობად განიხილება.

თურქეთის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

თურქულენოვანი ხალხების გაერთიანების იდეას ლობირებს და ამისთვის 90-იანი წლებიდან კონკრეტულ ღონისძიებებსაც ახორციელებს. სულემან დემირელის პრეზიდენტობის ბოლო ეტაპზე თურქეთის პოზიციები ცენტრალური აზიის ისლამურ სახელმწიფოებსა და აზერბაიჯანში შესუსტდა. ზოგიერთ სახელმწიფოსთან ურთიერთობა რადიკალურადაც დაიძაბა. მაგალითად, უზბეკეთმა თურქეთი რადიკალური ისლამური ჯგუფების მხარდაჭერაში დაადანაშაულა, რასაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის სერიოზული გაფუჭება მოჰყვა.

თურქეთის კოალიციური მთავრობა შინაცო-ნალისტური ეროვნული მოქმედების პარტიის მოსვლის შემდეგ თურქეთის პოლიტიკა ამ სახელმწიფოების მიმართ კვლავ გააქტიურდა. ახლად არჩეული პრეზიდენტი აჰმედ ნეჯდეთ სეზერი პირველ რიგში სწორედ ამ ისლამურ სახელმწიფოებს ესტუმრა და რეგიონში დაკარგული პოზიციების აღდგენას შეეცადა.

მთელ ამ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს. საქართველოს კარგი ურთიერთობები აქვს მეზობელ ისლამურ სახელმწიფოებთან და მათ შორის თურქეთთან. თურქეთის სეკულარული მმართველობის მიუხედავად, თურქული გავლენის გასაზრცლებლად ხშირად რელიგიაც გამოიყენება. ამ მხრივ ქრისტიანულ საქართველოში რთულია ისლამური პოლიტიკა წარმატებით განახორციელო, თუმცა თურქული სკოლები საქართველოში დღესაც არსებობს. გარკვეული წრეების მოსაზრებით, ეს საგანმანათლებლო დაწესებულებები თურქული გავლენის გასაძლიერებლად გამოიყენება. რთულია იმის თქმა, რომ დღეს თურქეთი საქართველოში ისლამური მოძრაობების მხარდაჭერას ცდილობს. ეს განსაკუთრებით ქართველი მუსლიმებთან და სხვა ეროვნების მუსლიმებთან დასახლებულ ტერიტორიებს ეხება. საქართველოში მცხოვრები მუსლიმები რადიკალიზმით არასოდეს გამოირჩეოდნენ, რაშიც ალბათ თავისი წვლილი საბჭოთა კავშირის მიერ წლების განმავლობაში გატარებული ანტირელიგიური პოლიტიკამ შეასრულა.

დღეს საქართველოს არცერთ მუსლიმებთან დასახლებულ რეგიონში არა თუ პოლიტიკური ისლამის, არამედ საერთოდ რადიკალური ისლამური საფრთხე არ არსებობს. ამ მხრივ შეიძლება გამოხატოს მხოლოდ პანკისის ხეობა იყოს, სადაც ჩეჩნური წარმოშობის ქისტები ცხოვრობენ. 1999 წლიდან აქ ჩეჩნი ლტოლვილებიც დასახლდნენ. განდა შიში იქისა, რომ ჩეჩნეთიდან რადიკალური ისლამის ექსპორტი მოხდებოდა. აქვე უნდა შევნიშოთ, რომ ჩეჩნეთში ვაჰაბიზმის მომხლარეების პერიოდში საქართველოს წინაშე ჩრდილოეთიდან არსებობდა რადიკალური ისლამის შემოსვლის საფრთხე. ჩეჩნური საბრძოლო ფორმირებების მიერ პოზიციების დათმობის შემდეგ ეს საფრთხე

მოიხსნა. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რადიკალური ისლამის ფარულმა ტალღამ საქართველოში მაინც გადმოინაცვლა.

პანკისის ხეობა არ გამოირჩევა რელიგიური რადიკალიზმით, თუმცა ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ ხეობაში ვაჰაბიზმისა და რადიკალური ისლამური მოძრაობის გაჩენის შესახებ. საქართველოს ხელისუფლება რეალურად ვერ აკონტროლებს ხეობას, სადაც ქართული ძალგანი სტრუქტურები შესვლას ვერ ახერხებენ. ვაჰაბიზმის მიმდევრები უკვე გაჩნდნენ ხეობაში და მათი რიცხვი ნელ-ნელა მატულობს. ისლამის რადიკალური ფორმის მხარდასაჭერად არაბული ისლამური ქვეყნიბიდან კაპიტალიც მოედინება. ხეობაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით რთული არ არის მოსახლეობა მატერიალურად დაინტერესო და რომელიმე რადიკალური ისლამური ჯგუფის წევრად აქციო. საქართველოს ტერიტორიაზე ისლამური საფრთხის არსებობა ერთი შეხედვით შეიძლება მივარდნიო იყოს, თუმცა არაფრის გამოჩენაც არ შეიძლება. ხეობის არცთუ ისე დიდი მოსახლეობა, რომლებსაც ახლა ლტოლვილებიც ემატება, ნებისმიერი ძლიერი სახელმწიფოსთვის საფრთხის წყარო არ უნდა იყოს, მაგრამ რადიკალური ისლამისტების გაძლიერების შემთხვევაში, იგი საქართველოს ხელისუფლებას ყოველთვის სერიოზულ პრობლემას შეუქმნის.

ჯერ კიდევ არ დამთავრებულია ომჩენეთში, ჩრდილოეთ კავკასიის დანარჩენ მუსლიმურ რესპუბლიკებშიც ვითარება დაძაბულია. ჩრდილოეთიდან ისლამური საფრთხის სრულ გაქრობაზე საუბარი ნაადრევია. ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამის აღორძინებას მხოლოდ რუსეთის ძლიერი ხელი თუ შეუძლია, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია, რომ რუსეთმა ასეთი აქტიურობა შეიძლება არ გამოიჩინოს საქართველოში არსებული ისლამური მოძრაობების მიმართ. თუნდაც პანკისის ხეობაში ისლამური რადიკალიზმის განვითარება რუსეთს ნაკლებ საფრთხეს შეუქმნის, მაგრამ სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს საქართველოსთვის. ამ მხრივ, საქართველო უახლოეს მომავალში შეიძლება პრობლემებს შეეჩხოს, რისი დაუყოვნებლივი გადაწყვეტაც ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებით იქნება განპირობებული. საქართველოს უახლოეს მომავალში არ ემუქრება პოლიტიკური ისლამი, მაგრამ რადიკალური ისლამური საფრთხის გამოჩენაც კი არ შეიძლება.

საქართველოს სამხრეთი მდებარე ძლიერი მეზობელი, თურქეთი უკვე რამდენიმე ათეული წელია პოლიტიკური ისლამის წინააღმდეგ იბრძვის. ამისთვის თურქეთის სეკულარულმა ელიტამ დიდი სამუშაო შეასრულა და დღემდე ისლამიზმის გამოვლინებას დაუნდობლად ებრძვის. თურქეთში ბოლო ათი წელია პოლიტიკური ისლამის რენესანსის პერიოდი. ისლამმა

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პოპულარობა მცირდებით დაკარგა, მაგრამ პოლიტიკური ისლამის საფრთხე თურქი სეკულარისტების მიერ ნომერ პირველ საფრთხედ მინც განიხილება.

თურქეთში მიმდინარე ნებისმიერი მასშტაბური მოვლენა საქართველოს ინტერესების სფეროში შედის. თურქეთში განვითარებულ პოზიტიურ პროცესებზე საქართველოს მომავალი სტაბილური განვითარება ბევრად არის დამოკიდებული. ამ მხრივ, ალსანიშნავია თურქეთში პოლიტიკური ისლამის გამარჯვების შესაძლო გავლენა საქართველოზე. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ თურქეთში პოლიტიკური ისლამის გამარჯვება ჩვენი ქვეყნისთვის პოზიტიური მოვლენა არ იქნება.

რა შეიძლება მოხდეს თურქეთის ხელისუფლებაში ისლამისტების მოსვლის შემდეგ? ამაზე ზუსტი პასუხის გაცემა რთულია, თუმცა არ არის ძნელი იწინასწარმეტყველო მოვლენების ის შესაძლო განვითარება, რაც თურქეთში მოხდება. უპირველეს ყოვლისა, ისლამისტების გაძლიერებას ბუნებრივ რეაქცია მოჰყვება სეკულარისტების მხრიდან, რაც დაპირისპირებას წარმოქმნის. ისლამისტების მხრიდან წინააღმდეგობის განხვეის შემთხვევაში, სამოქალაქო ომი გარდაუვალია, რაც ქვეყანაში ქაოსს გამოიწვევს. თურქეთში არასტაბილურობა ავტომატურად იმოქმედებს საქართველოზე, რაც საქართველოსთვის უაღრესად ნეგატიურ მოვლენებში აისახება.

რთულია იმის თქმა, თუ რა დამოკიდებულება ექნება ისლამისტურ თურქეთს საქართველოსთან. საქართველო ამ შემთხვევაში მათი დეკლარირებული ვეგმებიდან უნდა გამოვიდეს. ისლამისტები არ მალავენ თავიანთ ზრახვებს, რაც ისლამური ხალხების გაერთიანებაში გამოიხატება. საქართველო კი ისტორიულად ამ იდეის განხორციელების ეპიცენტრში ხვდებოდა, რაც ქვეყნისთვის ყოველთვის სავალალოდ სრულდებოდა. ისლამური ერებით გარშემორტყული საქართველო, ისედაც რთული შიდაპოლიტიკური ვითარების ფონზე, დამატებით პრობლემები შეექმნება. ისლამისტები თავისი გავლენის

გავრცელებას საქართველოშიც შეეცდებიან, რაც შესაძლოა ისლამური მოძრაობების შექმნაში ან უკვე ფარულად არსებული წახალისებაში გამოიხატოს.

თურქეთში პოლიტიკური ისლამის გამარჯვებით ვითარება შეიცვლება საქართველოს მეზობელ ისლამურ ქვეყნებსა თუ ტერიტორიებზე. ისლამური რკალი შეიძლება სრულ რეალობად იქცეს, რაც საქართველოს კვლავ ძველ ისტორიულ წარსულს დაახრუნებს და დასავლეთისგან სამუდამოდ მოწყვეტს. თუმცა, მსგავსი პერსპექტივა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველოს ემუქრებოდეს.

ისლამისტები თავისი ანტიდასავლური განწყობილებებით არიან ცნობილი. ისინი თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების წინააღმდეგნი არიან. უკანასკნელ პერიოდში, ისლამისტებზე გაძლიერებული ზენოლის გამო, ისლამისტები უკვე საწინააღმდეგოს აცხადებენ, მაგრამ ეს უფრო საშუალოდ თვალის ასახვევად გადადგმული ფანდია, ვიდრე მათი რეალური სურვილი. სავარაუდოა, რომ ისლამისტების გამარჯვებით, თურქეთის დასავლური კავშირები განწყდება. ისლამსა და აზიაზე ორიენტირებული თურქეთი კი საქართველოსთვის ის ნაკლებად მომგებიანი იქნება, ვიდრე ევროპული ოჯახის სრულყოფილიანი წევრი თურქეთი. თურქეთის ევროკავშირში წევრობა ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების გამარჯვებას ნიშნავს, რაც სტაბილურობის მოსურნე ნებისმიერი ქვეყნის ინტერესში შედის.

საქართველოს არა აქვს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ თურქეთში მიმდინარე პროცესებზე სერიოზული გავლენა მოახდინოს, მაგრამ აშკარაა, რომ სეკულარული თურქეთი საქართველოსთვის გაცილებით მისაღებია, ვიდრე ისლამური თურქეთი. ახალ საუკუნეში, როცა რელიგიური შემწყნარებლობა ერთ-ერთ ძირითად ფასეულობად უნდა იქცეს, ნებისმიერ ქვეყანაში რომელიმე რელიგიასთან ასოცირებული მოძრაობის გამარჯვება ზიანის მომტანია, როგორც თავად ამ ქვეყნისთვის, ისე მთლიანად დემოკრატიული პროცესებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. The Virtue Party... change or window-dressing?, Turkey Update, 5 June, 1998;
2. Prosecutor investigated after attempting to arrest female Islamist politician, by Amberin Zaman, Turkey Update, 19 October, 1999;
3. Islamist deputy stripped of her Turkish citizenship, Turkey Update, 17 May, 1999;
4. Hizbolahh used religious sects as shields, by Hakan Aslaneli, Turkish Probe issue 372, 27 February, 2000;
5. Hizbolahh murders shock Turkey, Turkey Update, 1 February, 2000;
6. Army warns against Islamic fundamentalism once again, Turkey Update, 4 June, 2000;
7. FP gets its way over constitution, by Kemal Balci, Turkish Daily News, 18 January, 2001;
8. FP's Kutan reacts to Feb. 28 process, Turkish Daily News, 18 January, 2001;
9. Erbakan more concerned about missing party funds than party closure, by Kemal Balci, Turkish Probe issue 417, 14 January, 2001;
10. Kutan responds to Virtue Party breakup rumors, Turkish Daily News, 8 September, 2000;
11. All eyes on Virtue Party, by Ilnur Cevik, Turkish Daily News, 26 September, 2000;
12. Hardliners move to split FP, by Ilnur Cevik, Turkish Daily News, 11 October, 2000;
13. Europeans Court of Human Rights hears complaints from RP, Turkish Daily News, 17 January, 2001;
14. Black clouds over Virtue Party, by Kemal Balci, Turkish Probe issue 400, 17 September, 2000;
15. FP discusses internal problems behind closed doors, Turkish Daily News, 9 September, 2000;
16. Erbakans imprisonment postponed, Turkey Update, 18 September, 2000;
17. Search for a New Social Contract in Turkey: Fethulahh Gulen, the Virtue Party and the Kurds, by M. Hakan Yavuz, 12 July, 1999,
18. The logic of contemporary Turkish politics, by Ersin Kalaycioglu, Turkey Perceptions, Volume 1, No.3-September, 1997;
19. The Rise of the Islamist Movement in Turkey, by Nilufer Narli, Turkey Perceptions, Volume 3, No.3-September, 1999;
20. Does Islam Pose a Threat to the West, by Yuksel Sezgin, Turkey Perceptions, Volume V, No.2-June-August, 2000;
21. The future of Political Islam in Turkey, by Whit Mason, World Policy Journal, Summer 2000;
22. Asia's Islam: Islam gains strength in Asian strongholds, by Joseph Coleman, Turkish Daily News, 14 September, 2000;
23. Мусульманские Нормы и Западные Институты: Зна Гек Алп, Л.И. Фадеева, Российский институт стратегических исследований, Ислам и Исламизм, Москва 1999;
24. Государство и Ислам в Турции, Н.Г. Киреев, Российский институт стратегических исследований, Ислам и Исламизм, Москва 1999.



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. მისი წევრები ცდილობენ შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების შემუშავებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრთან შექმნილია ექსპერტთა ქსელი. ექსპერტთა და ცენტრის თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით განისაზღვრება პრობლემა, რომლის ანალიზის შედეგად მზადდება შესაბამისი მოხსენება ან დოკუმენტი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით დამუშავებული ინფორმაცია რეგულარულად გამოიცემა ბიულეტენების, ბროშურების, საინფორმაციო ფურცლებისა და ლიფლეტების სახით, რომელთა უმეტესი ნაწილი უფასოდ მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებებს, პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სტრუქტურებს, მასშედიისა და მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით თემატურ საჯარო განხილვებსა და სემინარებზე ვინცვეთ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამგვარად, ცენტრი აქტიურად ცდილობს, გარკვეული გაეღწეოს იქონიოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

საგულისხმოა, რომ ცენტრის ძირითადი საქმიანობა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისაკენ, რაც სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაში გამოიხატება. ამ მხრივ, ჩვენი საქმიანობა ვრცელდება ქ. თბილისსა, ოზურგეთისა და ლაგოდეხის რაიონებში. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ცდილობს სათემო ორგანიზაციების პოპულარიზაციას და აღნიშნული მოძრაობის განვითარების ხელშეწყობას.

ცენტრის პერიოდიკული მიმართულებები:

- საზოგადოება და დემოკრატია
- გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება
- საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება
- ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- ✦ კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- ✦ კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- ✦ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
- ✦ ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ✦ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
- ✦ თვითმმართველობა საზოგადოების სამსახურში;
- ✦ შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის საერთაშორისო კონფერენციის მომზადება, ქსელის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ✦ ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

ცენტრის დონორი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.

ცენტრის მხარდაჭერები

* ცენტრის ინდივიდუალური „მხარდაჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაეხმაროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

* ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდაჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაეხმაროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“. კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი დიფლუეტში. ღონისძიების მოხსენიებებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოხსენიებებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

* ცალკეული ღონისძიებების სპონსორი კომპანია ღონისძიების მოხსენიებებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ღირსეული წარმოდგენილი იქნება ღონისძიებებზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

საპარტიკულო სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდაჭერები:

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალტინგი (Zenith Gamma Consulting)

მხარდაჭერით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვანდოთ ორგანიზაციის მისამართზე.

ცენტრის საშინაო დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.

ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33, ბინა 22.

ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711

ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net

http://www.csrdg.caucasus.net

ინდივიდუალური მხარდაჭერის გამოკითხვის ბარათი

მე მსურს გავხედე ცენტრის მხარდაჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია.

სახელი, გვარი, _____

სამუშაო ადგილი _____

თანამდებობა _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

კოლექტიური მხარდაჭერის გამოკითხვის ბარათი

- ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.
- ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.
- ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.
- ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.
- გთხოვთ გამოგვიზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
- ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

საკონტაქტო პირი _____

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დაიბეჭდა შ.პ.ს. „კომპიუტერში“
ქ. თბილისი, კრწანისის ქაზა №3